



100

3700-იანი მსახური თუშეთიდან
ზრალინიანი და გამოყენების წესები

100 ველური მცენარე თუშეთიდან





100

ველური
მცენარე
თუშეთიდან

საქართველოს იმერეთის მხარის მცენარეული მემკვიდრეობის მუზეუმი



წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „ველური მცენარეები თუშეთიდან – გამოყენების წესები და პერსპექტივები“ ფარგლებში



პროექტის დამფინანსებელი: **GIZ** - პროექტი „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში (IBIS)

პროექტის შემსრულებელი: **თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია**

პუბლიკაციის ავტორები:
გრიგოლ დეისაძე, ბოტანიკოსი

გიორგი ცოცანიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი

ნანული აბიკური, ისტორიის დოქტორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მალხაზ ზოსაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცოგნოზისა და ფარმაცევტული ბოტანიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

პროექტის ხელმძღვანელი:
ანდრო გობოთიძე, თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

კოორდინატორი:
ანა შანშიაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის შემოქმედებითი ხელმძღვანელი

რედაქტორი:
გიორგი ცოცანიძე

მადლობა: ნათია კობახიძეს და კრისტიან გიონერს
განსაკუთრებული მადლობა: დავით ქიქოძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი

ფოტოები:
ელენე ასათიანი, **გრიგოლ დეისაძე**, **ელენე ჯაფარიძე**,
ოთარ აბდალაძე, **დავით ძიფოძე**, **ანა შანშიაშვილი**,
სალომე იდოიძე, **ნანა მეფარიშვილი**, **რუსუდან ბარნოვი**,
სებასტიან შროდერი, **ჟრისტინა ბელაშვილი**

დიზაინი:
მეგა კაქსაშვილი

თბილისი 2019

© ავტორები
© თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

ISBN 978-9941-8-1763-2



სარჩევი

| | |
|-----|---|
| 09 | შესავალი |
| 10 | გიოლოგია და ჰიდროლოგია |
| 11 | კლიმატი |
| 12 | ბიომრავალფეროვნება |
| 13 | ლანდშაფტები და ჰაბიტატები |
| 15 | მცენარეების გამოყენების ტრადიციები თუშეთის ყოფაში |
| 18 | სამეურნეო დანიშნულების ხის ნივთები |
| 21 | ბალახეული ხალხურ საშხარეულოში |
| 24 | სალეგავად გამოყენებული მცენარეები |
| 28 | რა უნდა ვიცოდეთ მცენარეების შემროვებისას |
| 31 | მცენარეების კათალოგი |
| 232 | მცენარეთა ლათინურ დასახელებათა საძიებელი |
| 236 | დამოწმებული ლიტერატურა |



100 ველური მცენარე თუშეთიდან

მცენარეული საფარის მრავალფეროვნებით თუშეთი ერთ-ერთი მდიდარი მხარეა საქართველოში. შესაბამისად, უძველესი დროიდანვე ჩამოყალიბდა მცენარეთა ყოფა-ცხოვრებაში გამოყენების ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ძველად ხალხი თვითონ არეგულირებდა გარემომცველ სამყაროსთან გონივრულ დამოკიდებულებას. დღეს კი, თანამედროვე ცხოვრების წესის დანერგვასთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობაში აღნიშნული ცოდნა თანდათანობით იკარგება.

წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებას გააცნოს თუშეთის ველური ფლორის სიმდიდრე და მათი ყოფაში გამოყენების ტრადიციული წესები, რაც თავის მხრივ, როგორც გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება, ამ მხარის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

პუბლიკაციას საფუძვლად დაედო ამ თემამე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და ასევე ბოტანიკური კვლევა, რომელიც თუშეთის მეგობართა ასოციაციამ ჩაატარა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით პროექტის „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBiS) ფარგლებში. კვლევამ გამოავლინა თუშეთში არსებული მცენარეული რესურსები, რამაც მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ამ მხარეში გავრცელებული ველური მცენარეების პრაქტიკაში მდგრადი გამოყენების შესახებ წინამდებარე პუბლიკაციის მოსამზადებლად.

გამოცემაში მიმოხილულია თუშეთის ზოგადი გეოგრაფიული მახასიათებლები და ინფორმაცია მცენარეების ყოფაში გამოყენების შესახებ: ამ თემასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა-წარმოდგენები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: ლეგენდები, ანდაზები, ხალხური მედიცინის, სამზარეულოს და რეწვის დარგებში მცენარეთა გამოყენების ტრადიციული წესები, რასაც თავის მხრივ, მოსდევს ინფორმაცია მცენარეთა შეგროვება-დამუშავების ზოგადი პრინციპების შესახებ და 100 მცენარის ანბანურად დალაგებული კატალოგი.

თუშეთის მცენარეული საფარის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ცხადია, წინამდებარე გამოცემაში (რომელიც მსგავსი ტიპის ნაშრომის შექმნის პირველი მცდელობაა) ვერ იქნება სრულად თავმოყრილი ამ მხარეში გავრცელებული ველური მცენარეების მთელი სპექტრი. ამდენად, პუბლიკაციისთვის 100 ველური მცენარე შეირჩა მათი ყოფაში გამოყენებისა და განსაკუთრებული გავრცელების გათვალისწინებით. თითოეული მცენარის ძირითადი ბოტანიკური მახასიათებლების გარდა, კატალოგში მოცემულია მათი თუშური დასახელებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ კონკრეტული მცენარის გამოყენების ტრადიციული წესები, რეცეპტები, მათთან დაკავშირებული ლეგენდები, ანდაზები და სხვა.

წინამდებარე გამოცემა საინტერესო წყაროა თუშეთის ბიომრავალფეროვნებითა და ეთნოკულტურით დაინტერესებული პროფესიონალებისა თუ მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის იმ წარმომადგენლებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზნით დღესაც მისდევენ თუშეთის ტერიტორიაზე ველური მცენარეების შეგროვებას.



შესავალი



თუშეთი, თავისი თვითმყოფადი და კოლორიტული ეთნოკულტურით გამორჩეული კუთხე, საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მდებარეობს. ჩრდილოეთით მას ჩეჩნეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით – დაღესტანი, დასავლეთით – საქართველოს მთიანეთის ორი კუთხე – ფშავი და ხევსურეთი, ხოლო სამხრეთით – კახეთი. იგი ამ მოსაზღვრე რეგიონებისგან მაღალი ქედებითაა გამოყოფილი და ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს.

გეოგრაფიულად თუშეთი სამი მთავარი – გომეწარის, პირიქითის და ჭანჭახოვანის ხეობებისგან შედგება, რომელთაგან თითოეულზე თითო „ალაზანი“ მოედინება (თუშეთში ყველა დიდ მდინარეს „ალაზანი“ ეწოდება): „გომეწარის ალაზანი“, „პირიქითის ალაზანი“ და „ჭანჭახოვანის ალაზანი“.

კონფიგურაციულად თუშეთის ტერიტორია 3000 მეტრსა და ალაგ-ალაგ მასზე მაღალი ქედებით შემოფარგლულ ოთხკუთხა მძლავრად დანაოჭებულ მაღალმთიანეთს წარმოადგენს, რომლის უდაბლესი წერტილის ნიშნული დაღესტნის საზღვართან ზღვის დონიდან 1600 მ-ზე მდებარეობს, ხოლო მუდმივთოვლ-ყინულიანი მწვერვალების სიმაღლე 4000 მეტრს აჭარბებს. კულტურული ლანდშაფტი განფენილია 1600-3000 მეტრებს შორის. კლიმატი ზომიერად მშრალი, კონტინენტურია – გრძელი ზამთარი, მოკლე ზაფხული და კიდევ უფრო მოკლე გაზაფხული და შემოდგომა – ორიოდე სიტყვით შეიძლება ასე დახასიათდეს თუშეთის საარსებო გარემო.

გეოლოგია და ჰიდროლოგია

თუშეთის სამივე გასწვრივი ხეობა და ნაყაიჩო-მაკრატელას ქედი იურული ფიქლებით არის აგებული. პირიქითის ალაზნის ხეობაში, სოფ. დართლოს მიდამოებში, რამდენიმე ადგილას კირქვიანი ტრავერტინების მძლავრი გროვებია წარმოდგენილი.

თუშეთის რელიეფი საკმაოდ რთულია. რელიეფის მორფოლოგიური იერ-სახე მდინარეული ეროზიის ზემოქმედებით არის ჩამოყალიბებული. თუშეთის სამივე ალაზნის ზემო ნაწილები მეოთხეული პერიოდის მყინვარებითაა დამუშავებული. მეოთხეული გამყინვარების ნიშნები კარგადაა გამოხატული როგორც პირიქითის და მაკრატელას ქედებზე, ასევე კავკასიონის მთავარ ქედზეც. ამ ადგილებში, ზღვის დონიდან 2700 მ-ზე მაღლა გვხვდება მყინვარული რელიეფის სხვადასხვა ფორმა ე. წ. ცირკებისა და კარების სახით.

თუშეთის აღმოსავლეთ ნაწილში სიმაღლეთა სხვაობა 2500 მ-ზე მეტია; ყველაზე დაბალი წერტილი ზღვის დონიდან 1600 მ-ზე მდებარეობს, ხოლო ყველაზე მაღალი – 4275 მ-ზე. ალაზნის შესაყართან, სოფ. შენაქოს, ქვემო ომალოსა და დიკლოს მიდამოებში, შემორჩენილია რელიქტური ეროზიული ვაკეები.

თუშეთის ტერიტორია, არსებითად, საკმაოდ ვრცელ, გასწვრივ ქვაბულს წარმოადგენს. იგი ორი პარალელური ხეობისგან შედგება. ერთ ხეობაში გაედინება პირიქითის ალაზანი, ხოლო მეორეში – გომეწრის ალაზანი. მათ შორისაა ნაყაიჩო-მაკრატელას წყალგამყოფი გასწვრივი ქედი, რომელიც აწუნთის ქედს

გამოეყოფა ამუგოს მწვერვალის მასივთან. მას აღმოსავლეთის მიმართულება აქვს და მთავრდება ომალოს პლატოთი. ამ პლატოს ძირზეა ზემოთ ხსენებული ორი ალაზნის შესართავი, რომელიც ზღ. დონიდან დაახლოებით 1600 მ-ზე მდებარეობს.

პირიქითი ალაზნის შედარებით დიდი შენაკადია ლაროვნის წყალი, ხოლო გომეწრის ალაზნისა – ხისოს წყალი (ჭანჭახოვანის ხეობა), ორწყალი და ქიბდუხის ხევი. ეს შენაკადები მარჯვნიდან ერთვიან თუშეთის ალაზნებს. გომეწრის ალაზნის შედარებით დიდი მარცხენა შენაკადებია წოვათისწყალი და სამრულისწყალი, ხოლო თუშეთის შეერთებული ალაზნებისა – დიკლოსხაისწყალი. პირიქითის ალაზნის მარცხენა შედარებით მოზრდილი შენაკადებია ჩილოსხაისწყალი, დიდხევი, ჭემოსხაისწყალი და ფარსმის ხევი. ეს შენაკადები პირიქითის ქედის სამხრეთი კალთებიდან ჩამოედინება. ასევე, უხვადაა წვრილ-წვრილი შენაკადები და წყაროები. თუშეთის რელიეფი ჰიდროგრაფიული ქსელით ძლიერაა დანაწევრებული. ზამთარში მდინარეების უმეტესობა ნაწილობრივ ან მთლიანად იყინება.

თუშეთში მრავლადაა სხვადასხვა წარმოშობის მცირე ზომის ტბები. მდ. ორწყალის სათავეებში წარმოდგენილია მცირე ზომის (20 მ-ზე ნაკლები დიამეტრის) მყინვარული წარმოშობის ტბები. პატარა ტბები გვხვდება შავკილდისა და ვებუს სათავეებთანაც. მუდმივად გაყინული ტბა მდებარეობს კალოანის სათავეებში.

მაღალი მთის ჭაობები გვხვდება შენაქოს, ომალოს, თურსი-ეხისა და ხახაბოს მიდამოებში. მათი უმეტესობა ჩამოყალიბებულია ტბების ადგილას და ამჟამად მიწისქვეშა წყლებით იკვებება.



კლიმატი

რეგიონისთვის, ზოგადად, დამახასიათებელია ზომიერად ტენიანი კლიმატი შედარებით მშრალი და ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით. კონტინენტური კლიმატი, განსაკუთრებით, დამახასიათებელია თუშეთის აღმოსავლეთი ნაწილისათვის, თუმცა ლოკალური კლიმატური პირობები (განსაკუთრებით ატმოსფერული ნალექების რაოდენობა) მნიშვნელოვნად ცვალებადობს რელიეფისა და სიმაღლის მიხედვით. მაგალითად, საყორნის უღელტეხილზე (2970 მ. ზღ. დ.) საშუალო წლიური ნალექების რაოდენობაა 1631 მმ; მდ. ორწყალის ხეობაში იგი 1064 მმ-მდეა. სხვა ადგილებში ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 700-900 მმ-ის ფარგლებში. ნალექების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა კავკასიონის მთავარი ქედი და, საერთოდ, გომეწრის ალაზნის აუზი, სადაც ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, დაახლოებით, 10%-ით უფრო მაღალია, ვიდრე პირიქითის ხეობაში. ეს სათანადოდ აისახება ამ ორი მდინარის წყლის რეჟიმებზეც. ნალექების რაოდენობის განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ თუშეთის აღნიშნული ნაწილი უმთავრესად ტენიანდება სამხრეთიდან შემოჭრილი ჰაერის ტენიანი მასებით.


თუშეთის ქვაბული, რომელიც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მაღალი მთებითაა დაცული, ხასიათდება უმეტესად უქარო და მშრალი ლოკალური კლიმატით. მაგალითად, ომალოს პლატო თუშეთის ერთ-ერთი ყველაზე მშრალი და თბილი ადგი-

ლია, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 3.5°C-ია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 14.2°C-ია, ხოლო იანვრისა – მინუს 9.1°C (თუმცა ტემპერატურა ნულს ქვემოთ შესაძლოა აგვისტოშიც კი დაეცეს). აბსოლუტური მაქსიმუმი 31°C-ია, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი – მინუს 36°C. წლიური ნალექების საშუალო რაოდენობა 748 მმ-ია, რომლის უმეტესი ნაწილი მოდის წელიწადის უთბილეს პერიოდში – აპრილიდან სექტემბერის ჩათვლით.

თოვლის საფარის სისქე და განაწილების კანონზომიერებანი ნაირგვარია და დამოკიდებულია არა მხოლოდ ნალექების რაოდენობაზე, არამედ ქარის მიმართულებაზე, მის სიძლიერესა და მეზორელიეფის თავისებურებაზე.

რელიეფის სირთულის, ექსპოზიციითა ნაირგვარობისა და სხვა გარემოებათა გამო, მეზო და მიკროკლიმატი თუშეთში საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, უმთავრესად სიმაღლეთა სხვაობის მიხედვით, გამოიყოფა კლიმატის შემდეგი ძირითადი ტიპები:

- ა) ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრითა და მოკლე ზაფხულით (1600-2000 მ ზღ. დ.);
- ბ) გარდამავალი მთის კლიმატი ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით (2000-2400 მ ზღ. დ.);
- გ) ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატი (2400-3400 მ ზღ. დ.);
- დ) მაღალმთის ნოტიო კლიმატი, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით, სადაც წლის ყველა თვის საშუალო ტემპერატურა 0°C-ზე დაბალია (ზღ. დ.-დან 3400 მ-ზე ზევით).



ბიომრავალფეროვნება

ფლორის თვალსაზრისით თუშეთი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მხარეა საქართველოში. აქ გავრცელებულია 92 ოჯახის 1000-ზე მეტი ჭურჭლოვანი სახეობა. შესაბამისად, საქართველოს ფლორის მეოთხედი და კავკასიის მცენარეთა სახეობების ერთი მეექვსედი გვხვდება თუშეთში. თუშეთის მცენარეულობა მოიცავს ტყეებს, სუბალპურ ტყეებსა და ბუჩქნარებს, სუბალპურ და ალპურ მდელოებს, სუბნივალურ და ნაშლების ფლორისტულ კომპლექსებს. ამ ძირითადი ცენოზებიდან თითოეული, თავის მხრივ, კიდევ წარმოდგენილია მრავალი კერძო ვარიანტით, რომლებიც ერთმანეთისგან სტრუქტურითა და სახეობრივი შემადგენლობით განსხვავდებიან.

თუშეთის ფლორა მრავალ იშვიათ სახეობას შეიცავს. მათგან 4 სახეობა შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში. თუშეთში ასევე გვხვდება რეგიონული მასშტაბით იშვიათი სახეობები, რომლებიც კავკასიაში თავიანთი მსოფლიო არეალისგან იზოლირებულად იზრდება.

ენდემიზმის დონე (ენდემურ სახეობათა პროპორციული რაოდენობა) განსაკუთრებით მაღალია მცენარეთა სახეობებს შორის. თუშეთის ფლორა შეიცავს საქართველოს 11 და კავკასიის 230-ზე მეტ ენდემურ სახეობას, რაც ნიშნავს, რომ თუშეთში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების 22.5% საქართველოს ან კავკასიის ენდემია. გარდა ამისა, მინიმუმ 8 მათგანი მეტად იშვიათი სახეობების კატეგორიას განეკუთვნება.

რეგიონი ასევე ხასიათდება ძუძუმწოვართა მრავალფეროვნებით – სულ გამოვლენილია 32 სახეობის მსხვილი, საშუალო ზომისა და წვრილი ძუძუმწოვარი. განსაკუთრებით აღსანიშ-



ნავია ჩლიქოსანთა თანასამოგადოება. მათ შორისაა ნიამორი (Capra aegagrus), რომლის მეტ-ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი პოპულაცია ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ თუშეთშია შემორჩენილი და კავკასიის ენდემი, აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი (Capra cylindricornis). ასევე გავრცელებულია არჩვი (Rupicapra rupicapra), შველი (Capreolus capreolus), გარეული ღორი (Sus scrofa) და კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus). თუშეთი გამოირჩევა მსხვილ მტაცებელთა სახეობების მხრივაც. აქ გვხვდება მურა დათვი (Ursus arctos), მგელი (Canis lupus), ფოცხვერი (Lynx lynx) და სავარუდოდ ასევე ჯიქი (Panthera pardus). წვრილი ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია კავკასიის ენდემები: დაღესტნური მემინდვრია (Microtus (Terricola) daghestanicus), გუდაურის მემინდვრია (Chionomys gud), რადეს ბიგა (Sorex raddei) და ვოლნუხინის ან მცირეკავკასიური ბიგა (Sorex volnuchini).

არსებული მონაცემებით თუშეთში გავრცელებულია ფრინველთა 90-მდე სახეობა. თუშეთის ორნითოფაუნიდან პირველ რიგში აღსანიშნავია კავკასიის ენდემები: კავკასიური როჭო (Tetrao mlokosiewiczzi) და კავკასიური შურთხი (Tetraogallus Caucasicus). სულ თუშეთში გვხვდება ფრინველთა 6 სახეობა საქართველოს წითელი ნუსხიდან, მათგან ერთი (სვავი, Aegypius monachus) საფრთხეშია გლობალური მასშტაბითაც და შესულია IUCN-ის წითელ ნუსხაში (NT-ის კატეგორიით); თუშეთი მდიდარია დიდი ზომის ფრინველთა სახეობებით და საკმაოდ ხშირად გვხვდებიან ისეთი მტაცებლები და ლეშიჭამიები, როგორცაა: (გარდა ზემოთაღნიშნული სვავისა) ბატკანძერი (Gypaetus barbatus), ორბი (Gyps fulvus), კირკიტა (Falco tinnunculus), ქორი (Accipiter gentilis), მიმინო (Accipiter nisus), მთის არწივი (Aquila chrysaetos) და სხვ. ასევე საყურადღებოა ის, რომ თუშეთში გვხვდება თითქმის ყველა ის ენდემური თუ „ბერდვოჩინგისთვის“ სხვა მხრივ მნიშვნელოვანი სახეობა, რაც საქართველოში საერთოდ ბინადრობს: (ზემოთნახსენები კავკასიური როჭოსა და კავკასიური შურთხის გარდა) კავკასიური ყარანა (Phylloscopus lorenzii), მწვანე ყარანა (Phylloscopus nitidus), თავწითელა მთიულა (Serinus pusillus), დიდი კოჭობა (Carpodacus rubicilla).

მწირია ცნობები ხერხემლიანთა სხვა კლასების შესახებ. თუშეთში რეპტილიების მინიმუმ 3 და ამფიბიების მინიმუმ 4 სახეობა გვხვდება, ხოლო თევზებიდან მხოლოდ ერთი – მდინარის კალმახი.

თითქმის არაფერია ცნობილი უხერხემლოთა შესახებ. თუმცა, ზედაპირული დაკვირვებით ჩანს, რომ თუშეთი გამოირჩევა დღის პეპლების სიუხვით. დაფიქსირებულია გლობალურად იშვიათი სახეობა აპოლონი (Parnassius apollo), ასევე კავკასიის იშვიათი ენდემი კავკასიური აპოლონი (Parnassius nordmanni).

ველური ბიომრავალფეროვნების გარდა, თუშეთი მდიდარია შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა ჯიშებითაც. რეგიონი სამი ენდემური ჯიშის წარმოშობის კერაა. ესენია: თუშური ცხენი, ქართული ნაგაზი და თუშური ცხვარი. გარდა ამისა, თუშეთი წარმოადგენს კულტურულ მცენარეთა რამდენიმე ენდემური ჯიშის წარმოშობის კერას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქერის ენდემური ჯიში – ქერშველი, რომელიც უნიკალური მორფოლოგიური და სხვა ნიშან-თვისებებით ხასიათდება და საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების მემკვიდრეობის კომპონენტია.



ლანდშაფტები და ჰაბიტატი

თუშეთის დაცული ტერიტორიები მაღალი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ ვხვდებით ფიჭვნარებისგან, სუბალპური ბუჩქნარებისა და ტყეებისგან, სუბალპური და ალპური მდელოებისა და მყინვარებისგან შექმნილ ეკოლოგიურ “მოზაიკას”. სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტების ფორმირებისა და გავრცელების კანონზომიერება გარემოს მახასიათებლების (გეოლოგიური, გეოგრაფიული, კლიმატური, ბიოგეოგრაფიული და სხვ. ფაქტორები) და საუკუნეების განმავლობაში ადამიანის საქმიანობის ერთობლივი მოქმედების შედეგია.

მცენარეულობის ტიპი და სტრუქტურა, რელიეფის ფორმასთან ერთად, დაცული ტერიტორიების ლანდშაფტების მეტ-ნაკლებად პირობითი კლასიფიკაციის საშუალებას გვაძლევს.

ა) ტყის ჰაბიტატი: თუშეთის ტყის ჰაბიტატი უმეტესად ფიჭვნარებითაა წარმოდგენილი, რომელსაც *Pinus sasnovskyi* ქმნის. შედარებით ნაკლები ფართობი უკავია არყნარებს. მეტად შეზღუდულია ფართოფოთლოვანი ტყეების გავრცელება. ეროვნული პარკისა და სახელმწიფო ნაკრძალის ფარგლებში მოქცეული ტყის ჰაბიტატების საერთო ფართობი დაახლ. 20 ათასი ჰა-ა. ტყის ზონა წარმოდგენილია ტყის ზედა ქვესარტყლით, რომელიც ზღვის დონიდან 1650 მ-დან 1800-1900 მეტრამდე ვრცელდება. სუბალპური ტყეები კი გვხვდება 1800-1900 მეტრიდან 2500-2600 მეტრამდე ზღვის დონიდან. არყნარები (ტანბრეცილი არყნარების ჩათვლით) გავრცელებულია ზღვის დონიდან 1700-2400 მ-ის სიმაღლეებზე (თუმცა ტყის ზედა საზღვარი 2500 მ-ზეა; ზოგან იგი 2600 მ-საც კი აღწევს). ყველაზე ფართოდ გავრცელებულია *Betula pendula*-სგან შემდგარი არყნარები. არყნარის ეს ტიპი ძირითადად ჩრდილოეთის ექსპოზი-

ციაზე გვხვდება. ასევე მნიშვნელოვანი ფართობები უკავია ლიტვინოვის არყის (*Betula litwinowii*) არყნარებს.

ბ) სუბალპური ბუჩქნარი: ამ ტიპის ჰაბიტატი წარმოდგენილია დეკიანებით (*Rhododendron caucasicum*). დეკიანები გავრცელებულია ზღვის დონიდან 2400-2800 მ-ის ფარგლებში. მათი შედარებით დიდი ფრაგმენტები სუბალპურ ტყეს ზოლად მიუყვება პირიქითის ალაზნის ხეობაში ზღვის დონიდან 2600-2800 მ-ზე.

გ) ალპური და სუბალპური მდელოები: მდელო თუშეთის ლანდშაფტის მთავარი კომპონენტია. მდელოების საერთო ფართობი თუშეთის მასშტაბით 60500 ჰა-ს აღწევს. აქედან 37000 ჰა-მდე ეროვნული პარკისა და სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზეა. ფიტოლანდშაფტის ეს ტიპი განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი პირიქითის ალაზნის სათავეებში. თუშეთში მრავალი სხვადასხვა ტიპის მდელოს ვხვდებით.

დ) სუბნივალური ჰაბიტატი და ნივალური ზონა: სუბნივალური ჰაბიტატი დამახასიათებელი ფლორის კომპლექსით ყველაზე მძლავრად განვითარებულია აწუნთისა და პირიქითის ქედებზე, განსაკუთრებით თებულოს, ამუგოს და დიკლოს მთის მასივებზე. სუბნივალური მცენარეულობა სუსტადაა გამოხატული კავკასიონის მთავარ ქედზე. ნივალური ზონა მუდმივი თოვლითა და მყინვარებით თუშეთში 3400 მ-დან იწყება.

თუშეთი მდიდარია არა მხოლოდ სუბალპური და ალპური ზონის ველურად მოზარდი სასარგებლო ბალახეულით, არამედ ტყეებითაც, სადაც იზრდება არაერთი ისეთი ხე-მცენარე, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის არსებობისთვის და რაც მაქსიმალურად აკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

მცენარეების გამოყენების ტრადიციები თუშეთის ყოფაში



თუშეთი თავის მცენარეული საფარით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მხარეა საქართველოში. შესაბამისად, ბუნებაზე დაკვირვებამ, თაობიდან თაობაზე გადაცემულმა ემპირიულმა ცოდნა-გამოცდილებამ ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა, რომ გარკვეული სახის მცენარეები გამოეყენებინა როგორც საკვებად, ისე სამკურნალოდ, საღებავად და სხვა სამეურნეო ფუნქციით. ძველად ხალხი თვითონ არეგულირებდა ბუნებასთან, გარემომცველ სამყაროსთან გონივრულ დამოკიდებულებას. აქ ველური მცენარეების მოგროვებასაც კი მოზომილად და პრაქტიკულად უდგებიან. მათ შეგნებული აქვთ ის, რომ მომავალ წელს და შემდგომშიც ყველანაირი მცენარე მათი და მათი საქონლის არსებობის გარანტიაა. ხალხში არსებობს გარემომცველ სამყაროსთან გაწონასწორებული ურთიერთობისათვის ბევრნაირი აკრძალვები და რწმენა-წარმოდგენები, რასაც მოსახლეობა მკაცრად იცავს. შეგნებულად უდგებიან სამღებრო მცენარეების შეგროვებასაც. ერთი და იგივე ადგილიდან ერთი მცენარის მთლიანად მოთხრა არ შეიძლება, იგი მის მოსპობას გამოიწვევს.

თუშეთის ტყეებით დაფარული დიდი ფართობი, ასევე ხეების სახეობათა მრავალფეროვნება თუშებს შესაძლებლობას აძლევდა. თავისი საარსებო გარემოდან გაუსვლელად, ადგილზევე ჰქონოდათ მასალა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების, სამეურნეო დანიშნულების შრომის იარაღების და ხალხური რეწვის დარგებისათვის (მატყლის დამუშავება, ქსოვა, ლებვა...) საჭირო ხელსაწყოების დასამზადებლად. ტყით არის დაფარული თუშეთის ყველა ხეობა, გარდა პირიქითისა [ბოჭორიძე, 1993, 260].

თუშეთში ტყე, უპირველეს ყოვლისა, საშემედ მოიხმარება. შემისათვის ყველანაირ ხეს იყენებენ, ოღონდ იშვიათ სახეობებს უფრთხილდებიან. გომეწრის თემში უფრო არცის ხის შემას



არიან განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ადამიანები, რომელთაც ხალხური რწმენით, ხეების ენა ესმით. ამისათვის რამდენიმე პირობაა საჭირო. ადამიანი და-ძმას შორის კენტად უნდა იყოს დაბადებული, ზნეკეთილი უნდა იყოს, არასოდეს არ უნდა იცრუოს და არასოდეს მკბენარი არ უნდა ჰყავდეს ნანახი და არც თვითონ არ უნდა ჰყავდეს ის. ამ უნარს ასეთი ადამიანები მანამდე ფლობენ, სანამ მკბენარი გაუჩნდება. ამის თაობაზე საინტერესო ლეგენდებსაც მოისმენთ: „ხეს რო სჭრიანავ, ხე იძახისავ — ვამე მუჭლებივ, ვამე მუჭლებივ, ვამე მუჭლებივ, ვამე მჭრებივ, ვამე მჭრებივ, ვამე მჭრებივ, ვამე თავივ, ვამე თავივ, ვამე თავივ, ვამე ჯელივ, ვამე ჯელივ, ვამე ჯელივ, ვამე ნუ მოჭრივ, ვამე ჯელივო ჰად' ვადი' ქეევა. ცულით რო მოვავ ხესთან კაცივ, მაშივ სთხოვსავ ხეივ — ნუ მოჭრივ. სიაც ცულს ჩა'დებსავ, იქაც ტირილს იწყებსავ ხეივ“ (სონა გაბროს ას. ილიძე-აფთარაული, 69 წლის, სოფ. ბუხურთა) [აზიკური, 1987, 87].



გამოსახანები და ანდაზა-გამონათქვამები

- ✿ „მეც მქევა, შენაც ვქევა, გამჭმარ, ცოდვილა' ხესაც აქევა“ (ჩრდილი).
- ✿ „ჩამომავლობა არ დი'ვარკვებავ, ხეივ ხის ძირზევ ამოავ“.
- ✿ „ხეს ეთქევა — ცულიმ რა'ს გამომჩხებოდავ, ტარად რო ჩემ გვარისა არ ეჩაროსავ“.
- ✿ „ცულივ ცუტუნა'იოდ' (პატარაოდ) მაგრ ხეს დიდს შჭრისავ“.
- ✿ „ხემან მოისხა ხილიო, რაც მამა ისიც შვილიო“.
- ✿ „ჩაძახილმავ ხეივ გა'ვმოვ — იციან“.
- ✿ „ტყეივ ხის ძალითავ“.





ბალახის მოსმით მიცვალეულის გაცოცხლების თემა ქართულ ხალხურ ზღაპრებში ბევრჯერაა ნახსენები. ასეა ამირანის მითშიც. ეს უძველესი იდეა თუშურ ხალხურ გადმოცემაშიც გვხვდება, ოღონდ აქ გვიანდელი ამბის თხრობაშია ჩართული: „ისპანკიან წელს დართლოს „კა-ლდიმა 'ებში“ — აკლდამებში — ავადობაშეყრილები თვითონ შედიოდნენ. იქ დადგმულ ტახტზე ჯდებოდნენ, თან ფანდურს უკრავდნენ და სიკვდილს ასე ხვდებოდნენ. შეყვარებული ქალი-ვაჟი ყოფილან. ვაჟი მოკვდა აკლდამაში. ქალი ხშირად მიდიოდა და შეჰყურებდა როგორ იყო ბიჭი მისვენებული, ხელში კი ფანდური ეჭირა. ქალიც ავად გახდა და ვერ იმეტებს ბიჭს რომ ფანდური გამოართვას ხელიდან და ტახტიდან გადმოავდოს. მერე ნახა ქალმა, რომ თავგმა რაღაც ბალახი მოიტანა პირით, ცხვირთან მიუსვ-მოუსვა ბიჭს და რამდენ ხანს მძინებიაო — უთქვამს ბიჭს. შემდეგ ქალს უთქვამს, შენ ღმერთმა გიშველა, სააქაოსვე დაგტოვა. მე უნდა წავიდეო, მე ვერ დამიხსნა ღმერთმაო. მომეცი ეგ ფანდური, მინდა შენ ხელში ნაჭერი ფანდურით მოვკვდეო. ქალი მომკვდარა. ბიჭი მწუხარეა და ტირის თავის ნანდობს (შეყვარებულს). უცებ დაინახა თავს კბილით რაღაც ბალახი მოაქვს და ქალიც ვააცოცხლა ბალახმა. სხედან და საუბრობენ — ბიჭი ეუბნება — მე ვნახე თავგმა როგორ მოიტანა ბალახი და გვააცოცხლაო. უცებ რაღაც იდუმალი ხმა გაიგონეს — ეგ თავგი კი არა ღმერთის ნება იყო, თქვენ საცოდაობას ველარ გაუძლო და ორივე გვააცოცხლათო” (კატო ლადოს ას. ხვედეგაიძე, 55 წლის, სოფ. ზემო ალვანი [აზიკური, 1980, 37-38].



იყენებენ, ჩაღმისკენ — ფიჭვის შეშაა. არყის შეშამ ნაკლები კვა-მლი იცის, კარგად იწვის და მასზე „უბოლო შეშასაც“ — იტყიან; ფიჭვის შეშამ კი ბოლი იცის. სხვა ხეებიდან არჩევენ ბებერ ან გადატეხილ ხეს. აგროვებენ წყლის ნარიყსაც — „ტაროშებს“. სა-შეშედ ტყეს მიყოლებით, ერთ ადგილზე ტრიან და ის „შეშანატ-რებნა“, რაც ზოგჯერ ტოპონიმადაც იქცევა — „ბიჭია'ის შეშანატ-არი...“ შემდეგ ამ ადგილზე წლების განმავლობაში აღარ შედიან და ის მალევე ატყევენ.

თუშეთში ყველა სოფელი ოდითგანვე თავისი სასოფლო ტყით სარგებლობდა. იყო ტყით სარგებლობის ძველთაგანვე დადგენილი წესი, რომელსაც არავინ არღვევდა. სასოფლო ტყე-ები დაყოფილი იყო გვარებზე, გვარებს შიგნით კომლებზე და ყველა თავისი ტყით სარგებლობდა [გასიტაშვილი, 1967, 87, 88]. საზოგადო საკუთრებაში მხოლოდ ხატის ტყეები იყო. ყველა სო-ფლის ხატს თავისი „ჯვარის ტყე“ ჰქონდა, საიდანაც საკუთარი მოხმარებისათვის ხეს არავინ გამოიტანდა — ეს მკაცრად იყო ტაბუირებული. ჯვარის ტყეში მოჭრილი შეშა მხოლოდ ხატის სა-დღეობოდ მოსახარშ ალუდსა და საკლავს ხმარდებოდა. დღე-მდე ასეა. ტრადიციის ძალით „ჯვარის ტყე“ ხელშეუხებელია.

არ შეიძლება სხვის ტყეში შესვლა და, მით უმეტეს, იქიდან ხის გამოტანა, ეს დიდი სირცხვილია. არც არავინ სხვის „და-სერილ“—დანიშნულ ხეს გაიტანს. სერს მხოლოდ წაქცეულ ხეს ადებენ, ზემდგომი ხის დასერვაც არ შეიძლება [გასიტაშვილი, 1967, 87]. მოჭრილი და წასალეხად გამზადებული ხის მოპარვა კი დიდ ცოდვად ითვლება. ასევე ცოდვად ითვლება „მარნა'ნა-ყარსა“ (ახალგაზრდა ტყე) და „ჟინა'იან“ (ახალგაზრდა ფიჭვ-ნარი) კორომებში ცულის მოქნევა კი არა, ცულის შეტანაც კი, ესეც ცოდვად ითვლება და ამ ტაბუს მკაცრად იცავენ. აკი ხალხი დაჯერებით ამბობს — „ცოდვა უვნებელიდ მაღლ ურგებელ არ არსებობსავ“ (გარიანტი: „მაღლ ურგებელიოდ“ ცოდვა უვნებელ

არაავ — იციან“) და იქვე ჩნდება ის გაფრთხილებაც — „ცოდვა ცოცავსავ“ — ცოდვა ნელა დადისო, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი შენ თუ არა, შენს შთამომავალს მაინც მოეკითხება. ამდენად, ტყით სარგებლობის ოდითგანვე დადგენილი ხალხური წეს-რი-გი ტყესაც უნარჩუნებს სიცოცხლეს და ადამიანთა მოდგმის მო-მავალიც გარანტირებულია.

თუშეთში ხეებთან და მცენარეებთან არაერთი რწმენა-წა-რმოდგენა არის დაკავშირებული. მაგალითად, ხის მჭრელი აკვირდება ხის მოჭრის დროს პირველად ჩამოჭრილი ნაფო-ტი მიწაზე როგორ დაეცემა — წაღმა თუ უკულმა. ამის მიხედვით ოჯახის ხვავიანობას განსაზღვრავს. გულით დაცემული ნაფოტი წველაში ბარაქაზე მიანიშნებს, ქერქით დაცემული კი — სულადის (მარცვლეულის) კარგ მოსავალს უქადის. ფიჭვის პირველ ნა-ფოტს კროჭში — ქალის სახელსაქმო ინვენტარს პატარა ყუთში — შეინახავენ და ახალ წელს მარცვლეულის კიდობანში ჩააგდებენ. არის რწმენა, რომ ამ ბედნიერ დღეს სულადში — მარცვლეულში ჩაგდებული ნაფოტი „ხვავიანობას უზრუნველყოფს და ეტლიან-დოვლათიან წელიწადს მოასწავებს“ [ბედუკაძე, 1973, 27].

საქართველოში ბევრგან შეხვდებით ხატის ტერიტორიაზე სამკაღრეთებით — ქსოვილის ნაკუწებით — შემოსილ ხეს, რო-მელსაც ადამიანები ხატის სიმბოლურ სახეს, ხეს, მაღლიერების ნიშნად აბამენ ან სურვილს ჩაუთქვამენ და რაიმე კონკრეტულს შეავედრებენ. იდუმალი კავშირი ხესთან თუშეთშიც არსებობს. თავმტკივანი ადამიანი მუდმივად ატარებს ჯიბით წითელი ფე-რის ძაფს და როცა ეტყვიან, რომ ახალი მთვარე გამოვიდაო, ძაფს თავზე შემოიკრავს. წავა ტყეში ისეთ ადგილას, სადაც სამი წელი აღარ მოხვდება, შეისწის ძაფს, რომელიმე ხეს შეაბამს და ეტყვის: „აქამდის მე მქონდა თავის ტკივილი, ახლა შენი იყო-სო“... სამი წლის შემდეგ ხე გახმება, ავადმყოფს კი თავის ტკივი-ლი გაუვლის“ [აზიკური, 1995, 120, 121].

ხეს და ხის ტოტებს სარიტუალო დანიშნულებითაც იყენებენ: ხის ტოტებზე არის აბმული საკულტო დროშები, ალმები, ბაირა-ლები. ხისგან ამზადდებდნენ „სადისწულო ჯვარსაც“: დედისძმა დისწულს ქორწილში ხილითა და საჩუქრებით შემკულს და სა-ნთლებით გაჩირაღდნებულ ხის ჯვარს მიათრევს.

ქერიფქლისა და ასკილის ტოტებს ახალი წლის დილით უბრად წასულელები მოიტანენ და სახლისა და ბოსილის კარ-ფა-ნჯრების თავზე არჭობენ. ეს მცენარეები, ხალხის რწმენით, სახ-ლს, ოჯახს, ოჯახის წევრებს და საქონელს იცავს ავი თვალისაგან. ამავე ფუნქციით, ხარებობის დილით უბრად წასულელებს მოაქვთ თურსა'ის (ურძნის) ტოტები, ჭრიან პატარ-პატარა „მძივებად“, გულს გამოუღებენ და წითელი ფერის ძაფზე აცმულს აბამენ ყველაფერ იმას, რისი დაცვაც უნდათ ავი თვალისაგან: სარძე-ვე ჭურჭელს, საქონელს კუდებზე; ქალები, გოგოები და ბავშვები თმაში ჩაიწნავენ...

თუშეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ხალხში არის რწმენა, რომ ხეებსაც ესმით ერთმანეთისა, მათაც შეუძლიათ ერთიმეორეში საუბარი, გადაძახილ-გადმოძახილი. ისინი ფესვებით სულ ერთმანეთს არიან ჩაჭიდებულნი. ისინი ერთმანეთს ამბებს ფესვებითა და ფოთლებით ატყობინებენ, შესჩივიან თავის ჭირ-ვარამს, სიხარულს... მათი ენა მხოლოდ იშვიათ ადამიანს ესმის.



ტყეს, ხეებს და კლდე-წყალთ ამცნობენ განსაკუთრებული ნიშნებით დაბადებულ ბავშვებზე, რომ ის უვნებლად გაიზარდოს. არის რწმენა, რომ ბითაო — ნეკნების მავიერ ერთიანი ძვალი რომ აქვთ ან რაიმე ნაწილი — მხრებზე მზე და მთვარის გამოსახულება ან სხვა რაიმე ნიშანი, ასეთი ბავშვები „ნაწილიანები“ არიან, ისინი ფიზიკურად კი იზრდებიან ძლიერები, გონებითაც მეტისმეტად გამჭრიახები არიან, მავრამ დედაზე ადრე მათ „ნაწილს“, ამ განსხვავებულ ნიშანს, თუ სხვა ვინმე შენიშნავს, აუცილებლად დაიღუპებიან. ასეთ შემთხვევაშიც დედა ნაწილის დანახვისუმაღ ტყეში წავა და ხმამაღლა შესძახებს, რომ მას ნაწილიანი შვილი გაუჩნდა. ამის შემდეგ, ბავშვის ნაწილიანობა, გამორჩეულობა უკვე საშინი აღარ არის.

სამეურნეო დანიშნულების ხის ნივთები

თუშეთში სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ფართოდ იყენებენ ხისგად გამოჩარხულ და წნულ ჭურჭელს – გოდრებს, რასაც არყის ხის წნელებისგან ადგილზევე ამზადებენ.

ჭურჭლისა და სხვადასხვა ნივთებისა თუ სამეურნეო დანიშნულების საგნების დასამზადებლად ხის ჯიშებს საგულდაგულოდ არჩევენ გემოვნების მიხედვით. ხალხი ოდითგანვე არჩევდა „ტკბილსა და მწარე“ ხეებს და ამას ჭურჭლის დამზადებისას დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან ის თავისი ფუნქციით პროდუქტების დამზადება-შენახვისთვის არის განკუთვნილი.

სამასალედ ხეს შემოდგომაზე ან ზამთარში ჭრიან, მაშინ, როცა იგი მშრალია. ამ დროს დამზადებული ჭურჭელი უფრო მაგარია – არ სკდება. ქერქისაგან დასამზადებელი ჭურჭლისათვის მასალა კი მაშინ უნდა მოიჭრას, როცა ხეს წვენი უკვე აქვს, რომ ქერქის აყრა ადვილი იყოს. მთაში ხეს წყალი მაის-ივნისში ჩაუდგება [ხაზარაძე, 1972, 142]. ხალხური დაკვირვებით, ახალ მთვარეზე მოჭრილ ხეს ჭია უჩნდება და ამიტომ საჭურჭლედ ხეს ძველ მთვარეზე მოჭრიან. საშემედ კი არჩევენ მის მოჭრას მაშინ, როცა ჯერ სითხე გამშრალი არ არის. სითხეგამშრალ ხეს ქერქი ადვილად არ ეცლება. საშემე ხეს მოჭრის შემდეგ ქერქს აცლიან, რომ მალე გაშრეს და ადვილად დაიწვას.

ხის ჭურჭელი და სამეურნეო დანიშნულების საგნები ფართოდაა წარმოდგენილი თუშეთის საოჯახო თუ სამეურნეო ყოფაში. ჭურჭლის აღსანიშნავ ზოგად ტერმინად „ბუნავს“ იტყვიან, ხოლო სამეურნეო დანიშნულთა აღსანიშნად – „საწმარ-საციქველს“.

ჭურჭლის მრავალფეროვან სახეობებს შორის (ვერცხლის, თითბრის, თუჯის, სპილენძის, ქვის) ხის ჭურჭელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, ძირითადი ადგილი უკავია. ხის ჭურჭლის მრავალფეროვნებას მეურნეობის ტრადიციული დარგები განაპირობებს – ეს იყო სამთო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მეცხვარეობა). თავისთვის საჭირო ხის ჭურჭელს თუშები თავისივე ტყეებში ნაზარდი ხეებისგან ამზადებენ.

ხის ჭურჭელს ამზადებდნენ „შინა კაცები“ – ისინი, ვინც ცხვარში არ დადიოდა. ოსტატობით გამორჩეულებიც ადგილზევე იყვნენ, ვინც უფრო დიდი ჭურჭლის – კოდები, ჩხუტები... დამზადებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ისინი, გამორჩეულად „კარგი ხის ჯელი“ რომ ჰქონდათ, უფრო დიდი ზომის ჭურჭელს – კოდებს, კასრებს, ჩხუტებს... ამზადებდნენ; ისინივე მუშაობდნენ სახლისთვის ასაშენებლად საჭირო ხე-მასალაზე, ამზადებენ კედლის კარადებს, კიდობნებს... ხალხური რწმენით, ორშაბათ დღეს წისქვილში ჩასახული ბავშვი, თუ ბიჭია, აუცილებლად „ხის ქელიანი“ გამოვა, მას აუცილებლად „კაი ხის ჯელი“ ექნება. წვრილ ჭურჭელს – „ქიტებსა“ (საწნე კოვზი) და სხვადასხვა ზომის კოვზებს... ზაფხულში საძოვარზე მყოფი მწყემსებიც თლიდნენ.

ხის ოსტატები დასამუშავებლად ზრდასრულ ახალგაზრდა ხეებს არჩევენ. ცაცხვი, ფიჭვი და ვერხვი რბილმერქნიან ხეთა რიგს განეკუთვნებიან, არყი კი მაგარმერქნიან ხეთა რიგში შედის. სა-



რძის პროდუქტების დაშლადება-შენახვისათან დაკავშირებული მურაქალი: ჩხუტ-ბრუნელი, დურკი – ცხვრის საწველი, პატარა ზომის, სახელოვანყრილი კასრი, უფრო მოზრდილი დურკი – ფურის საწველა; ყველა ეს არყის ხისგან მზადდება. არის დიდი კასრი – ჩხუტი – რძის ჩასაყენებელი და შესადღვები. ის ერთიანი ცაცხვის ხისგან არის დამზადებული, ქვემოდან „მსკერი“ აქვს შესმული და შემოკრული აქვს ხის სალტე – ყაპყათო [ხოჭორიძე, 1993, 216]. ბარცაკალი – კიდეებამოღარული ფიცარი, რომელზეც მეყველე ყველს წურავს და ფორმას აძლევს; არის საკარაქე და საერბოე ჯამები, საერბოე ბაზუნა – დაჭრელებული სახურავიანი ჭიქა, რომელსაც „სატანის“ (მისაყოლებელი) ველზე სატარებლად იყენებენ; რძის გასაწური და სარძევე ჭურჭლის გასარეცხი „ქოჯო“ – მაჭტის (გრაკლა) ტოტებისგან გაკეთებული პატარა ცოცხია; „წიწანა“ – პატარა ზომის საერბოე ჯამია, რომლითაც მაგიდაზე ერბოს დგამენ; საკალტე არის არყის წმინდა წნელებისგან დაწნული ლასტი; კიშტეი – ხაჭოს კვერების გასაშრობი ჭურჭელი.



მარცვლეული პროდუქტების დასამუშავებლად, დასამზადებლად და შენახვისათან გამოყენებული ხის მურაქალი: რიჭი, სარიჭნავა – მარცვლეულის გასასუფთავებელი, ცალ მხარეს ღია და სამ მხარეს ზეაქნილი კიდეებით; რიჭით მარცვლეულს ქვა-ქვიშას აცლიან, ცხრილი, ცხავი, კოდი, გოდორი, ქუმლის (ხელი) საცხველი... „კოდი“, „ხონი“ – ცომის მოსაზელი, „ტმოშტი“ – ხის სამფეხა სახურავიანი ჯალის მოსაზელი ჭურჭელი, „იჯავა“ – პატარა კოდი – ფქვილის და მარცვლეულის შესანახი. იჯავაში ინახავენ ქუმელსაც; კოდი – დიდი ხის მთლიანი ტანის გადანაჭრისგან გაკეთებული ჭურჭელია. 200–300 კგ-ის ტევადობის კოდში მარცვლეულის გარდა ფქვილსაც ინახავენ; ის მარცვლეულის საწყაოც არის. მცირე ზომის კოდი, 50 კგ მარცვლეულს რომ იტევს; „ლიტრაი“ – კასრი – 5 კგ მარცვლეულს რომ იტევს; „კაბიწი“ – ხის დიდი მარცვლეულის ასაწყავი, 8 კგ. მარცვლის ტევადობის ჯამი; 50 კგ-იანი კოდი რვა კაბიწს იტევს; „ქრიჯი“ – კოდიდან ფქვილის ამოსაღები სახელოვანი, ხის დიდი ქაფჩა; „ქრიჯია“ წისქვილის ხვიშირაზე ჩამოკიდებული ხის ღარიც, რომლითაც მარცვლეული ჩადის კრიჭაში [ცოცხანიძე, 2013, 243]; „ნიჩაფი“ – ლუმელში ცომის გუნდის შესადები; „საჭვრეთელა“ – რიტუალური პურისა და კოტრის (გულიანი პატარა ქადა) დასაჭრებელი ბეჭედი; ჯალის (ქუმელის) მოსაზელი ტმოშტი თუშეთისათვის, როგორც აღნიშნავენ, ლოკალურია და ძველი [ხაზარაძე, 1888, 19].



მასალედ ცაცხვის მოჭრის საუკეთესო ასაკია 30–50 წელი. არყის ხე 40 წლისა ჯობია. ფიჭვის 100 წლოვანი ასაკი ტექნიკური სიმწიფის საუკეთესო ასაკად ითვლება [ბედუკაძე, 1973, 18]. დასამუშავებელ ხეს საგვს მთვარეზე ჭრიან. ბებერი ხე სამასალედ აღარ ვარგა, რადგან მას მერქნის მთლიანობა უკვე დარღვეული აქვს.

ტკბილ ხეებს განეკუთვნება არყი, ცაცხვი, უფისო ფიჭვი, ვერხვი. ხალხური შეხედულებით, სიმუხვე ხის სიმაგრის, სიტკბო კი სირბილის მანიშნებელია [ბედუკაძე, 1967, 124]. ტყით სარგებლობის დროს, ისეთ საქმეში, რასაც ბევრი მუშახელი სჭირდება და თანაც დროშია საშური, ხალხი ერთიმეორეს ეხმარება. ერთ-ერთი ასეთი საქმე არის საზამთრო შეშის მოჭრა, მისი ტყიდან გამოტანა და სოფლამდე, პატრონამდე მიტანა, რასაც „შეშამ-ჭრელა“ ებწ, „მეტვირთულნი“ და „შეშამყრელა“ ები“ ჰქვია. შეშამყრელა ები მაშინ სჭირდება ოჯახს, როცა საშემედ მოჭრილი ხეები მთიდან უნდა დაცურდეს და შემდეგ მდინარით იქნეს მიტანილი გარკვეულ ადგილამდე. მთის ჩქარ მდინარეში არ არის ადვილი ასეთი სამუშაოს შესრულება. ამიტომ მეტი მუშახელია საჭირო. მეტვირთულს კი ტყეში უკვე გამზადებული შეშა ისეთი ადგილიდან გამოაქვს, სადაც რთული რელიეფის გამო ტვირთმზიდავი ტრანსპორტი ან მუშა პირუტყვი ვერ მოძრაობს. პატარ-პატარა კონებად შეკრული ნეკერი ტყიდან ქალებს ზურგით გამოაქვთ. დამზარე მუშახელს მასპინძელი სუფრით უმასპინძლდება.



ლუდის გამოხდასთან დაკავშირებული ხის მურაქალი და ინვენტარი: კოდი – დიდი კასრი, რაშიც აფუვლებენ ლუდს, მასშივე ჰყრიან საალოე ქერს დასალობად. საწდე, საკარეში ლუდის გამოსატანი ჭურჭელი; ქაფქირა – ხარშისას ლუდის მოსარევი ჩამწა ლასტა/ლასტბაი – ლუდის გაწურვისას დარკოს, და მისწვენის – სალუდე სითხის შესაგროვებელი, მთლიანი ხის ტანისაგან გაკეთებული ნავისებრი ჭურჭელი; ყელსაჭირა – და საჭირა – წნელით გადაბმული წყვილი ხე, ტომრიდან სალუდე სითხის გამოსაწური არტახები; „ქოჯო“, ივიე „სარეველა“ – სალუდე ქვების მოსარევი, გრძელი ტარი, რომელსაც ძირთან შემოწყობილი და წნელით შეკრული აქვს ჩხირები [ხოჭორიძე, 1993, 173], იჯავა – ლუდის ჩასაყენებელი კოდისებური, მომცრო ჭურჭელი [ხაზარაძე, 1972, 144–145].



ხის სასმისები: თასი – ლუდის სასმისი (თასები არის სპილენძისაც და რქისაც); ტარკოშა – კოდიდან ლუდის ამოსაღები რამდენიმე ლიტრის ტევადობის ხის კოში. ჯვარობაზე შემოსწრებულ საპათო სტუმარს ლუდს ტარკოშა ით მთართმევენ. ხატობაზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში ლულიანი ტარკოშა გამარჯვებულის პრიზია [ცოცხანიძე, 1999, 221–222]. ბარძიმი – ისიც ივიე თასია, ოღონდ ფეხი აქვს, ლუდის სასმისია; ჩირჩა, ბაზუნა – [ხოჭორიძე, 1933, 84].



ნამლის შენახვის მურაქალი: თუშებს ჰქონდათ ხისა და რქის ჭურჭელი – „საწამლე“. ხის საწამლეს როკისაგან (ხის კურისაგან) აკეთებდნენ [ხოჭორიძე, 1993, 276].



არყის გამოხდასთან დაკავშირებული ხის მურაქალი: საარაყე კოდნი, რომელშიც აყენებენ დასაფუვლებელ საარაყე მასას; ხის გეჯაი – ნავისებრი ჭურჭელი, რომელშიც მივდებულა ცივი წყალი და გაყრილია ნუნა – სპილენძის მილი. ამ მილში გამავალ ორთქლს გეჯის წყალი აცივებს და არაყად გარდაქმნის; ღარკეცა – ხის ღარი, რომლითაც გეჯაში წყალს მოუვდებენ; საარაყე ქაფქირა – ანუ სარეველა – რომლითაც ქვაბს ურევენ, რათა ბუყი არ დაილექოს და ძირზე არ მიიწვას. საბუყე გეჯაი – ბუყის შესანახი ხის ნავი; ბუყი – ბუშალაყი – არყის გამოხდის შემდეგ ნარჩენი მასა [ცოცხანიძე, 1999, 50]; საბუყე კოჩხოი – ბუყის ამოსაღები დიდი ჩამწა [ხოჭორიძე, 1993– 176].



სამზარეულოსათვის, საკვებისათვის განკუთვნილი ხის ჯურჯალი: საფაფე ჯამი — ხის მოზრდილი ჯამი, მცირე ზომის, სხვადასხვა დანიშნულების ჯამები, ხონჩა — ხინკლის ამოსაყრელი და ქუმელის დასალაგებელი; ტაბაკა 'ნ/ტაბაკი გორდილა 'ის — მოხარული ცომის ან მჭადის კვერების ამოსაყრელი, ტაბკურა 'ნ — მცირე ზომის ტაბაკი; ტაგანა 'ნ — სამარილე, სახურავიანი, ოთხკუთხა, მოგრძო, დაჭრელებული ყუთი; სანივრია 'ნ — ნივრის სანაყი ფილთაქვა. სხვადასხვა დანიშნულების კოვზები — საფაფია 'ნ — უფრო ღრმად ამოღებული გულით, სახავიწია 'ნ — ნაკლებად ღრმა გულით; სამოს-მულა 'ე ჩხირებ — წვრილი და გრძელი, სუფთად გათლილი ჩხირები, მოსმელა 'ის იგივე ანტირას, საჭმელად მოსახმარი; ქაფქირა 'ნ — ხის მრგვალი, ვახვრეტელგულიანი ქაფჩა — ხინკლის ან გორდილა 'ის (მოხარული მჭადის კვერები) ამოსაყრელი; სხვადასხვა ზომის ქიტ — ხაჭოს კეთებისას, დოს მოსარევი; წვნიანის შესახვრები, გრძელ-ტარიანი ქიტ , კოჩხო — ხის გრძელტარიანი საწენე. ფეჭიან ხონჩა — სუფრაზე საჭმლის მისატანი წაგრძელებული თაბახი; ბაკან — თაბახისებრი ღრმა ჭურჭელი...



საველე დანიშნულების ხის ჯურჯალი: კოჩხო, რომელიც მწყემსებს გუდაზე ჰკიდიათ წყლის დასალევად, საოჯახო კოჩხოსთან შედარებით მას მოკლე ტარი ვახვრეტელი აქვს, რითაც გუდაზე გამობმულ რქის საკიდელზეა გამოდებული; საერბო ბაზუნა 'ნ ხის ჭიქა, რომლითაც მენახირეს ველზე საგზლად ერბო-კალტი მიაქვს.



ხისგან დამზადებული საბრუნავი საშუალებები: მარხილები — კალოზე მოშვებული ძნის მისატანი; ჯინი — მარხილზე დადგმული დიდი გოდორი, რითიც ნაკელი გააქვთ; ქოკები — ბავშვების სასრიალოები თოვლზე, თხილამურები — თოვლზე სასიარულო ძირგახლართული რგოლები; სასაპალნე-ტვირთშიდი პირუტყვის აღკაზმულობის ხისგან დამზადებული ნაწილები — კეხ-უნავირი, ქოჭები; თოვლზე სასრიალო ციგები.



ხისგან დამზადებული სახელსაქმო დანიშნულების ინვენტარი და იარაღები: ქსლის მოსადევარი; ჩითების (ნაქსოვი ფეხსაცმლის) მოსადევარი, ხის კალაპოტები; აკამებ — ვერტიკალური საქსოვი დაზვა და მისი მოსადევარი, ტარაკუა 'ნ — ძაფის დასაშულოებული და ამოსახსნელი ხელსაწყო; ჩიხრიხნ (ხელის და წელის) — ბალნის და ძუის სართავი; მატყლის სართავ-საგრეხი — ტარნ (თითისტარი), ჯარან (ჯარა), სახრელ — თითისტარის საბრუნე; ხოკერ — მატყლის ფთილების ჩასალაგებელი, ხის ქერქის ძირგამოწველი რკალი...



ხორცის პროდუქტების დამუშავება-შენახვისათვის დაკავშირებული ხის ჯურჯალი: „წორცის საკეპავა' ფიცარი“ (ხორცის დასაკეპი ფიცარი), „წორცის შესახანახა' დურკი“ — პატარა კასრი, სახელურის გარეშე, დამარილებული ხორცისთვის.



ბალახეული ხალხურ სამზარეულოში

თუშების სამზარეულო, რძის პროდუქტებისა და ხორცეულის გარდა, მცენარეული საკვებითაც უხვადაა გაჯერებული. თუშეთში არსებულ ველურადმოზარდ მცენარეებს თუშები ჩაის დასაყენებლად, მხალეული კერძების მოსამზადებლად, სამწნილად, სანელებლებად და სამკურნალოდაც იყენებენ. სამკურნალოდ მოიხმარენ — ქერიფქლა'ის ყვავილებს, საწოვარას (ბარამჩაი), ბექთქონდარა'ს, კრაზანას, დეკის ფოთოლს, ვვაფა'ის (ქოლო) ნაყოფს, ცაცხვის ყვავილს, შავესკალა'ს (შავი ასკილი), წითელ ესკალა'ს... ყველა ამ მცენარეს ჩაისთვისაც იყენებენ. უფრო ინტენსიურად კი მათ ცხელ ნაყენს სიციხიანებს და გაციებულებს ასმევენ. ამათ გარდა სამკურნალოდ იყენებენ — გიეშს, გულბანდს, დუცს, ჭირტალს, ხუნწის ფოთლებს, ფოხვის ფოთლებს, ღოღოს, ღოღოს ხოხორს (თესლს), შალდაყს, შუპყა'ს, სხამა'ს, წალიკა'ს, ცხრაძარღვას, მელაკუდა'ს, დუცს...

ზამთრის სიცივის გამო მიღებული ხორციანი და ცხიმიანი მსუყე საკვების თავისებური კომპენსაცია მცენარეული საკვების მარაგიც, რაც უწინ ყველა ოჯახს ჰქონდა. თუშები, მართლაც, იმდენაირ ბალახეულობას ეტანებოდნენ თუ უმად და თუ მომ-

ზადებული სახით, რომ გარეშე თვალისათვის ეს შესამჩნევი ყოფილა: „კახს“ (კახელს) უთქვამს — „თუში ყველა ჯურის ბალახსა ტამს, კატატ-კუტატს, შხამას უფრო ძრიანა ტამსო“ [კურდღელიძე, 1983, 14]. სხამას ხომ ჰიგიენისა და სამკურნალო მიზნით იყენებდნენ თუშები. ჩანს „კახმა“ მის მოწყვეტა-მოთხრასაც შეასწრო თვალი. სხვა თუშური გადმოცემის მიხედვით, გირევისა და ფარს-მის ციხეები მამა-შვილს უშენებიათ, გირევისა მამას, ფარსმისა კი — შვილს. შვილს შეუჩივლია მამისთვის — ცუდად მაჭმევნო და მე ამათ უნდა ვულალატო. — რას გაჭმევნო — უკითხავს მამას. — ერბოან ყვა'საო. — თვითონ რასა სჭამენო — კვლავ ჰკითხა მამამ და — თვითონ ბალახ-ბულახსა სჭამენო — შვილს უთქვამს. — მაგათ არ უღალატო, შენთვის უკეთესი საკვები უძლევიო — უთქვამს მამას [ბოჭორიძე, 1993, 425]. ვარიანტის მიხედვით ფარსმანელები შვილს (ციხის მშენებელს) „საჩხრეკათი (დოზე მოყრილი ვალი) კვებავდნენ, თვითონ კი ლუდის ნარჩენ ჯოტზე ყოფილან [ცოცანიძე, 1990, 12-13].



ჩაის დამზადება. საჩაიედ ზამთრისათვის იმ მცენარეებს აგროვებენ, რომელსაც გამოკვეთილი სურნელება აქვს — ბექთონდარას, თავშავას, პიტნას, კრაზანას...

ჩაისთვის მცენარეს ახალმოკრეფილსაც იყენებენ და საზამთროდაც იმარაგებენ. კრეფენ უკვე დაყვავილებულ ღეროებს, კრავენ პატარა-პატარა კონებად და ჩრდილში, სანიავოზე ჰკიდებენ და ისე ახმობენ. კონებად შეკრულსვე ინახავენ ჩითის ნაჭრის პარკებში.

ჩაის ამზადებენ უშუალოდ მოხმარების წინ და იძენს, რამდენიც ერთ ჯერზე სჭირდებათ. წყალი რომ ადუღდება, ჩაიდანს ცეცხლიდან გადმოდგამენ და იქვე, ცეცხლთან ახლოს დადგამენ, მალე რომ არ გაცივდეს. მაშინვე ჩაყრიან მცენარეს. ცოტა ხანს აცლიან და მერე გამოიყენებენ. უმეტესად საჩაიე ბალახს არ ხარშავენ; მხოლოდ გულბანდს და გიეშს უნდა ცოტა ხანს ხარშვა, ისიც მაშინ, როცა სამკურნალოდ სჭირდებათ.

ჩაის დაყენება ორი მცენარის შერევიდაც იციან. მაგალითად, ხუნწის და ჯვაფა 'ის ფოთლებს, ცაცხვის ყვავილსა და პიტნასაც ერთმანეთში ურევენ.

ალსანიშნავია ისიც, რომ ხალხური შეხედულებით ერთი და იგივე მცენარის ხანგრძლივად, 8-10 დღეზე მეტხანს, გადაბმით გამოყენება არ შეიძლება და ამიტომ, მცენარეებს ერთიმეორეს უნაცვლებენ.

თუშებს „მწვავ ჩაი“ — ცხელი ჩაი — ძალიან უყვართ. ზოგჯერ ცივ და ცრიატ დღეს თაფლთან ერთად ჩაიში ცოტა არაყსაც ჩაურევენ. ჩაის ძველად დილის ტრაპეზზე — „სადილზე“ — მიირთმევდნენ, ახლა — მთელი დღის განმავლობაში.



კოტორი. თუშეთში ერთ-ერთი გავრცელებული და მიღებული საკვები კოტორი, იგივე ხაჭაპურია. მის გარეშე საზეიმო სუფრა არ იქნება. ცხვება საყოველღელოდაც და სარიტუალო დანიშნულებითაც. საკულტო მსახურება ჯმიადსა (უფუარი ცომისგან გამომცხვარი პატარა, სამკუთხა პური) და კოტორზე იციან, სანთელს კოტორზე ანთებენ. საგულა 'ად (შიგთავსი) კოტორს სხვადასხვა მასალას უკეთებენ — ერბოიან ხაჭოს, ახალ ყველს, ერბოში მოშუშულ ფქვილს შიგ ჩაჭრილი ძველი, მარილიანი ყველით; კარტოფილსა და მასთან შერეულ ხაჭოს ან ძველ ყველს, ქუმელს და სხვადასხვა მხალეულს — საამისოდ უფრო წითელ მხალსა და თათაბოს (ნაცარქათამა) იყენებენ. იციან „ჯინჭრის საგულა 'იანი“ კოტორიც. მრგვლად გაბრტყელებულ ცომზე დადებენ „საგულა 'ს“, შეკრავენ, გააბრტყელებენ და გამოაცხობენ. ტაფიდან გადმოღების შემდეგ ერბოთი კარგად ვაპოხავენ.

წელიწადში ერთხელ, სანამ ცა იქუხებს უნდა მოესწროს „ცისაქუხარა 'ის“ გამოცხობა: ეს შიგთავსიანი რიტუალური პურია, რომლის გულადაც მხოლოდ ველურადმზარდი შვიდი ან ცხრა სახის მცენარე გამოიყენება. ერთ ცალს აცხობენ — „კვალა 'დ“ (სიმბოლურად). შეავროვებენ მიწიდან ახლადამოჩენილ მცენარეებს — ენძელას, მჩადა 'ს, ჯინჭარს, ღოღოს, საჯარას... უმეტესი მასალა მჩადა და ენძელაა, რადგან ისინი ყველაზე ადრე აღმოცენდება. ენძელას ძირიანად იღებენ. ამ მცენარეებისგან მომზადებული მხლით „ცისაქუხარა 'კოტორს“ აცხობენ. ამ კოტორზე ანთებენ სანთელს და იმ წელს ვარდაცვლილი პატარების შესანდობარს იტყვიან — „ნუ დავეშინებთ ცის ქუხილისა, ცისაქუხარა ' გიცხვეთ, ნუამ დავაშინებთ ავქარნიდ ' ავკაცნი“. არის რწმენა, რომ ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ იმ წელს „ვარდაცვლილი პატარებს ცის ქუხილი ველარ შეაშინებს“ [აზიკური, 1987, 216-223]. უწინ ზოგ სოფელში, მაგ., ვესტომში (გომეწრის ხეობა) ცისაქუხარას პატარებთან ერთად დიდებისთვისაც აცხობდნენ. ზამთარში ვარდაცვლილს უცხობდნენ ცისაქუხარას — „ცამ რო იქუხოს, მკვდარს არ დაშინდენავ“ — შეშინდნენო (რებკო რაინაული) [აზიკური, 1974, 2, 27-28]. პირიქითის ხეობის, სოფ. გირეგში იცოდნენ უღელდების დღეს, ძველი სტილით 25 მარტს, ენძელას ძირის საგულა 'იანი კოტორის გამოცხობა. ეს იყო „უღელდების კოტორი“.



ჩაჰვი. მცენარეებს წვნიანი კერძის მოსამზადებლადაც იყენებენ და მისი ზოგადი სახელწოდება არის „ჩავეე“. საჩავეე მცენარეებს ზაფხულში მხლადაც და ჩავედაც, ანუ წვნიან კერძში, იყენებენ. ზამთარში კი მათგან მხოლოდ ჩავეს ამზადებენ. საზამთრო მარაგისათვის მცენარეს ნორჩსავე დაკრეფენ. შესანახად მოტანილ ახალმოკრეფილ საჩავეე მცენარეებს ერთი დღით ჩრდილში გაშლიან, რომ ჩაჭკნეს, ღერო მოდუნდეს და დაწვინას არ დატყდეს. შემდეგ მას „კუღებად“, ანუ გალებად დაწნავენ და ჩრდილში, უმზეოდ, სანიავოში ჩამოკიდებულებს გაახმობენ. გამხმარს კი ტილოს, ჩითის ან მიტკლის პარკებში ინახავენ.

ჩავეს ორნაირად ამზადებენ — უხორცოდ და ხორცთან ერთად. უხორცო ჩავეს ზაფხულში ამზადებენ, როცა მცენარე ქორფაა, ახლადამოსული. მას ცოტას, ერთ-ორ მუჭას მოკრეფენ, ბევრ წყალში მოხარშავენ, ფქვილის ვარფასაც ვაკუეთებენ და მარილითა და ერბოთი შეანელებენ. ვაზაფხულზე „ზე-წველა“ როცა არის, ცოტა წყალში მოხარშულ საჩავეე ბალახს ბლომად რძეს ჩაუმატებენ, წამოადუღებენ და მარილს და ერბოს ვაკუეთებენ. ეს არის „ზიან ჩავეე“, განსაკუთრებით გემრიელია „პიტნა 'ის ზიან ჩავეე“. ვაზაფხულისა და ზაფხულის ჩავეს ფქვილის ვარფასაც უკეთებენ. ვარფა არის წყალზე ან რძეზე ფქვილის მოკიდებით მიღებული თხელი მასა. იხმარება წვნიანის შესასქელებლად [ცოცანიძე, 1999].

ზამთარში საჩავეე მცენარეების „კუღებს“ გამოყენების წინ წყალში ჩაალბობენ, დაჭრიან და „საჭარა 'სთან“ — მარილში გამოყვანილი ცხვრის, თხის, ძროხის ან წმინდა ნადირის (ჯიხვი, ნიამორი) შიგნეულთან ერთად ხარშავენ. „საჭარას“ — წერილ, გრძელ ნაჭრებად დაჭრილ ვასუფთავებულ ფაშვს და ნაწლავებს — ზაფხულში 4-5 დღით ჩამარილებენ ხის კასრში და შემდეგ სიძზე დალაგებულს ან თოკზე ვაკიდებულს გააშრობენ. საჭარას ცალკე არ ხარშავენ, მას წერილად დაჭრილს მხოლოდ ჩავეში ხმარობენ. ამიტომ ჰქვია „საჭარა“.

საჭარაიან ჩავეში მოზრდილ მოსმულა 'ებსაც აყოლებდნენ. მოსმულა არის ცომის გუნდა, რომელიც ხონის (გობის) კიდეზე გასმით თხელ, პატარა ხვეულ გუნდებად კეთდება.


თუშები „ყალის ჩავეს“ არ აკეთებენ არც მარხვაში და არც სამარხვო დღეებში — ოთხშაბათ-პარასკევს. „წორცის კვირაში“ ჩავეს არ ხარშავენ, რადგან არ შეიძლება — სახლს ავსულნი აესევიანო. ამაზე ლექსის ფრავმენტიცაა შემორჩენილი — „ჩავე დულს წორცის შაბათსა, შავბნელის თორღვა 'ისასა“. თორღვას ეპითეტი „შავბნელი“ უკვე მუქარის შემცველია, ავის მომასწავებელია, იგულისხმება, რომ რაღაც დაუშვებელი, მიუღებელი რამ არის ჩადენილი, რომელიც აუცილებლად დაისჯება.



მხალეული. თუშები მხალეულს ინტენსიურად ვაზაფხულზე მოიხმარენ, როცა მცენარე ახალგაზრდაა, ლორთქია, მოგვიანებით იყენებენ ძველზე ახალგაზრდა ამონაყარსაც, ე.წ. აქვიტს. დაბერებული მცენარე სამხლეად აღარ გამოიყენება.

ველური მხალეული ძირითადად სამნაირად გამოიყენება: 1. „მხალი“ — ვარკვეული წესით მომზადებული მშრალი, უწენო კერძი; 2. „ჩავე“ — მხალეულის წვნიანი და 3. „კოტორის საგულა“ — ხაჭაპურისნაირი პურიული, რომელსაც შიგთავსად „მხალს“ უკეთებენ (მხლოვანები).

მხლის ვასაკეთებლად მცენარეს კარგად ვაარჩევენ, ვარეცხავენ და მდულარე წყალში ჩაყრიან. ღეროს ვასინჯავენ, როცა უკვე მზადაა ანუ მოხარშულია, ქვაბიდან ქაფქირით (ნასვრეტებიანი ხის დიდი ჩაშა) ამოიღებენ. ცოტა რომ შეგრილდება, ხელითაც „ვაჭურავენ“ — ზედმეტ წყალს გამოწურავენ. შემდეგ „ასტამა 'ით — საფხეკლით ან დანით დაკეპავენ ფიცარზე ან ხონში ჩადებულს. ერბოჩადებულ ქვაბს ცეცხლზე შემოდგამენ და ერბო რომ ადუღდება, თანვე დაკეპილ მხალს ჩაყრიან, მარილს მოაყრიან, ხის კოვზით კარგად აურევენ და მხალი უკვე მზადაა. იციან ცალკე ჩახრაკული ხახვით შენელებაც. ზოგჯერ მხალს კვერცხითაც შეანელებენ და ეს არის „კვერცხიან მხალე“.



მწნილი. თუშეთში ველურ მცენარეებს ამწნილებდნენ. „მწნილის ჩასაგებად“ — მწნილის ჩასაღებად — ველური მცენარეებიდან იყენებენ — შებუს (ლანძილი), დიყს, სასუქა 'ს, ჭიმს, გიერა 'ს და წართხალს. ჩამწნილების წინ მცენარეს ჯერ კარგად ვაარჩევენ და ვარეცხავენ. განსაკუთრებით შებუს უნდა კარგად ვარეცხვა. სამწნილად არჩევენ ახალგაზრდა შებუს, დაბერებული აღარც ვარგა. შემდეგ ყველა მცენარეს, ვარდა დიყისა, მდულარე წყალში „მოკანძლავენ“ — მოთუთქავენ, ქვაბიდან ამოწურავენ, მარილს მოაყრიან, კარგად აურ-დაურევენ და ხის კასრებში მავრად ჩატენიან. ორი კვირის შემდეგ მწნილი მზად არის [ბოჭორიძე, 1993, 180].



ღებვის მრცხი. *სამღებრო ქვაბში ფენა-ფენა ალაგებენ მცენარეს და შესაღებ მასალას. ქვაბის ფსკერზე ჯერ ჩაიფინება ბალახი, შემდეგ ძაფი, შემდეგ ისევ — ბალახი და ა.შ. ზემოდანაც მცენარეს დააფენენ, ისე, რომ ძაფი არ ჩანდეს. ბალახი ოთხჯერ მეტი უნდა იყოს შესაღებ მასაზე და ისე ჩაყრიან, რომ ძაფი ქვაბის კედლებს არ ეხებოდეს, რათა გაცხელებულმა ლითონმა იგი არ დაწვას. წყალს იმდენს ასხამენ, რომ შესაღები მასალა თავისუფლად ლივლივებდეს წყალში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი აჭრელება. შემდეგ ქვაბს ცეცხლს შეუნთებენ და ხარშავენ იმდენ ხანს, სანამ სასურველ ფერს არ მიიღებენ. თუ ფერი არ მუქდება, მცენარეს ისევ დაამატებენ. ღებვის ხანგრძლივობაც ფერის მიღებაზეა დამოკიდებული. ღებვის ბოლოს ძაფს ამოიღებენ სამღებროდან, ქვაბზე დაალაგებენ ხეებს, ძაფს ისევ ზედ დააწყობენ და თანვე თბილად ნაბდის ნაჭრებით შეფუთავენ, ტოვებენ მეორე დღიამდე. ის ორთქლზე უნდა გაცივდეს. ორთქლზე გაცივება ფერის გამაგრება-შენარჩუნებას უწყობს ხელს. ასევე ფერის შესანარჩუნებლად და გამოსაკეთად სამღებრო ქვაბიდან ამოღებულ შეღებილ ცხელ-ცხელ ძაფს არყის ხის გაცრილ ნაცარს მოაფრქვევენ, აურ-დაურევენ და თბილად შეფუთავენ. ნაცრის გამოყენებას დიდი სიფრთხილე უნდა, ბევრი ნაცარი ძაფს წვავს. ორთქლზე გაცივების შემდეგ შეღებილ ძაფს, მატყლს თუ ქსოვილს მზის გულზე გააშრობენ — ესეც ფერის გამაგრებას უწყობს ხელს. ცოტა ძაფს დამატებაც ფერს სიმკვეთრეს აძლევს და ტონის გასააქტიურებლად მასაც იყენებენ, აქაც სიფრთხილეა საჭირო — თუ ძაფა მეტი მოვიდა, ძაფმა შეიძლება სულ სხვა შეფერილობა მიიღოს ან სულაც გაშავდეს.*

ძველი წესის მიხედვით ჟანგიან რკინებში ღებვის დროს სამღებრო წვენიდან მცენარის ამოღების შემდეგ, ცეცხლიდან გადმოდგამენ ქვაბს, ცხელ წვენი ჟანგიან რკინებს ნაღვლებ ბაწრებთან ერთად ჩაყრიან, თავზე დაახურავენ და გააჩერებენ ორ დღეს. შემდეგ ამოიღებენ და მზეზე გაფენენ. ბაწარსაც და რკინებსაც მზეზე გაშლიან, რათა ისინი კარგად ჩაიჟანგოს. ამას იმეორებენ მანამ, სანამ სასურველ შავს არ მიიღებენ, ოღონდ ღამე ქვაბს უსახურავოდ არ დატოვებენ.



ვერ ხერხდება. ამისათვის საზამთრო საძოვრებზე მყოფ მწყემსებს ბარიდან მთაში გუდებით ააქვთ შემღები მცენარეები. ესენია: ენდრო, რომელიც მთაშიც არის, მაგრამ „უძალაა“ — ძაფს კარგად ვერ ღებავს, თრიმლი და ინდიგოს კრისტალები, „ლილას“ რომ ეძახდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თრიმლი უწინ დიდოვლებსაც გადმოჰქონდათ თუშეთში (ბოჭორიძე, 1993, 94). ისე, რომ თუში ქალები ბუნებრივი საღებავების ნაკლებობას ბარიდან ატანილი სამღებრო საშუალებებით ივსებენ. ამას გარდა ბარიდან ააქვთ ღებვაში დამხმარე საშუალებებიც — ძალა და შაბი, რომელსაც ბარში ყიდულობენ. ბარში იძენენ ქიმიურ საღებავებსაც. ძალაც და შაბიც ფერის სიმკვეთრესა და უხუნველობას უზრუნველყოფს. ისინი ორივე საერთოდ სამღებრო საქმეში ფერჭერის საშუალებებადაა ცნობილი [მოლოდინი, 1967, 208]. ძალას და შაბის გამოყენება თუშეთის ყოფაში შედარებით გვიან დაინერგა. მანამდე თუში ქალები ძალის მაგივრად ჟანგიან რკინებს („კინ-კუნებს“) იყენებდნენ, შაბის მაგივრად კი დიში — კლდეზე მოდებული მარილის მსგავსი კრისტალები, ფიფქები იხმარებოდა. გემოთი ის შაბსაც ჰვავს და ცოტა მომლამთა და წმინდა ნადირი (ჯიხვი, არჩვი) მის სალოკავად მაღალი მთებიდან შედარებით დაბლა ეშვება. დიში თუშეთში, აბანოს ხევის კლდეებზე იცის. გ. ბოჭორიძის ჩანაწერების მიხედვით „დიში კლდეში არის. ავდრის შემდეგ გამოსცემს ბლომად. ის შაბივით არის, პირს „ხმუჭავს“. იმით მლაშობს ნადირი. მასვე ხმარობენ ტყავების გამოსაყვანად შაბის მაგივრად. ის შაბზე უკეთესია“ [ბოჭორიძე, 1993, 430]. ზოგიერთი მღებავი დიშს გვიანობამდე იყენებდა. დიშს გამოყენების წინ წყალში გახსნიან, თან გასინჯავენ, თუ პირს კარგად „მოჭმუნხავს“, ის უკვე კარგია. მასში ჩადებენ შესაღებ ძაფს და ცოტა ხანი ხარშავენ, შემდეგ გააშრობენ და შესაღებად უკვე მზადაა [მოლოდინი, 1967, 206; აზიკური, 1999, მატყლის... 48-49].

ფერმჭერად ძველად „ნაცარწვერსაც“ იყენებდნენ, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: წყალს წამოაღულებენ, შიგ ჩაყრიან ნაცარს. კარგად მოურევენ და გააჩერებენ. კარგად რომ დაილექება, მის „წვერს“ — სუფთა, კამკამა ნაწილს გადაწურავენ, ეს არის „ნაცარწვერი“. ბევრ წყალში შეურევენ ცოტა ნაცარწვერს და შიგ ჩაყრიან შესაღებ შულოებს ცოტა ხნით. აქ სიფრთხილეა საჭირო — ბევრი ნაცარწვერი ძაფს წვავს — „მხლად აქცევს“ — ჩაშლის. ნაცარწვერის მოსამზადებლად არყის, მურყნის და ფიჭვის ნაცარს იყენებენ, ამათგან არყის ხის ნაცარი საუკეთესოდ ითვლება. ძველად თუშები ნაცარწვერს სამღებროს გარდა, დასაბანად და სარეცხისთვისაც იყენებდნენ — იგი საუკეთესო სადები-ფექციო საშუალებაა.

ძველი ფერებია: თეთრი, შავი, წითელი, ღია წითელი, მუქი ღვიძლისფერი; ლეგა — ლეგაფერი, ანუ წყლისფერი; ლურჯი „მწიე“ — მუქი ლურჯი — ცისფერი, კაპრაშა’ი — მოყვითალო ფერი, ყვითელი; სოსანი, იისფერი, ანუ ღვინისფერი; მწვანე, იგივე აფე და წინგოსფერი. ახალი ფერებია: მწვანის სხვადასხვა ელფერი, ხავსისფერი — ღია მწვანე, ბალახისფერი — მუქი მწვანე, ალისფერი, ხორცისფერი. ელექტრი, სოსანი... ხარისხის მიხედვით კი ფერი არის ლალი — მკვეთრფერიანი, „ჩაშაული“, მუქი ფერისა, „თეთრა’ი“ ღია ფერისა, თალხი — მეტად შავი [ბოჭორიძე, 1993, 93; აზიკური, 1999, 28].



სამღებრო მცენარეების მოზროვების მრადიციული მითოდები. *ღებვისთვის საუკეთესო დროდ ქალები მიიჩნევენ ზაფხულს თვლიან, როცა მზე აქტიურია. ზოგიერთი შესაღები მცენარეც ამ დროს გროვდება. უპირატესობას თბილ, მზიან დღეს აძლევენ, რადგან ცივ, უმზელო დღეში შეღებილი ბაწრის ფერი „ბნავვე“ — უღიმღამო, გამოუკვეთავი, გამოდის. მათი აზრით, „თუშეთ ცხვებურა’ მზეი;“ — თუშეთში სხვანაირი მზეა და დარწმუნებულნი არიან, რომ თუშეთის მზეზე შეღებილი ძაფი სასურველი ფერისა იქნება. ცნობილია მთაში ულტრაიისფერი სხივების სიჭარბე და მათი დადებითი გავლენა ფერის დამავრება-სიმკვეთრეზე.*

შესაღებად ვარვისი მცენარეების მოვროვება ძირითადად ვაზაფხულსა და ზაფხულში ხდება და ეს ქალების საქმეა. ქალები, ჯანგაროს მოსატანად აუცილებლად შეამხანავდებიან, რადგან ის სოფლიდან შორს არის და კლდიან და გადასავარდნად საშიშ ადგილებშია. მისი მოვროვება კი მხოლოდ წვიმიან ამინდშია შესაძლებელი. ამ დროს ფეხიც შეიძლება ადვილად მოუკურდეთ კლდეზე. ჯანგაროს აყრა კარგ ამინდში შეუძლებელია, ისე მაგრადაა კლდეზე მიწებებული. ამინდს ელოდებიან და ვიდრე გამოიღარებს, მიდიან. რაც მეტი იქნება წვიმიანი დღეები, უფრო ადვილდება მისი აყრა-აფხეკა. თან მიაქვთ ასტამა’ები — საფხეკლები ან ძველი, ბლაგვი დანები, რომ შეძლონ ჯანგაროს მოფხეკა, ის ხელით ვერ აიყრება. აფხეკის დროს ქვას უფრთხილდებიან, არ ამტვრევენ, მთლიანად არც მოასუფთაებენ. ეს შეუძლებელიც არის და არასასურველიც. მომავალ წელზეც ფიქრობენ, რომ ჯანგარო ისევ დახვდება. ჯანგარონავროვებ ადგილებში ზედიზედ ყოველ წელს არც მიდიან. ქალებმა კარგად იციან მათი სოფლის ვასადევარში სად არის ჯანგაროიანი კლდეები. ისინი მთელ თუშეთშია. ყველა სოფელს თავისი საჯანგაროე ადგილები აქვს მონიშნული, ზოგან ბევრია, ზოგან — ცოტა. ბევრია სოფელ დადიკურთისთვის, წოვათის, ვესტმოსთვის, ბუხურთის სიხლოვეს, კაბარჭვორთან, დართლოსა და დანოს, დიკლოსა და შენაქოს კლდეებში. ახლადმოგროვილ ჯანგაროს, თუ ის ტალახიანი, მსუბუქად წყალს ავლებენ, ან უბრალოდ ფერთხავენ, რომ ქვიშა და მიწა არ შეჰყვეს. ჯანგარო მრავალი წლის განმავლობაში არ კარგავს შემღებ თვისებას და ამიტომ, როცა ვაბმულწვიმებიანი ამინდი დგება, მიდიან მოსაკრეფად და იქმნიან სათადარიგო მარაგს.

წართხალი, თავშავა, ვირისტერფა, ჯინჯარი, ლოლო... სოფლის ახლოსვეა და იგი ახალ-ახალი მოაქვთ უშუალოდ ღებვის წინ. თუ დრო არა აქვთ და ახალ მცენარეში ვერ შეღებავენ, შეიძლება მისი მოვროვება და შემდეგისთვის შენახვა. მაგალითად, თავშავას სამერმისოდ მარიამობის თვეში აგროვებენ. ზაფხულში მოგროვილ მცენარეებს კონებად შეკრავენ და ისე ახმობენ ჩრდილში, სანია-ვო ადგილას ჩამოკიდებულს. მოხმარების წინ მას აუცილებლად ჩაალობენ და შეღებვის წინ იმავე წყალში ჩადებენ შესაღებ ძაფსაც. სამღებრო მცენარე ვახშობის გამო არ კარგავს შემღებ თვისებას, ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში, როცა კი ამ საქმისთვის მოიცლიან.



საღებავად გამოყენებული მცენარეები

თუშეთი ხელსაქმის ნიმუშებით — ფარდაგებით, ჯეჯიმებით, ხალიჩებით, ჩითებით, წინდებით, პაჭეტებით, ჩულებით, ყაჯრებით, დეკორატიული ანუ სახიანი ნაბდებით ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა საქართველოში. ამას უპირველესად განაპირობებდა მეცხვარეობის მაღალგანვითარებული ტრადიცია: ცნობილია თუშური, იგივე ქართული, ჯიშის ცხვრის მატყლის დადებითი მხარეები — ის გრეხვა-გაჭიმვისადმი გამძლეა, აქვს გრძელი და დრეკადი ბოჭკო [რჩეულიშვილი, 1938, 175], კარგად ითელება და ღებვასაც კარგად ემორჩილება. საჩეჩელზე ხელით კარგად გაჩეჩილ და ჩეჩვისას სიგრძის მიხედვით დახარისხებულ ბოჭკოს მბზინვარებაც აქვს. ამ მბზინვარებას ის ცვეთის დროსაც ინარჩუნებს [აზიკური, 1989]. ამასთანავე, თუშური მხატვრული ქსოვილების მრავალფეროვნებას ოდითგანვე ხელს უწყობდა თუშეთის მდიდარი მცენარეული საფარი, რომელიც ქალებს სამღებროდ ვარვისი მცენარეების შერჩევისა და გამოყენების შესაძლებლობას აძლევდა.

ცნობილია, რომ მცენარეული საღებავებით მიღებული ფერი უფრო მდგრადი და უხუნებელია, ვიდრე სინთეტურით. ბუნებრივი ფერით შეღებილი ქსოვილი ისე ცვდება, რომ ფერს არ იცვლის.

ღებვა მთლიანად ქალთა საქმიანობის სფეროს განეკუთვნება და შესაღებ მცენარეებსაც ისინი აგროვებენ. ღებვის საქმე ყველა ქალმა იცის, რაც თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადის. თუში ქალები ოდითგანვე განასხვავებდნენ ორი რიგის სამღებრო მცენარეებს — თუშურა’ს და კახურა’ს. თუშურა’ ის მცენარეებია, რომლებიც თუშეთში, ადგილზე მოიპოვება და კახურა’ — რაც ბარიდან უნდა აიტანო. ცხადია, ყველა იმ ფერის მიღება — მკვეთრი ლურჯი, წითელი, მუქი შინდისფერი, მწვანე... რომელიც თუშურ მხატვრულ ქსოვილებსა და სახიან ნაბდებზეა წარმოდგენილი, მხოლოდ თუშეთში არსებული მცენარეებით



საღებავ მცენარეებს პრაქტიკული გამოცდილებით ორ ჯგუფად ჰყოფენ: ერთ ჯგუფში შედის მცენარეები, რომლებიც თვითონ შეიცავენ საღებავ პიგმენტს და დამოუკიდებლად ღებავენ, ესენია – ჯანგარი (კლდის ლიქენი), ფიჭვისა და არყის ხის ხავსი, ლოლოს ძირი, კოწახურის ძირი... მეორე ჯგუფში შედის მცენარეები, რომლებიც თან დამოუკიდებლად ღებავენ და თან ღებავაში დამხმარე საშუალებასაც წარმოადგენენ, ქმნიან შავი ფერის მისაღებად კარგ ფონს, ესენია – თავშავა, დეკა, წართხალი, კოწახურის ფოთლები და ძირი, არყის ხის ფოთლები, კრაზანა, მურყნის ფოთოლი... სამღებრო საქმეში იყენებდნენ მჭვარტლსაც, რომელიც ღებვის ერთ-ერთი უძველეს საშუალებათაგანია [მოლოდინი, 1967, 208].

თუშეთში გავრცელებული სამღებრო მცენარეები ძირითადად ყავისფერის, ყვითლის, მოლევო-ლურჯის, ჟანგისფერის, ღიმიონისფერის, წენგოს ნაირ-ნაირ ელფერს იძლევა.

ღებვა წლის ყველა მონაკვეთში შეიძლება. გაზაფხულსა და ზაფხულში იყენებენ ახალმოყრილ ან უკვე დაყვავილებულ მცენარეს, ზამთარში კი ზაფხულში მოგროვილსა და გამხმარს. გამხმარ მცენარეს შეღებვის წინ, წინასწარ ალბობენ წყალში რამდენიმე საათით და შემდეგ იყენებენ, ჯანგაროს კი მთელი დღე უნდა ჩალბობა.

შესაღებ მასალას წინასწარ მოამზადებენ. მატყლის დამუშავების (გადარჩევა, გარეცხვა, დაჩეხვა, დართვა, დაძახვა (რამდენიმე წვერის ერთად შეგრეხა) – ბოლო ეტაპია მისი შეღებვა.

უკვე დამუშავებული ძაფის გარდა იციან სატანსაცმლე ქსოვილებისათვის განკუთვნილი, დაუმუშავებული და მხოლოდ გარეცხილი მატყლის შეღებვაც. სამღებრო დაუმუშავებული მატყლის ბოჭკოს ნაზ წვერებს წვავს. შემდგომი დამუშავებისას – ჩეჩვისას შეღებილი მატყლი მცენარეებისგანაც თავისუფლდება და შეტრუსული წვერებიც სცილდება. სატანსაცმლე ქსოვილისთვის

განკუთვნილ მატყლს სამჯერ ჩეჩავენ. ასევე ღებავენ სხვადასხვა დანიშნულების ნაბდების მოსათელ მატყლსაც. სახიან ნაბდებს კი უმეტესად ბუნებრივი ფერების მატყლის შერევით თელავენ. იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი საშუალებებით შეღებილ მატყლსაც. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიური საღებავები უკვე ხელმისაწვდომი გახდა, არც ცხენის ალკამმულობის და არც სახიან ნაბდებისათვის მას არ იყენებენ, რადგან თელვის პროცესში და თერმული დამუშავებისას ფერები ერთმანეთში გადადის, მოხმარების მთელი დროის განმავლობაშიც ფერი სულ გასდის, მით უფრო, თუ ის წვიმა-წყალში მოხვდება.

იცოდნენ სატანსაცმლე ქსოვილის – „ტოლის“ ღებვაც, მაგრამ, რადგან ის ნაბეჭი და მაგარია, ღებვისას ადვილად იწვება და ძლიან საფრთხილოა, მაინც უპირატესობას წინასწარ შეღებილ მატყლს და მისგან დამუშავებულ ძაფს აძლევდნენ.

მცენარეებში ღებვის რეჟიმი ერთნაირია. მხოლოდ სამღებრო მასალის ხარშვის ხანგრძლივობაა სხვადასხვა.



შავი ფერის მიღების წესები. შავ ფერად ღებვა ორ ეტაპად ხდება – ძაფს ჯერ ადებენ („დედება“), ანუ წინასწარ რაიმე მცენარეში – თავშავა, დეკა, კრაზანა, ჯინჯარი, წართხალი... შეღებავენ და შემდეგ უკვე ჩააშავენ. ძველად ეს ხდებოდა მხოლოდ ჟანგის რკინების გამოყენებით, შემდეგ კი ძალასაც მოიხმარდნენ. ხალხური ოსტატები დღეს ძალას იყენებენ. ბევრი ძალა ძაფს წვავს. ჯერ ცოტას აყრიან, თუ სასურველ ფერს ვერ მიიღებენ, ცოტას კიდევ დაუმატებენ. დედება ძაფის ფერის მდგრადობასაც უწყობს ხელს და ძალიან მცირე ოდენობის ძალა ფერს ააქტიურებს.

თუში ქალები შავი ფერის მიღებაში მეტად იყენენ დახელოვნებულნი. თუშური ქსოვილების შავი ფერის ხარისხს სავანებოდ აღნიშნავდნენ [მოლოდინი, 1967, 203].



მცენარეთა შერევა. იციან მცენარეების შერევით შეღებვაც. ამ გზით იღებენ ძალიან გავრცელებულ და ლამაზ ფერს, „მწიეს“ – მუქ-მოშვენი ლურჯს. ამ ფერის მისაღებად ძაფს ჯერ თავშავასა და თრიმლში ხარშავენ, შემდეგ ძალას უმატებენ. თრიმლი მეტი უნდა იყოს თავშავაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძაფი შავ ფერს მიიღებს.



„კვირკვირა“ ად“ ღებვა. ბაწარს თუში ქალები „კვირკვირა“ ად, ანუ ჭრელადაც ღებავენ. ამისათვის შესაღები ძაფის შულოს გარკვეული ინტერვალებით დაკვანძავენ ან ალაგ-ალაგ ძაფს მჭიდროდ გადაახვევენ და ისე ღებავენ. ღებვისას დაკვანძულსა და ძაფადახვეულ ადგილებში პიგმენტი ვერ ატანს და შულო ჭრელად იღებება. ასე შეღებილი ძაფისგან ნაქსოვს „ჯავარა“ უჭვია.



რა უნდა ვიცოდეთ მცენარეების ჰემროვიებისას!

- ✿ აუცილებელია ვიცოდეთ მცენარეთა იდენტიფიკაცია – გარჩევა სხვა სახეობებისაგან.
- ✿ უნდა მოხდეს მხოლოდ ხარისხოვანი მცენარის შეგროვება. არ უნდა შეგროვდეს მცენარის დაზიანებული (გაშავებული, გახუნებული, ფერშეცვლილი, მწერებით დაზიანებული) ნაწილები. კეთილხარისხოვნება შეპირებულია რიგი ფაქტორებით, როგორცაა: დამზადების ვადებისა და წესების დაცვა, სწორი პირველადი გადამუშავება, შრობის რეჟიმის, შენახვის პირობების და ვარგისობის ვადების კონტროლი. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მცენარის ბიოლოგიური თავისებურებები და გეგეტაციის პერიოდები, რაზეც დამოკიდებულია ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ბიოსინთეზი და დაგროვების დინამიკა. შესაბამისად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ მცენარის რომელი ნაწილი გამოიყენება სამკურნალოდ ან როდის და როგორ უნდა მოხდეს მათი შეგროვება.
- ✿ მცენარეთა შეგროვება უნდა მოხდეს მხოლოდ დაუბინძურებელ არეალებში ან მაქსიმალური დაშორებით პოტენციური დაბინძურების წყაროებიდან, როგორცაა: დასახლებები, სატრანსპორტო მაგისტრალები და ნავაგასაყრელები.

სიფრთხილის ნორმები

ძლიერმოქმედი ან შხამიანი ნივთიერებების შემცველ მცენარეებზე მუშაობისას — დამზადება-გადამუშავების და მათი პრეპარატების წარმოების დროს — განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების დაცვაა საჭირო, რათა თავიდან იქნას აცილებული მოწამვლები და ალერგიული მოვლენები.

- ✿ შხამიანი მცენარეების შეგროვებაში არ შეიძლება ბავშვების, ფეხმძიმე და მეჭუძური ქალების მონაწილეობა.
- ✿ მცენარეების შეგროვების დროს დაუშვებელია საკვების მიღება, თამბაქოს მოწევა, კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება, შიშველი ხელების შეხება თვალის, ცხვირის და პირის ლორწოვან გარსებზე;
- ✿ შხამიანი მცენარეების შეგროვებისას და გადამუშავებისას გამოყენებულ უნდა იქნას რეზინის ხელთათმანები, რესპირატორები ან მრავალშრიანი პირბადეები.
- ✿ მუშაობის დასრულების შემდეგ აუცილებელია ტანსაცმლის გაწმენდა მცენარეული ნარჩენებისა და მტვერისაგან და ხელ-პირის დაბანა საპნით.
- ✿ შხამიანი მცენარეების დამზადების წინ პერსონალს უნდა ჰქონდეს ჩატარებული ინსტრუქტაჟი მოწამვლების პროფილაქტიკის და პირველადი დახმარების ღონისძიებების შესახებ.
- ✿ არ შეიძლება შხამიანი მცენარეების შეგროვება, ტრანსპორტირება, გადამუშავება და შენახვა სხვა მცენარეებთან ერთად.

მცენარეთა ნაწილების მოგროვების ძირითადი პრინციპები

სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების დრო და წესი დამოკიდებულია იმაზე, თუ მცენარის რომელი ნაწილია შესაგროვებელი: სამკურნალო მცენარის მიწისზედა ნაწილებს ამზადებენ მშრალ, მზიან ამინდში, ცვარის გაშრობის შემდეგ 10–17 სთ–ს შორის პერიოდში. არ არის მიზანშეწონილი ნაწვიმარ, წვიმიან ამინდში ან უკიდურესად მაღალი ჰაერის ტენიანობის დროს შეგროვება. მიუხედავად მცენარეული ნედლეულის შეგროვების თავისებურებისა და თავისი კალენდარული ვადებისა, ცალკეული მორფოლოგიური ჯგუფებისათვის არსებობს შემდეგი ზოგადი წესები:

- ✿ ფოთლებს ამზადებენ მცენარის ყვავილობის ან ბუტონიზაციის ფაზაში. მათ ჭრიან დანით, მაკრატლით და სასხლავით.
- ✿ ყვავილებს ამზადებენ სრული ყვავილობისას ან მის დასაწყისში. ამ დროს ის შეიცავს მოქმედი ნივთიერებების მაქსიმუმს და გაშრობისას ინარჩუნებს ბუნებრივ ფერს. ყვავილებს აგროვებენ ხელით, ან ჭრიან მაკრატლით და სასხლავით. ნედლეულს დაზიანებისგან დაცვის მიზნით ათავსებენ მავარ ტარაში (კალათა, ყუთები).
- ✿ კვირტების დამზადება წარმოებს ზამთრის დასასრულს ან ადრე გაზაფხულზე, როდესაც ისინი დაბერილია, მაგრამ გაშლა არ არის დაწყებული. მათ ჭრიან 5–10 სმ სიგრძის ყლორტებთან ერთად და სივრილეში გაშრობის შემდეგ გამოაცალკავებენ.
- ✿ ბალახის დამზადების ოპტიმალური პერიოდია მცენარის მასიური ყვავილობა, ზოგჯერ უნდა შეგროვდეს ყვავილობის დასაწყისში ან მისი დამთავრების შემდეგ, ნაყოფიანობის დასაწყისში ან მათ დაცვენამდე. ზოგ მცენარეს აჭრიან მხოლოდ აყვავილებულ კენწეროებს, ზოგს — მთლიან მიწისზედა ნაწილს; შეგროვებისას მცენარეს დანით, მაკრატლით ან სეკატორით ჭრიან ნიადაგიდან 5–10 სმ სიმაღლეზე.
- ✿ ხის ქერქს აგროვებენ ადრე გაზაფხულზე, წველების მოძრაობის დროს (მარტი–აპრილი), მცენარის შეფოთვლამდე. ამ დროს ქერქი ადვილად სცილდება მერქანს. ქერქის მოსაცილებლად ტოტებზე 20–30 სმ დაშორებით დანით აკეთებენ ორ რგოლურ ნასერს. მათ ერთმანეთთან შეაერთებენ 1–2 სივრძივი ნასერით და დანის წვერით ან ხის პატარა ნიჩბით შემოაცლიან კრამიტისებრი ან ლარისებრი ფორმის ნაჭრებს.
- ✿ ნაყოფებს და თესლებს აგროვებენ ტექნიკური სიმწიფის პერიოდში, ან მაშინ, როდესაც მათი 60–70% არის დამწიფებული. დამზადება მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, რადგან წვნიანი ნაყოფები ადვილად ისრისება, ერთმანეთს ეჩებება და თბდება. მშრალი ნაყოფების შემთხვევაში მცენარეს მთლიანად თიბავენ და ნაყოფებს ასუფთავებენ, ან გაშრობის შემდეგ თესლებს გამოცხვავებენ.
- ✿ ტუბერბოლქვეებს აგროვებენ შემოდგომაზე, ფოთლების დაცვენის შემდეგ, მაგრამ ისეთ დროს, როცა მცენარის ცნობა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამ დროს მასში შეტია სამარავო–საკვები ნივთიერებები და ბიოლოგიურად აქტიური შენაერთები, თანაც ნედლეულის ბიომასა დიდია, თესლები კი დაცვენისაა, რაც უზრუნველყოფს მცენარის ბუნებრივი ნაზარდების განახლებას. დამზადება ხდება გაზაფხულზე, როდესაც მცენარე იწყებს ვეგეტაციას. მიწიდან ფრთხილად ამოღების შემდეგ ნედლეულს დაბერტყავენ, თუ აუცილებელია გარეცხავენ გამდინარე ცივი წყლის ნაკადით, ღეროს მოაცილებენ, ფესვთანურ ფოთლებს და მცენარის მკვდარი ნაწილების ნარჩენებს.



მდგრადი გამოყენების პრინციპები

- ✿ არ უნდა შეგროვდეს მცენარეები, რომლებიც გადაშენების პირას მყოფი სახეობების ნუსხას მიეკუთვნება ან დაცულია სამართლებრივად; სახეობები, რომლებიც შეიძლება განადგურდეს ან დაზიანდეს შეგროვების შედეგად, თუ მარტივად არ ხდება მათი რესურსების აღდგენა ან ისინი ნელა იზრდება.
- ✿ ფოთლების შეგროვების შემთხვევაში მცენარის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის მასზე ტოვებენ სრულად განვითარებული ფოთლების ნაწილს და ყველა ახალგაზრდა ფოთლს. ყვავილებს აგროვებენ შერჩევითად – მცენარე ტოვებენ ყვავილების ნაწილს თესლების განვითარების მიზნით. ბალახის შეგროვების დროს დაუშვებელია მცენარის ამოთხრა ფესვებიანად, არამედ ჭრიან ნიადაგის ზემოთ. 1მ²–ზე ტოვებენ 2–3 მცენარეს. მიწისქვეშა ნაწილებს აგროვებენ ნაყოფების მოშლინებისა და მათი ჩამოცვენის შემდეგ. 1–2 მ²–ზე ხელუხლებლად ტოვებენ 2–3 მცენარეს. იმავე ადგილებზე მიწისზედა ნაწილების შეგროვება დასაშვებია 2 წლის შემდეგ, ხოლო მიწისქვედა ნაწილების შეგროვების შემთხვევაში 5 წლის შემდეგ.
- ✿ შეიძლება მხოლოდ ზრდასრული მცენარეების შეგროვება. დაუშვებელია ახალგაზრდა ეგემბლიარების დამზადება. ყველა მცენარისათვის დამახასიათებელია განვითარების კალენდარული ვადები, რომლებიც მერყეობს ზრდის ადგილის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით. კალენდარული ვადების დაცვა აუცილებელია, რადგან ნაადრევად ან დაგვიანებით დამზადების შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ნაკლებხარისხიანი ნედლეული.



მცენარეების
კატალოგი

არყი ვერცხლისფერი

(დაკიდული, მტირალა)

ოჯ. არყისებრნი - Betulaceae

Betula pendula Roth.

20(25) მ.-დე სიმაღლის მეტ-ნაკლებად სწორღეროიანი ხე. ახალგაზრდა ქერქი თეთრი, ხოლო ძველი (ძროს ქვედა ნაწილში) მოშავო-რუხიდან, - მუქ რუხამდე. ახალგაზრდა ტოტები წვრილია, ნაწილი დაკიდულია, მოწითალო-მურა ფერის და ჰირკვლოვანი მეჭეჭით დაფარული. სანა-ყოფე ტოტების ფოთლები კვერცხისებრ-რომბული ან კვერცხისებრია, დაკუთხული, ხშირად ფართო-სოლისებრი ფუძით. ყუნწები 2-2.5 ჯერ მოკლეა ფირფიტაზე. ნაყოფიანი მჭადა ცილინდრული ფორმისაა. სა-ნაყოფე ქერქლები სამკუთხა შუა ნაკვითაა. ნაყოფის ფთები 2-3 ჯერ ფართოა კაკალზე.

ყვავილობის დრო IV-Vთვე. ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

გამოყენება: საკვები (წვენი, შიდა ქერქი, ნაყოფები), სამკურნალო, დეკორატიული, საღებავი.

თუშური დასახელება: არყი

საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დასიმსუქება: არყის ხე გამოიყენება სამშენობლო ჭურჭლის, მარჯვენა და ფეხიდან შესახებ ვოდრობის, ხანსური ცრანსპორტის (მარხიდი, ცივა) სხეული იარაღების, სანა-პანჯრე ცრანსპორტის აღჯამოსელობის ნახილვის დასამზადებლად.

არყის ერთი სახეობა, შავარყა, დიდი არ იზრდება, ღროვ სწიდი აქვს, სამეშედ არ ვარგა, ცოცხი ძიფეა და არც წნედა ვარგა. სამავი-როდ ბოლოვდება ხშირი და სწიდი დახილუი ცოცხით, რაც აზრვია „წინადა“ - თივის შემოღვის თამს ვირუცყვის საკვებ სწიდა.

ღებვა: საღებავად იყენებენ არყის ხის ფოთლებს და ხავსს, ფრმჭერად ჯი - მის ნახარსს. ფოთლებში შეღებიდი ძაფი მოყვანთრო ყვითე ფრს იღებს, ხავსში შეღებიდი ჯი - დიონისფრ-მოყვითანოს. არყის ხის ფო-თლებში ძაფს ზანფხედში ღებავენ. სასურვედი და დამახი ეფექტი რომ მიიღონ, ფოთლის სონა შესაღები ძაფის სონაზე ოთხჯერ ან ხუთჯერ მეტი უნდა იყოს.

ხანსური მედიცინა: არყის ხის ნახარსწერით მომზადებუე რძიან ფა-ფას აქმეკდენ ანდადმოლოგინებე ქანებს ცხივიდის ვანაყუჩებდა. ასევე იყენებენ „გუე-მუცდის“ - შიგნეუდი ცხივიდის დროსდა.

ხანსური სამშენობლო: არყის ხის ქერქის შიდა თეთრი ფრისგან „ჩხანაჟისგან“ ჯეე ამზადებენ და ეს არის „ჩხანაჟის ოჭი“ ანუ ჩხანაჟის ჯეე.



ასკილი ქალის

ოჯ. ვარდისებრნი - Rosaceae

Rosa canina L.

1.5-2(3) მ. სიმაღლის ძლიერ დატოტვილი ბუჩქია. ტოტები ჩვეულებრივ რკალისებრაა მოხრილი. ეკლები გვერდებზე შებრტყელებულია, რკალისებრ ან კაუჭისებრ მოხრილი; ფოთლები ჩვეულებრივ 7 ელიფსურ, ან კვერცხისებრ ფოთოლაკიანია. ყვავილები მარტოული ან მრავალყვავილიან ყვავილედეშა შეკრებილი. გვირგვინი თეთრი, მკრთალი ან კაშკაშა ვარდისფერია. ჯამის ფოთლები დაყვავილების შემდეგ უკანაა გადახრილი. ცრუნაყოფი ელიფსურია, იშვიათად თითქმის სფერული.

ყვავილობის დრო V-VII თვე. ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება ღია ფერდობებზე, ნაკაფებში, ტყისპირებსა და მინდვრებზე, გზისპირებზე. დაბლობიდან - მთის ზედა სარტყლამდე. გამოყენება: სამკურნალო, საკვები (მათ შორის ჩაის სახითაც), დეკორატიული.

თუხური დასახელება: წითელ ესკალა'ი

წითელ ესკალა'ი, ისევე, როგორც თურსა და ქრიოქა, სპეციფიკურ მცენარეულ ითვლება. მის ჭოჭობსავე ახალი წილი დიდით უბრუნდ მოცანის, სხლის და ზოლის ჩარის თაზე ამგვარებს, სიუხუ-ბარაქისნობისთვის და ავი თაღის ასარიდებდა.

სახლური სამზარეულო: წითელ ესკალა'ის ნაყოფისგან ჩაის აყენებენ. მის ნაყოფს სწამბოროლდაც იმარაგებენ. დამწიფებულ სიდადაც ჭამენ. ძველად მწიფე წითელ ესკალა'ისგან სოჯახო მოხმარებისთვის „აღუდსა“ (ღუდი) ხარშავდნენ, რომეცის ჩარგი ვემოჯსური თვისებით გამოირჩევა.



ასკილი თუხური

ოჯ. ვარდისებრნი - Rosaceae

Rosa tuschetica Boiss.

1-1.5 მ. სიმაღლის ძლიერ დატოტვილი ბუჩქია. ტოტები მოფენილია გვერდებზე შებრტყელებული, სწორი, დიდი ზომის, წვრილი ნემსისებრი ეკლებით. ფოთლები 5-7 კვერცხისებრ ან ფართო ელიფსურ ფოთოლაკიანია. ყვავილები მარტოულია, კაშკაშა ვარდისფერი ან მეწამული. ცრუნაყოფი კვერცხისებრი ან ელიფსურია.

ყვავილობის დრო VII-VIII თვე. ნაყოფობის დრო VIII-IX თვე.

იზრდება ღორღიან და ქვიან ფერდობებზე, სუბალპურსა და ალპურ სარტყელში. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, მაღალდეკორატიული.

თუხური დასახელება: შავ ესკალა'ი


შავ ესკალა'ის წითელ ესკალასთან შედარებით დაბალი ბუჩქია. წითელ ესკალას მოგონი და წითელი ფერის ნაყოფი აქვს, შავ ესკალას კი - მომრეკვლო ფორმის და შავი ფერის.

საღებური სამზარეულო: შავ ესკალა'ის ნაყოფისგან ჩაის აყენებენ. იმპრეგებენ სწამეთოლოდაც.

საღებური მედიცინა: თუხურის წარმოდგენით შავ ესკალა'ის ნაყოფი ადამიანს სისხლს უმჯობეს. მისი ჩაი საუკეთესოა განცილებულისთვისაც.



Rosa tuschetica Boiss.



ბაბუნაწვერა

ოჯ. რთულყვავილოვანნი - Asteraceae

Taraxacum officinale (L.) Weber ex F.H.Wigg

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30 სმ.-დე სიმაღლით. ფოთლები მოხაზულობით მოგრძო უკულანცეტა ფორმისაა, 5-20 სმ. სიგრძის და 1-3 სმ. სიგანის, ბურბუშელასებრ ან ჩანგისებრ-ფრთისებრ განკვეთილია სამკუთხა, კიდეშილიანი ან დაკბილული, ძირს ან გვერდზე გადახრილ ნაკვეთებად, შიშველია ან ქვემოდან ოდნავ შებუსვლილი. ყვავილები მოოქროსფრო ან ღია ყვითელი ფერისაა. თესლურა მოგრძო უკუკვერცხისებრია, 2-3 მმ. სიგრძის. ქოჩორი თეთრია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო IV-X თვე.

იზრდება მდელოებზე, როგორც სარეველა, ბაღებში, რუდერალურ ადგილებში, დაბლობიდან სუბნივალურ სარტყლამდე. გამოყენება: საკვები, სამკურნალო, დეკორატიული და ნიადაგსაფარი.

თუხური დასახელება: საღვიძლაჭ

საღვიძლი საღვიძლია: ამ მცენარის ახალგაზრდა ფოთლებისა და ღეროებისგან მზადს აკეთებენ, კარგია საჩაქდლავ. ამისთვის მას საზამთროდ აქვს იმარაგებენ. საზამ მცენარე ახალგაზრდაა, აგროკებენ, წნაქს და ჩრდილში გამომართს ინახავენ. საღვიძლაჭ ბაღების დაყვავილებული ღეროთი ბაჭყები თამაშობენ და მას „ფანდურჭაჭიას“ ეძახიან.



ბაია კავკასიური

ოჯ. ბაიასებრნი - Ranunculaceae

Ranunculus caucasicus M.Bieb.

15-35 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები გაცოფილია სამფოთოლაკად. ფოთოლაკები კვერცხისებურია, წვეტიანი და კიდეზე ბასრხერხებილა, შუა მათგანი ღრმად სამნაკვითიანია და ყუნწითაა, გვერდითი 2 ან მეტნაკვითიანი, მჯდომარე. გვირგვინი კაშკაშა ყვითელია. ნაყოფი უთანაბრო უკუკვერცხისებრია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო V-VII თვე.

იზრდება მთის ზედა და სუბალპური სარტყლის მდელოებსა და ტყეებში. მცენარის ყველა ნაწილი ტოქსიკურია, მაგრამ თერმული დამუშავებითა და გახმობით უვნებელი ხდება. მოხარშული ფოთლები საკვებად ვარგისია. გამოყენება: სამკურნალო, დეკორატიული, შხამიანია.

თუხური დასახელება: მასკვლაგა'რ



Ranunculus caucasicus



ბალბა

ოჯ. ბალბისებრნი - Malvaceae

Malva neglecta Wallr.

10-40 სმ. სიმაღლის 1-2 ან მრავალწლოვანი მცენარეა. ძლიერ დატოტვილი, გართხმული ან წამოწეულია. ფოთლები გრძელყუნწიანია. ფოთლის ფირფიტა თირკმლისებრი ან გულისებრი ძირითაა. ყვავილები რამდენიმე (2-4) ერთადაა უთანაბრო ყუნწებზე. ყვავილი მკრთალი სოსანია. თესლი მოშაო - მურა, თირკმლისებრი.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-IX თვე.

იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე, დაუმუშავებელ მიწებზე. სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: საკვები, სამკურნალო.

თუშური დასახელება: ბალბა'რ

საქსური სამხარეო: მისკან აშხაღებენ მხაღსაჯ და „სანებაი“ მცენარეების ურეკენ.



ბარისპირა

Betonica macrantha C.Koch.

25-70 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესურა ჰორიზონტალურია. მთელი მცენარე შებუსვლია გრძელი მარტივი ბეწვით. ღერო მარტივია, სწორმდგომი, ოთხწახნაგოვანი. ფოთლები ფართო კვერცხისებრია, ბლაგვი, კიდეებზე მსხვილ მრგვალებილა, ძირთან გულისებრი. ყვავილები შეკრებილია 5-10 ყვავილიან ჩხროებად, რომლებიც ქმნიან მჭიდრო და წყვეტილ კენწრულ ყვავილედებს. გვირგვინი მუქი ვარდისფერია - მეწამულამდე. ნაყოფი 3-წახნაგოვანი კაკლუჭაა, მოგრძო კვერცხისებრი ფორმის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება მდელოებსა და ტყისპირა ველებზე, მთის შუადან - ალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამედიცინო, თაფლოვანი, დეკორატიული, დანერგული ჰორტიკულტურაში.

თუხური დასახელება: საწოარა'ი

ამ მცენარეს თათლოვანი ყვავიდი აქვს. მისგან თათლს იღებენ თუჯგრობი. ბავშვები სათითაო ყვავილს აძრობენ და ძირს გამონუნსნიან (წოკუნ).

ხაღსური საშხაროუღო: *სწოარა'ის ყვავილისგან დამზადებულ ჩაის მისი ყვავილობისას სკამენ. სხხამთოლდ მას არ იმარაგებენ.*

Betonica macrantha C.Koch.



ბებუნდარა

ოჯ. ტუჩოსნები - Lamiaceae

Thymus nummularius M.Bieb. - თუშეთში გვხვდება 5 სხვადასხვა სახეობა, მათი იდენტიფიცირება სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს და საკმაოდ რთულია, ყველას მსგავსი გამოყენება აქვს. ესენია, - *Thymus caucasicus* Willd. ex Ronniger; *Th.collinus* M.Bieb.; *Th.marschallianus* Willd. *Th.nummularius* M.Bieb.; *Th.transcaucasicus* Ronniger.

ყვავილობის დრო VI თვე. ნაყოფობის დრო VII თვე.

ყველა სახეობა შეიცავს ეთერზეთებს. გამოიყენება პარფიუმერიაში, ფარმაცეპტულ და კვებით მრეწველობაში, აგრეთვე ხალხურ მედიცინაში.

ჯამი მილისებრია ან მოგრძო-ზარისებრი, 10-ძარღვიანი, ხახაში ბეწვიანი რგოლით, ორტუჩა, ზედა ტუჩი ფართოა, სამკბილიანი, ზევითაა გადაწეული, ქვედა ორადაა გაყოფილი ხაზურ-ლანცეტა ნაკვეთბად, კიდებე ორ რიგად განწყობილი წამწამებით.

გვირგვინი ვარდისფერი, მეწამული, ან თეთრი, სწორი მილით, ორტუჩა, ზედა ტუჩი ამოკვეთილია, ქვედა - სამნაკვეთიანი. მტვრიანა 4-ია, მილიდან ამოყოფილი. თაფლოვანი მცენარეა. ხმელთაშუაზღვის სახეობა *T. vulgaris* კულტურაში ფართოდაა დანერგილი. სასურველია საქართველოს ზოგიერთი სახეობის მაინც, კულტურაში დანერგვა.

თუშური დასახელება: ბექთქონდარა'ი

ხაღსური მედიცინა: ბექთქონდარა'ის ჩაის მუცლის ცივიციდის დროს სკამეს; იგი ცივიციდის ჩამსყნარობეჯ და შკებისმოძვერეჯ სმუაჯეზად ითვეჯბ.

ხაღსური სმზარეულე: ბექთქონდარა სუეეთოს სჩაიე მცენარეჯ ითვეჯბ და მას მოეჯი ზამთოსის მარაგისთვისაჯ ავროვებეს.



ბუერა

ოჯ. რთულყვავილოვანი - Compositae

Petasites albus (L.) Gaertn.

40-70 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესურა მხოხავია, თანაბრად გამსხვილებული. ფესვთანური ფოთლები ძირში გაფართოებულია, გრძელყუნწიანი, ფირფიტა მოყვანილობით მომრგვალო გულისებრია, მოკლე სოლისებური ძირით. ქვედა მხარეზე სქლადაა აბლაბუდისებრ შებუსვლი. კიდეზე ამოკვეთილკბილებიანია. საყვავილე ღერო მეტნეკლებად სქლადაა აბლაბუდასებრ შებუსვლი. მტვრიანიანი კალათები შეკრებილია ფარისებრ ან საგველასებრ ყვავილეებში. ბუტკოიანი ეგზემპლარების კალათები კი, ფარჩხატ საგველასებრ ყვავილეებში. ყვავილები თეთრი, ან ოდნავ მოყვითალოა.


ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო IV-VII თვე.

იზრდება ალპურ სარტყლამდე, მდინარეთა ნაპირებზე, ტენიან ხევებში, მაღალბალახეულობაში. საკვებად გამოიყენება საფოთლე ყლორტები, როგორც სატაცური. გამოყენება: საკვები, სამკურნალო, ნიადაგმფარავი.

თუშური დასახელება: ბუერა'ი

ხაღსური სპმზაროუჯო: სამხეჯ მქენარე, იყნებქ მხოლოდ ახაჯ ფოთ-ღუს. სპმპთოლოდ არ იმარავებქს.

Petasites albus L. Gaertn



გვირილა შინდვრის

ოჯ. როთულყვავილოვანი – Asteraceae

Leucanthemum vulgare L.


20-60 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო სწორია, წიბოიან ლარებიანი, მართოული ან რამოდენიმე კალათით. ძირში უნაყოფო ყლორტების როზეტა ფოთლებია განვითარებული. ქვედა ფოთლები ყუნჭიანია, უკუკვერცხისებრ-სოლისებრი, მრგვალკბილებიანი; ღეროსეული ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, ზედა ფოთლები მკდომარეა, ხაზური ფორმის, ხერხისებრ ან ფრთისებრ განკვეთილი. კალათები ჩვეულებრივ დიდი ზომისაა 10-15 მმ დიამეტრის; საბურველის ფოთლები არ არის ერთნაირი. თესლურა 10 წიბოიანია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო IV-XII თვე.

იზრდება მთის ზედა სარტყლამდე, უპირატესად მდელოებზე, ხშირად, ნათესებშიც, სარეველას სახით. ფოთლები, ახალგაზრდა ყლორტები და ფესვები საკვებად გამოიყენება. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, პარფიუმერული.

თუშური დასახელება: საჯარა'წ

საქსური საშზაროულო: საჯარა'ის ახაჯაზოდ ფოთლებისა და ღეროებისგან მხაჯ აკოთბენ, საშამოროდაჯ ინახაჯენ ჩაჯეს დასამზადებჯაჯ.



Leucanthemum vulgare L.



გიეში

ოჯ. რთულყვავილოვანი - Compositae

Artemisia chamaemelifolia Vill.

30-60 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები მცირედ შებუსვლია, მწვანე ფერის. ვეგეტატიური ყლორტების და სულ ქვედა ღეროსეული ფოთლები ყუნწიანია, დანარჩენი მჯდომარე - მოხაზულობით კვერცხისებრი ან მოგრძო, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი, მათი კენწრული ნაკვეთლები ძაფისებრია, მახვილწერიანი. კალათები ნახევარსფეროსებრია 3-4 მმ. სიგანის, ყუნწებზე გაწყობილი, თავდახრილი. გვირგვინი ბარისებრია, კალათაში ყველა ყვავილი სანაყოფეა, ყვითელი ფერის. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, არომატიზატორი.

ყვავილობის დრო VII თვე. ნაყოფობის დრო IX თვე.

თუხური დასახელება: გიეში

საქსური მდიცისა და საქსური სამზროულო: ვიეში გამოიყვითიდად სამ-აურნალო მცენარეა, მას ცივ და ცრიავ დღეებში ჩაისთვისაც იყენებენ. აგროიებენ საზამთროდაც. მის ნაყენს ასმევენ გაცვიბუდ ავადყოფებს და იყენებენ მუცლის ცვივიდის დროსაც. ის ძირითადად ჩაღმის ხეობაში ხარობს და ჩაღმის ხეობისკენ ვიეშით მკურნალობა და ვიეში ისე ჰოპუ-დარუდია, იმდენად უყვართ და ისე ინცენსიორად იყენებენ, რომ დან-არჩენი ხეობის თუშები ამ მცენარეს ხუმრობით „ჩაღმურ სუცფიდისსაც“ უწოდებენ.



ბრაკლა კრაზანფოთოლა

ოჯ. ვარდისებრნი - Rosaceae

Spiraea hypericifolia L.

1.5 მ.-დე სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები შიშველია, ლანცეტადან უკუკვერცხისებრი ფორმისაა. კიდემთლიანი, ძირში სოლისებრ შევიწროებული. ყვავილეთი 4-10 ყვავილიანია.

ყვავილობის დრო V-VI თვე. ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება ბუჩქნარ რაყებში, ველის სარტყლიდან - სუბალპურ სარტყლამდე. გამოყენება: დეკორატიული, თაფლოვანი, ნიადაგდამცავი (ანტიეროზიული).

თუხური დასახელება: მაჯატრ

საყოფაცხოვრობო დანიშნულება: მხეცის გასხვივ-გასუფთავებუდი ცოცხისგან ვაჯარა ცოცხის - „მხეცის ქოჯოს“ ჰერაჯენ, რითაც სარძევე ჭურჭელს (კოდი, ჩხევი, ჯასრები) რეცხავენ. ვაჯარა ზომის მხეცის ქოჯოს სემზარულში იყენებენ სამაჭაჯე მხის და გარდა მისამზადებლად - ამ ქოჯოთი ფქვილს ქნიან სყაღში ან რძეში. მხეცის ქოჯოს რძის სწურადაც იყენებენ; ზამთარში თოვლში ნასიარულბ სყომარს ფესაქმეიდან თოვლს უბერყყვენ

Spiraea hypericifolia L.



Salvia verticillata L.

დაჯირა საბველასებრი

ოჯ. ტუჩოსნები- Lamiaceae

Salvia verticillata L.


30-80 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესურა ირიბია, ღერო ძირიდანვე დატოტვილია. ფესვთანური და ქვედა ღეროსეული ფოთლები ჩვეულებრივ ყვავილობამდე ჭკნება. ფოთლები გულისებრ-კვერცხისებრიდან შუბისებრამდე, - 4-12 სმ სიგრძის, წვერზე მომრგვალებული ან მოკლედ წაწვეტებული, კიდეებზე დაკბილული. ზედა ფოთლები ფართო სამკუთხა ფორმისაა. ყვავილიანი ჩხროები შეკრებილია ფარჩხატ მტევისებრ, ან საგველასებრ ყვავილედებად. გვირგვინი კაშკაშა იისფერია. კაკლუჭები კვერცხისებრია, ყავისფერი.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-IX თვე.

იზრდება ქვიან და ღორღიან ეკოტოპებზე; მშრალ ფერდობებზე, სტეპებში, ბუჩქნარებში - ხშირად როგორც სარეველა. მთის შუა სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საქონლის საკვები, კულინარიული, თაფლოვანი.

თუშური დასახელება: დაჯირა'ი

საქსური სამზარეულო: სულდუ სჯეს „ნაჯის თაჯზე დაჯეზუჯ დაჯირას ზაჯახზე ასხამეს, რომ ღუდის სჯესი სჯე-ზაჯახისჯან გაიწუროს“ [ქაჯაჯათია, 1933, 113].



დეკა

ოჯ. მანანასებრნი - Ericaceae

Rhododendron caucasicum Pall.

1-1.5 მ. სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია. ფოთლები ტყავისებურია, კიდე-გადაკეცილი, ზედა მხარეზე შიშველია, ქვედაზე თხელი ქეჩისებრი შებუსვით. ყვავილედ კენწრული, მრავალყვავილიანი ფარისებრი მტევანია. გვირგვინი თეთრი მოყვითალო ან მოვარდისფროა. ნაყოფი 5 ბუდიანი მოგრძო კოლოფია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო V-VI თვე.

იზრდება სუბალპურსა და ალპურ სარტყელში. სუბალპურ ტყეებსა და დეკიან რაყებს ქმნის. გამოყენება: დეკორატიული, საკვები (ჩაის სახით), ტოქსიკურია.

თუშური დასახელება: დეკად

საქსური სამშარულო: სპარობენ ჩაისთვი

ღებვა: ძაფის შესღებად დეკის ფოთლებს იყენებენ. გამოყენება მოკრფვისთანავე შეიძლება. აგროკებენ ზამთარში გამოსაყენებლად და მას გამოყენების წინ აუცილებლად სყაღში ადებენ. სარმავს სხეული სანთი ძაფთან ერთად. იქიან ფოთოლთან ერთად ძაფის ჩაყრავ და მკორწინირდაც ღებავს - ჯრ ფოთოლს სარმავს, შეძღვ ფრს რომ ჩარგად გამოსყმს, ბანარს ჩაღებენ და სხეული სანთი ადუღებენ. ბანარს ღებვის დამთავრებისთანავე ამოიღებენ, ციკ სყაღში გააღებენ და გაფენს გასაშრობად, იქიან მისი ორთქლზე გავივიება.

დეკის ფოთოლში ღებვისას ყავისფროს სხვდასხვა ცონალობას იღებენ. ვის როგორც სურს, იმ ფრს ცოკებენ, ანუ ძაფი ადრე ან გვიან ამოაქვს სამღებრო ქვაბიდან. მიღებუდ ფრსაც სხვდასხვა დასახელება აქვს - ყავისფრო, თანგისფრო, ირმისფრო, აგურისფრო, დვიძღისფრო... დეკის ფოთოლში ჩარგი წესგოსფრის მისაღებად სამღებროდან ამოღებუდ ძაფს არყის ან მურყის ხის გავრიდ ნაწარს მოაყრინან და ორთქლზე გააწვიებენ. გარდა ამისა, შეღებვისას ძაფი ქვაბიდან ამოღების, სყაღში ცოცხა ნაწარსწერის დამაწების, ძაფის ისე შიგ ჩაბრუნების და ცოცხა ხანი დუღიძის შეძღვ ორთქლზე გავივიება. წესგოსფრს იღებენ ღოღოს ძინში ამავე წესით შეღებვითაც.

საქსური მღდიცინა: დეკის ფოთლისა და ყვავილის, დეკის ბუძუნა'ის, ივივი ჯენაწარა'ის ჩაის გავივიბუღს და სიხინანსაც ასმევენ.

Rhododendron caucasicum Pall.



დიდბაია ჭაობის

Caltha palustris L.

25-60 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა, ყვავილსაფრის ფოთოლ-ლაკი 5, იშვიათად მეტი, მკრთალი ყვითელი, ფოთოლი თირკმლისებრია ძირში ფართოდ ამოკვეთილი, კიდებზე მომრგვალო ან თითქმის მასვილი წვრილი კბილებითაა ან თითქმის კიდემთლიანია. ფოთლურა წვერზე მოკლე 1-1.5 მმ. სიგრძის სვეტითაა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო IV-VI თვე.

იზრდება მთის ზედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, ტყის ნაპირებსა და დაჭაობებულ მდელოებზე. სამედიცინო და საკვები გამოყენებისა. საკვებად გამოიყენება მომზადებული ფესვები, ნორჩი ფოთლები სალათებში, დამჟავებელი ბუტონები კაპერსის შემცვლელად. საჭიროა ფრთხილი მოხმარება და მომზადება ტოქსიკურობის გამო. დეკორატიულია, გამოიყენება ნესტიან ადგილებსა და წყლისპირებზე. ყვავილებისაგან მზადდება ყვითელი საღებავი – ზაფრანის შემცვლელი.

Caltha palustris L.



დიყი სოსნოვსკის

ოჯ. ქოლგოსნები - Apiaceae

Heracleum sosnowskyi Manden.

100-150 სმ. სიმაღლის, ორ ან მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო ღრმა ლარებიან-წიბობიანია. ფესვთანური და ქვედა ღეროსეული ფოთლები სამფოთოლაკიანი ან ფრთისებრ-რთული, შედგება 2 წყვილი გვერდითი სეგმენტისაგან, პირველი წყვილი მოკლევუნწიანია, მეორე - მჯდომარე. ქოლგები დიდი ზომისაა, მრავალსხივიანი. საბურველის ფოთოლაკი მრავალია, ოდნავ გაფართოებული ძირიდან ხაზურ-სადგისისებრია.; ყვავილები თეთრია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება მთის შუა სარტყლიდან, ალპური სარტყლის ჩათვლით, ტყისპირებზე, მდელოებზე, ბალახოვან ფერდობებსა და მაღალბალახეულობაში. გამოყენება: საკვები. სასილოსე. გაფრთხილება: ალერგიული, ტოქსიკური, ინვაზიურობისაკენ მიდრეკილი.

თუშური დასახელება: აპყნ, შუპყა'ნ, დიყნ

შუპყა სოფელ შამხაროვში იზრდება. მისი მხოლოდ მამული ღერო იქმევა. ნაქეზიანსურია; დიყი სამთო საძოვრებზე, სუბნალპინო ზონის ზედა ნაწილებში წყიან რუებში მოდის. იქმება მხოლოდ გაუქქნილი მამული. ჭამის დროს სიფრთხილეს სჭირს - მისი ქეჩი ცუხებს აზიანებს.

ხაღსური სამზარეული: აპყი სხსნაჟ სათიბ მამულებში, მის უძრავ ნაწილებში იზრდება. ფოთლების ღეროს - „წარს“ ზნაფულში, როდესაც აპყი ახანგაზრდა, დანით ფუქიანს, ძარღვებსაც აუციანს. სანება'ის სხვა მცენარეებში უროკეს და ისე ჭამეს. აქეს სასიამოვნო, ჰიანსურია გემო. ცოცრა მოხერხუდი სათესე ღერს - „მამული“ რომ ამოუშუებს, მას მოჭრიან და ფუქნიან. ის უბრანოდ ხედით იფუქებს, დანა არ არის სჭირს. მასაც უმად ჭამეს ცანცაჟე და სხვა მცენარეებთან ერთადაც „სანება'ში“.

საყოფანსოვრობო და სამურნეო დანიშნულება: აპყის ფოთლებს ჰან-წარ-ჰანგარა იონებან შერეულს ახმობეს და ზამთროსთვის ინახანეს. ზამთარში დასეელებულს ზოხილებს ჩამოუიღებეს, რათა ისინი თივის ჭამას შერეიონ.

ხაღსური სამზარეული: „მამული“ (სათესე ღეროს) ჭამეს ხიდად. ის გაფუქნილი უმად იქმევა, ოდონდ აარგანდ უსდა გაიფუქნას, თორემ მისი აინი ცუხებს შამარას და აზიანებს. შუპყა'ის „მამული“ - ძირითად ღეროს, გაფუქნილს სანება'ის მცენარეებთან ერთად ჭამეს.



Heracleum sosnowskyi



დუცი

ოჯ. ქოლგოსანნი - Apiaceae

Siler caucasicum Spreng.

50-100(150) სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესვი ღერძიანია ძლიერ გამსხვილებული. ღერო წახნაგოვან-ღარებიანი, ზედა ნაწილში მეტ-ნაკლებად ჩხროდ განწყობილი ტოტებით. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, სამად დაყოფილი, სეგმენტები ორმაგ ფრთისებრ განკვეთილია მოგრძო კვერცხისებრ ან ლანცეტა ფორმის ყუნწზე ჩამობრდილ ნაკვთებად, ნაკვთები კიდეებზე მსხვილკბილებიანია; ზედა ფოთლები იგივე ფორმისაა, მოკლეყუნწიანი ან მჯდომარე, აქვს ძლიერ გაფართოებული სიფრიფანა ვაგინა, რომელიც ორ ყურაკს ქმნის. ქოლგები დიდი ზომისაა, მრავალსხივიანი, ქოლგისა და ქოლგაკის სხივები თითქმის თანაბარზომისაა; საბურველის ფოთოლაკები არ აქვს. საბურველაკის ფოთოლაკები პატარა ზომისაა, ჩალისფერ-ყვითელი; სტილოპოდიუმი კონუსურია; სვეტები გადახრილია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება სუბალპურ მდელოებზე, ქვიშრობ რუებში. გამოყენება: საკვები, სასილოსე.

თუხური დასახელება: დუცი

დუციის ფოთლების ნაყენი და უმად მიღებული დუციის გაფუჭნილი „ცარ-იცი“ (ფოთლის დრო) საუკეთესო საშუალებაა ზაფხულის მუცლის ჭიბისგან გასათავისუფლებლად. ამჟამ მიზნით დუციის ნახარშს მსყესები ზაფხულისთვის ასევე. გამხმარ და დაფუჭნილი ფოთოლს უროკენ მარილში და მასთან ერთად მთელ ფარას აჭმევენ.

საძლური საშაროული: დუცი მსყესებს მოაქვთ ოჯანებში სანამ-თრო მარაგისთვის. ზაფხულში სუძირად შინ მოსული მსყესები „დუციის ცარებს“ დროებს მოაყოლებენ. გაფუჭნილი და ჩარგად გასუფთავებული დუციის ცარი გემრიელია და მას „ხიჯდაც“ მიირთმევენ და სანებანის მცენარეებთან ერთადაც შექცევიან. ზამთარში ის საუკეთესო საჩავე მცენარეა.



Siler caucasicum Spreng.



ენძელა სამბუტკოიანი

ოჯ. სათოვლიასებრნი - Colchicaceae

Merendera trigyna Woronow

მოგრძო-ელიფსური, ტუბერბოლოქვიანი 8-12 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა; ფოთოლი 3-4, შიშველი, ხასხასა მწვანე, წვერში მოწითალო წვეტით ბოლოვდება; ყვავილები 1-2 (3-5), თეთრიდან მუქ იასამნისფრამდე, ზარისებრი ფორმის. გადანაღუნნი სეგმენტები მოგრძო ლანცეტაა. ყვავილსაფრის ფრჩხილები დაყვავილების შემდეგ ადვილად სცილდება ერთმანეთს და ნიადაგზე ეფინება.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო II- IV თვე.


იზრდება - მშრალ ველებზე, ფერდობებზე, მთისწინებიდან მთის ზედა სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: დეკორატიული, სამღებრო.

თუხურო დანახელება: ენძელა'ი

ხაზსური სამზარეულო: *ენძელას მხოლოდ „ცისაქუხარა ჯოჯროს“ და „უღელდების ჯოჯროს“ საგულეში ჩართულს ჭამენ. ცაღე მისგან მხაღი არ მზადდებოდა, თუმცა ის თუშების ყოფაში ფიგურირებს, როგორც გაზაფხულის ჰირიქი მახარობელი: როცა ენძელა აყვავდება, მის თაჯ-თაჯ შუაზე გახეჩენ, ორივე ყურთან მიიდენებ და იფყვიან: „ენძელ, ენძელ ყურადაო, ჭია-ღვია ჯარადაო, შენ ქვას ქვედა, მე ქვას ზედა, შენ ქვიშითა ქვით გამძღარაო, მე ჰურიით და ყველით გამძღარაო“ [მარტაშვილი, 1933, 1860].*

ასევე ენძელას დანახვისას იფყვიან:

*„ენძელ ენძელ ყურადაჯ,
ჭია-ღვია ჯარადაჯ,
შენ ქვას-ქვიშითა მამძღარაო,
მე - ყველითა ჰურიითაჯ,
შენ - დიანსი, მე - ძმიანსი,
შენ - თხიანსი, მე - ცხვრიანსი“ [აზიკური, 1987, 31].*



ვარდკაჭაჭა

ოჯ. რთულყვავილოვანნი - Compositae

Cichorium intybus L.

40-125 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო დაკუთხულ-დალარული, გაფარჩხულად დატოტვილია. ფესვთანური ფოთლები ლანცეტა ფორმისაა, ფრთისებრ დაკვეთილი, ან ამოღრღნილ-დაკბილული; ზედა ფოთლები მჯდომარეა, ლანცეტა, ღერომხვევი, უფრო პატარა ზომის. კალათები ტოტების კენწეროებზე მარტოულია, კენწრული ფოთლების იღლიებში კი - ჯგუფებად გაწყობილი. ყვავილები ცისფერია, უფრო იშვიათად თეთრი, საბურველს 3-ჯერ აღემატება. თესლურა პრიზმისებრია, წვერზე წაკვეთილი.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-X თვე.

იზრდება მთის შუა სარტყლის ჩათვლით, მინდვრებში, გზისპირებზე, რუდერალურ ადგილებზე, ველობებზე. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, საღებავი.



ვერხვი მთრთოლაკი

Populus tremula L.

35 მ.-დე სიმაღლის ხეა. ახალგაზრდობისას ქერქი ღია მწვანე ან მომწვანო-ნაცრისფერია, შემდგომში სკდება და მუქდება. ფოთლები მომრგვალო ან რომბისებრია, 3-7 სმ. ღრმად დაკბილული ან ნაკვეთიანი.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო III-V თვე.

იზრდება ტყეებში, ნაკაფებში, ნათელ ადგილებში - მთის შუა სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, ქარსაცავი, მერქნის რესურსი.

თუშური დასახელება: ვერხვი

ღებვა: გაზაფხულზე ან ზაფხულში მოიყვანეს ვერხვის ხის ქრქვ, სწრივად დაჭრიან, ორი დღით წყდში ჩააძობონ და შექლეკ ძაფთან ერთად ხარშავენ. მასში შეღებულ ძაფს ორთქლზე გაცვივებდნენ ცოცხა ნაცარსავე მოაყრიან. იღებენ ღია თერის წესვოს, ღია ყავისფერს. ვერხვის ქრქვს სამღებროდ ზამთრისთვისაც იმარაგებენ.

სამკურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულება: ვერხვის ხისგან თურის და ცხვირის სწვდ ჩასრებს - დურაებს - ამზადებენ. ვერხვის ხე ადვილი დასამუშავებელია, მისგან მუცყდის სართავ ცარებსაც აკეთებენ - სუფთად ითლება და ჩარვი ბროუნვა აქვს. ვერხვის ცარზე იყვიან ბროუნვისას „წივისი“. ეს ერთ-ერთ თუშურ ხმით ნაწიარაღშიც აისახა: „წარსაძვის მოძეძვდა ვერხვისა მნივანსა“ [ძეგოსანი, 1986, 39].

ვერხვი წყდის ჰირზე ხარობს და მისგან თანდურსაც ამზადებენ. მისი დამზადებელი ოსტატები თქმით ვერხვის თანდურს სხვა ხეებისგან გამოთეიდ თანდურზე უფრო ცაბიდი, დამაზი და სეკდიანი ხმა აქვს, რაჲი წყდის ჰირზე იზრდებაო, წყაღს, მდინარეს ჲი ბევი სეკდა სდეკლა [აზიჲური, 1975.] თანდურზე არის ასეთი გამოცანა - „ხის ცხენიოდ' ხორცილ ალვირებივ“. ინსტროქციი ხისგან მზადდება, „აღვირებივ“ - „აღვირებივ“, სიბებად, ჲი ცხვირის სეკვიარაღად გამოყვანეი დასეკვიები უბია.

ვერხვის ხის ჩასრი ერთ თუშურ ხაღხურ დექსივ არის მოხსენიებული: „მაშინ ჩარვი ხარ, თუშეთო შიშაქო, ინვერბოდუ, მიმდგარო ნანიდარზედა ცხვარო, შენ იცოხნებოდუ, ბაჲში გაღანხაღ, ჲიიღო, რა'იოდ (როგორ ძეიერ) იოთეებოდუ, ჩასრო, შენ ვერხვის ხისაო, რა'იოდ ექათებოდუ“ [აზიჲური, 1975].



პირისტერფა

ოჯ. რთულყვავილოვანი - Compositae

Tussilago farfara L.

12-25 სმ.სიმაღლის, გრძელ, მხოხავფესურიანი მრავალწლოვანი მცენარეა. პირველად საყვავილე ღეროები ვითარდება მარტოული კალათებით, შემდეგ ფესვანური ფოთლები. ისინი მომრგვალებულ-კვერცხისებრია, კიდეებზე არათანაბრად ამოკვეთილ-დაკბილული; ფოთლები ზედა მხარეზე შიშველია, ქვედაზე - სქლადაა, შებუსვლი. ღერო სქლადაა მოწითალო ქერქლისებრი ფოთლებით მოფენილი. კალათა ყვითელია, ზოგჯერ მოწითალო, 20-25 მმ. დიამეტრის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო II-IV თვე.

იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში. მდინარის პირებზე, ტენიან თიხნარ ჩამონახვავებზე, ზოგჯერ რაყას ქმნის. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, ანტიეროზიული.

თუხური დასახელება: დათვბურა'ნ, ვირისტერფა'ნ

ღებჯა: ძათს ღებჯან მის ფოთლებში. ვირისტერფას ფოთლებში შეღებილი ძათი მოყავისფრო მსკანე ან ხაჩისფროს იღებს. ცოცხა ძაღას დამაწყებით მსკანე ფერი აქვიორღება.



ზამბახი ციმბირული

ოჯ. ზამბახისებრნი - Iridaceae

Iris sibirica L.


40-60 სმ. სიმაღლის, მრავალწლოვანი მცენარეა მხოხავი ფესურით. ფოთლები ხეშეშია, ვიწრო ხაზური და გრძლად წაწვეტებული. ყვავილები ღურჯია, მოიისფრო ზოლებით. ყვავილსაფრის მილი თითქმის შეუმჩნეველია, ზარისებრი, ნასკვზე მნიშვნელოვნად მოკლე. ფესურა გრძელია, აღმავალი.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VII თვე.

იზრდება მთის ზედა და სუბალპურ სარტყელში. მაღალბალახეულობაში, ტენიან, დაჭაობებულ მდელოებზე. ფესვისგან მზადდება ინსექტიციდები. გამოყენება: სამკურნალო, დეკორატიული.

თუხური დასახელება: ზამბახ





თავშავა

ოჯ. ტუჩოსნები- Lamiaceae

Origanum vulgare L.

20-50 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესურა ირიბია, ღერო ძირიდანვე დატოტვილია, შეფოთლილი, ზედა ნაწილში ყვავილედით ან ტოტებით ბოლოვდება. ფოთლები კვერცხისებრი ფორმისაა, თანაყვავილები უმეტესად მჯდომარეა, მეწამული ფერის. ყვავილები მოკლე ყუნწებზე განწყობილი, 1-3 ყვავილიანი, მჯდომარე დიქაზიუმები, შეკრებილია პატარა ზომის თავაკისებრ ყვავილედებად, რომლებიც თავის მხრივ შეკრებილია პირამიდულ ფარისებრ საგველად. საგველა ზოგჯერ დიდი ზომისაა, ფარჩხატი. კაკლუჭები მოგრძო კვერცხისებრია, გლუვი, მურა ფერის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება ტყის სარტყლიდან, სუბალპური სარტყლის ჩათვლით - ტყისპირებზე, ბუჩქნარებში, მდელოებზე. გამოყენება: სამკურნალო, საკვები (ჩაი და სანელებელი), ნიადაგსაფარი, პარფიუმერია.

თუხური დასახელება: თავშავა'ი

ღებვა: სამღებროდ იყენებენ თავშავას დამოუკიდებელი ფერის - მოყვითალო, ხიროვისფერის მისღებდაც და აგროთუქ მას ფართოდ იყენებენ შავი ფერის მისღებდაც. ამ შემთხვევაში ღებვა ორ უჯვანად ცხრდება - ჯერ თავშავაში ღებვენ - ადღებენ და შემდეგ რჩინის თანგში ან ძაღას დამაჯებით შავ ფერს იღებენ.

ხაღხური მკდიცინა: თავშავას ყვავილებისა და ფოთლებისგან დამზადებული ნაყინი აუქ-ნანნიცაის დამამშვიდებელი, დამანყნარებელი საშუალებად ითვლება. იღებენ უძილობის დროსაც.

ხაღხური სამზაროული: თავშავას ფოთლებსა და ყვავილებს იყენებენ ჩაისთვისაც.



თხანართხალა ვიწროფოთოლა

ოჯ. თხაწართხალასებრნი - Onagraceae

Chamerion angustifolium (L.) Holub

50-150 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეა. ფოთლები მჯდომარე ან მოკლემუწუნაი, მოგრძო ან ხაზურ-ლანცეტა ფორმის, მორიგეობით განწყობილი. ყვავილები მეწამული ფერის ზიგომორფულია. შეკრებილია მტევნისებრ, მრავალყვავილიან ფარჩხატ ყვავილედეში. ნაყოფი ტოტისებრი კოლოფი. თესლი მოგრძო ოვალური 1.5 მმ სიგრძის.

ყვავილობის დრო VI-IX თვე. ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება მთის ზედა და სუბალპურ სარტყელში; ტყეებში, ტყისპირებზე, კლდეებზე, მდელოებზე, დეკიანში, ტენიან ხეობებში. ფესვები და ფესურები ტკბილია - იჭმევა; გამოიყენება საკვებად, როგორც ბოსტნეული. გამხმარ ფოთლებს ჩაისთვის იყენებენ. ბოჭკოებისაგან მზადდება თოკები. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, დეკორატიული, ნიადაგ და ქვიშადაამტერი.

თუხური დასახელება: თხაწართხალა'ი



Chamerion angustifolium L.



თხანართხალა დოდონესი

ოჯ. წყალნაწყენისებრნი - Onagraceae

Epilobium dodonaei Vill.

20-100 სმ. სიმაღლის ნახევრადბუჩქია, მიწისქვეშა გრძელი, ხორცოვანი სქელი ყლორტებით. ღერო სწორმდგომი ან წამოწეულია, ყვავილობისას, ხშირად მოწითალო ფერის. ფოთლები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა.2-6 სმ. სიგრძის. ყვავილები შეკრებილია წაგრძელებულ ფარჩხატ, კენწრულ მტევნებში. ჯამი მუქი იისფერია, გვირგვინი,- ოდნავ ზიგომორფული, მკრთალი ვარდისფერი. ნაყოფი ტოტისებრი კოლოფია, შებუსვილი, მოთეთრო ქეჩისებრი, სიმწიფისას მოწითალო.

ყვავილობის დრო VI-IX თვე. ნაყოფობის დრო VII-X თვე.

იზრდება მდინარეებისა და ნაკადულების რიყიან ნაპირებზე, მორენებზე, ნაშალებსა და მდელოებზე. მთის ქვედადან სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, დეკორატიული.



Epilobium dodonaei Vill.



კატაბალასა სამკურნალო

ოჯ. კატაბალასებრნი - Valerianaceae

Valeriana officinalis L.

1-1.5 მ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესურა ძალიან მოკლეა, თასმისებური ფუნჯა ფესვებით. ღერო ჩვეულებრივ მარტოულია. ფოთლები ფრთისებრ განკვეთილია, კიდევებზე წამწამიანი ფოთოლაკებით. ფოთოლაკები ლანცეტა, ან მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, ხერხისებრ დაკბილული. ყვავილედი დიდი ზომისაა, გაფარჩხული, ფარისებრ-საგველასებრი. ყვავილები მოვარდისფრო-თეთრია. თესლურა 2-4 მმ. სიგრძისაა.

ყვავილობის დრო V-VIII თვე. ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება მდელოებზე, ტყისპირებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა და ტაობების ნაპირებზე, ნაირბალახეულობაში. ტყის სარტყლებში. სამკურნალო გამოყენებისაა. გამხმარი თესლი საკვებია. გამოყენება: სამკურნალო დეკორატიული, საკვები (საჩაიე, არომატიზატორი).

თუშური დასახელება: გულბანდწ

თუშეთში გამოიყენებენ მხოლოდ ფესვს. გამშრალი დიდხანს ინახება. ნახარში ითვლება სვეტის სწინააღმდეგო უბარ საშუალებად. გამოიყენებენ სიფრთხილად საჭირო. გადაჭარბებული მოხმარება „გულეჭვის“.



კანკაშა რძეყვავილა

ოჯ. მაჩიტასებრნი - Campanulaceae

Campanula lactiflora M.Bieb. - გამოყენება: საკვები, დეკორატიული.

150 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო მარტივია, ყვავილენი დატოტვილია; ფოთლები ფართოა, მახვილწვერიანი, კიდეებზე ორმაგად დაკბილული, ქვედა ფოთლები მოკლე ყუნწშია შევიწროვებული, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ელიფსური ფორმის. დანარჩენი ფოთლები მჯდომარეა ან ნახევრად ღერომხვევი; ყვავილები დიდი ზომისაა 2.5-3 სმ სიგრძის შეკრებილია ფარჩხატ მრავალყვავილიან საგველა ყვავილედად და გაწყობილია დამოკლებულ სწორ ყვავილის ყუნწზე. გვირგვინი თეთრია ან ცისფერი ფართო ზარისებრი შუამდეა გაყოფილი; კოლოფი წვერთან იხსნება ხვრელებით.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-IX თვე.

იზრდება - მდელოებზე, ტყის პირებზე, მაღალ ბალახეულობაში, მთის ქვედა სარტყლიდან დაწყებული ალპური სარტყლის ჩათვლით. ფოთლები - მომზადებული და ნედლი, ყვავილები - ნედლი გამოიყენება სალათებში. დეკორატიულია.



Campanula lactiflora



კესანი ალპური

ოჯ. ლაშქარასებრნი - Boraginaceae

Myosotis alpestris F.W.Schmidt

8-20 (30) სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. მრავალი მარტივი ან სუსტად დატოტვილი ღეროთი, რომლებიც შემჭიდროებულ კორდულას ქმნიან. ქვედა ფოთლები მოგრძოოვალური ან ნიჩბისებრია, შევიწროებული გრძელ ყუნწად. ყვავილეთი მრავალყვავილიანია, მოკლე მჭიდრო. გვირგვინი მუქი ცისფერია, გადანალუნი 11 მმ.-დე დიამეტრისაა. კაკლუტები მომრგვალო კვერცხისებრია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე. გამოყენება: სამკურნალო, დეკორატიული (დანერგულია ჰორტიკულტურაშიც).

თუხური დასახელება: ცისთვალა'ი



ს
Myosotis alpestris F.W.Schmidt



კვლიავი

Carum carvi L.


20-60 სმ. სიმაღლის ორწლოვანი მცენარეა. ქვედა ფოთლები მოხაზულობით მოგრძო კვერცხისებურია, სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი ხაზურ ან ლანცეტა, წაწვეტებულ ნაკვეთებად. ღეროსეული ფოთლები დაპატარავებულია, შედგება გაფართოებული, სიფრიფანა არშიით შემოვლებული ვაგინისა და ფრთისებრ განკვეთილი ფირფიტისაგან. ქოლგები 5-10 სხივიანია; ქოლგისა და ქოლგაკის სხივები ძლიერ უთანაბროა. ყვავილები თეთრია ან ვარდისფერი. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებურია, 4-6 მმ. სიგრძის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება მდელოებზე, მთის შუადან ალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, ეთერზეთის საწარმოო, სანელებელი, არომატიზატორი.

თუხური დასახელება: წყლის ქონდარა'ზ

ხაღსური სამზაროუცი: იყნებენ მის თესვს სჟმელს შქსნეჯებდ. ის სყცის მოყვაროუცი მცნსაროა, იზრდებჟ ჭყანსეების ჰირებში, სხეცივ აქედან აქეს; არის სთიბებშიც. აგროოებენ, როცა ჯარგად დათესციანდებჟ. მას ღროობიანად სყვევენ და ჯონებად შქროუნს, სსნიავოზე ჯიდებენ. ჯარგად რომ გახმებჟ, დაცესეჯვენ, ასუ თესვს გამონარევენ და ახნათესლობამდე იმარაგებენ. იყნებენ სოროციან ჯრძებში, სისეცის სოროცის შიგთავსს აუციდებდჟ ურევენ, უმეცესად დაფქუნს.



კლდისდუმა კავკასიური

ოჯ. მსუქანასებრნი - Crassulaceae

Sedum maximum subsp. *Ruprechtii* (Jalas) Soo.
(სინონიმი - *Sedum caucasicum* (Grossh.) Boriss.)

70 სმ.-დე სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ესვი ტუბერისებრ გამსხვილებულია; ღერო მრგვალი, ხშირად მოიხდრო მეწამულ მწვანე ფერის. ფოთლები მოპირისპირეა, ბრტყელი, ფართო კვერცხისებრი, თავში მომრგვალებული. ყვავილედი ფარისებრი, მრავალყვავილიანი კენწრული საგველაა. თესლი წვრილია, მოგრძო კვერცხისებრი, რუხი მოყავისფრო ელფერით.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VIII-IX თვე.

იზრდება კლდოვან და ქვიან ფერდობებზე, დაბლობიდან, სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, ნიადაგსაფარი.

თუხური დასახელება: კდის დუმა'ნ

საქსური მედიცინა: ჯეღის დაბაჯანისანი მცენარეა. აქვს სიროჯოვანი ფოთლები, ხმარობენ წამედ ჭრილობებისთვის [ჯოჯანძე, 2012].



კლდისვაშლა დაბალი

ოჯ. მსუქანასებრნი - Crassulaceae

Sempervivum pumilum M.Bieb.

5-20 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო შებუსვლია; როზეტი 0.5-1 სმ დიამეტრისაა; როზეტის ფოთლების რაოდენობა 45-დეა, 1-2 სმ. სიგრძისა და 3-4 მმ. სიგანის, ლანცეტა წაწვეტებულია. ქოლგისებრ-ფარისებრი ყვავილედი 5-30 ყვავილიანია. გვირგვინი ვარდისფერია, თეთრი არშიით.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება კლდეებზე, მორენებსა და მთის ქსეროფიტულ დაჯგუფებებში, სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში. გამოყენება: საკვები, დეკორატიული.

თუშური დასახელება: ფხიჯა'ი

საქსური სამზარეულო: სსიამოვნოდ მუაჟე გემო აქვს, ჭამენ ადგილ-ზეყე, უძაღ. არ ინახებ



კონიო ლაქებიანი

ოჯ. ქოლგოსანნი - Apiaceae

Conium maculatum L.

60-100 (180) სმ. სიმაღლის, ორწლოვანი, შიშველი მცენარეა. ღერო მომრგვალო, მოლევოა. უპირატესად ქვედა ნაწილში მოფენილია მოწითალო-მურა ფერის ლაქებით; ზედა ნაწილში ოდნავ დაკლაკნილი, ძლიერ დატოტვილია. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, მოხაზულობით კვერცხისებრია, სამმაგ-ფრთისებრ -განკვეთილი. ნაკვეთი მოგრძო კვერცხისებრია. ზედა ფოთლები იმავე ფორმის დაპატარავებული, თითქმის მკდომარე. ქოლგა მრავალია, 10-20 სხივიანი. ნაყოფი 3-3.5 მმ.-ია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება მთის ზედა სარტყლამდე ტყისპირებზე, ბუჩქნარებს შორის, ზოგჯერ როგორც სარეველა ნასვენ ადგილებსა და სცხოვრებელ ბინებთან ახლოს. სამედიცინო გამოყენებისაა. მომზადებული საკვებად გამოიყენება. გამოყენება: სამკურნალო, საკვები. გაფრთხილება: ძლიერ ტოკსიკურია.

თუშური დასახლება: მათუთ

სახლური სამზარეულო: მკურნალობის დროს ღეროს გაფუჭებისა და უმად ჭამებს.



კონახური ჩვეულებრივი

ოჯ. კოწახურისებრნი - Berberidaceae

Berberis vulgaris L.

3 მ.-დე ბუჩქია. ფოთოლი თხელია (ტყავისებრი არ არის და არც უხეშია) კიდებე ხერხკბილა და წამწამიანი; ეკალი სამადაა გაყოფილი; ნორჩი ტოტები მოყვითალო მურაფერისაა, უფრო ხნიერი - ნაცრისფერია. ნაყოფი მოგრძოა 10-12 მმ. სიგრძის, კაშკაშა წითელი.

ყვავილობის დრო V-VI თვე. ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება მთის შუა სარტყლის ჩათვლით, ტყისპირებზე, მდინარეთა ნაპირებზე, რიყებზე. გამოყენება: სამკურნალო, დეკორატიული, ნიადაგდამტერი (ანტიეროზული), საკვები (მათ შორის ჩაისთვის, სანელებელი).

თუშური დასახელება: კოწახურ

ღებვა: ღებავს კონახურის ძირშიც და მის მსგავს ნაყოფშიც. ნაყოფში შესღებად ძაღს ჯრ შახიან სყაღში ჩადებენ ერთი დღით ან უფრო ცოცხ სხით, მასთან ერთად წამოაღებენ, შემდეგ კი ნაყოფთან ერთად ხარშავენ. იღებენ ვარდისფერს, კონახურის ძირში შესღებით კარგ ყვითელ ფერს იღებენ, თუში ქაღების თქმით - „ღუმღუმ ყვითელად“ ღებავს. ძირს გამოყენების წინ დაჩეჩკა უნდა, შესღებდ ძაღს კი ორთქლზე გაცივება და შემდეგ გშრობა.

ხაღხური მელისინა: კონახურის ახაღხარნი დროობის, ცოცხების ქრქისა და ფესვების ნაყენს იყენებენ გაცივებულის სამკურნალოდ და სიხის დამსუკ სამუაღებად, ითვეება ნაღველის ბუმცის სამკურნალო სამუაღებადაც.

ხაღხური სამშაროული: კონახურის ნაყოფს ხიდაღაც ქაღენ და მისგან ძმარსაღ აშხაღებენ.



კრაზანა

ოჯ. კრაზანასებრნი - Hypericaceae

Hypericum perforatum L.

20-50 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები მკდომარეა, ოვალური, მოგრძო-ხაზური, თითქმის გულისებრი ფუძით. წვერში მობლაგვო, ბრტყელი ან გადაკეცილი კიდეებით. ფოთლის მთელი ზედაპირი მოფენილია მრავალი გამჭვირვალე ჯირკვლით. ფოთლის ილღიებში ვითარდება შეფოთლილი ყლორტები. ყვავილები შეკრებილია ფართე საგველასებრ, თითქმის ფარისებრ ყვავილედედად. თესლი პატარა ზომისაა, ცილინდრული, ყავისფერი, ფიტისებრი ზედაპირით.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო V-VIII თვე.

იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებსა და ტყეებში, ზღვის დონიდან სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები (სჩაიე-დაც იყენებენ), დეკორატიული, საღებავი.

თუხური დასახელება: კრაზანა'ი

ღებვა: *სამღებრო საქმეში არაზანას მისიზელა ნანიდს იყნებენ და-აროფისთანაჟ. ინახავენ სანამთროლდაჟ. შენახუც არაზანას შეღებვის წინა დღეს წყაღში ატობენ. არაზანაში შეღებიდი ძაფი მოყავისფრო ყვითელი ეღფრისა.*

ხაღხური მდიცისა: *იყნებენ ჟუჭ-ნანღავისა და ნაღვლის ბუმცის სამკურნალოდ. მისი ნაყნის მიღება ეფექტურია ყაზხოზის დროს, არაზანაჟ, ასეჟ როგორჟ უღებანდი, ფროთხიდად მისაღები მცენარეა, რადგან მის ჭარბ მიღებას უჟუჩვესებები აქვს.*

ხაღხური სამზარეულო: *არაზანას მკორნაირად „ყვითელ ჩაისაჟ“ უწოდებენ. მისი ყვავილისა და ჰაფარ-ჰაფარო ცოფებისგან ჩაის აყნებენ.*



კრილოსანა კავკასიური

ოჯ. პარკოსანნი - Leguminosae

Hedysarum ibericum M. Bieb.

30-50 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთოლი შედგება 7-12 წყვილი ფოთოლაკისაგან; ფოთოლაკი 12-18 მმ. სიგრძისაა. ელიფსური-დან,-მოგრძო კვერცხისებრამდე. გვირგვინი 15-22 მმ. სიგრძისაა, მუქი მეწამული; ფრთები აფრის ტოლია და ნავზე მოკლე. ნაყოფი 3-ნაწილაკისაგან შედგება.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, ტენიან კლდეებსა და მორენებზე; 2000-3000 მ.ზღვის დონეზე. გამოყენება: დეკორატიული, ნიადაგსაფარი.

თუხური დასახელება: აჭკანტა'წ

მისი თიჯა ჯარჯია ჰაჯარა სხოების საკუბად.



კუთი ბალახი

ოჯ. ტუროსნები- Lamiaceae

Teucrium polium L.

5-30 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო წამოწეულია, დატოტვილი, თეთრქეჩისებრ შებუსვილი. ფოთლები მოგრძოა ან უკუღლა-ნცეტა, ძირთან გულისებრი, კიდებზე მრგვალებილა, მჯდომარე, ორივე მხარეზე ქეჩისებრ შებუსვილი, მოთეთრო. ყვავილედი თავაკისებურია, ყვავილები მჯდომარეა, მოთეთრო.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, კლდეებზე, ნაშალებზე, ველებზე, ბუჩქნარებში, -მთის შუა სართყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები (ლიმონათის დასამზადებლად), თაფლოვანი, სანელებელი, დეკორატიული, ნიადაგსაფარი და ანტიეროზიული, ჩრჩილის საწინააღმდეგო (რეპელენტი).



ლაშაზა

ოჯ. მიხაკისებრნი - Caryophyllaceae

Silene compacta Fisch.

20-70 სმ. სიმაღლის, შიშველი, ლეგა მცენარეა. ღერო მარტივი, ან ზედა ნაწილში დატოტვილია. ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ღეროსეული კვერცხისებრ-ლანცეტა, მჯდომარე, ძირში მომრგვალებული. ყვავილეთი კენწრულია, თითქმის თავაკისებრი, ან კუმსი ფარისებრი. ყვავილები მეწამული ფერისაა. გვირგვინის ფურცლები ჯამზე ერთნახევარჯერ გრძელია, თანაგვირგვინითა და ყურისებრ გაფართოებული შიშველი ფრჩხილებით. კოლოფი მოგრძო-ცილინდრულია. თესლები ძალზე წვრილია, თირკმლისებრ-მომრგვალო.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება ტყის სარტყელში., ტყისპირებზე, ღორღიან განათებულ ფერდობებზე, მდინარეთა ნაპირებზე, გამეჩხერებულ ბუჩქნარებს შორის რაცხარებზე. გამოყენება: დეკორატიული, ნიადაგსაფარი.

Silene compacta Fisch.



ლაშქარა

ოჯ. ლაშქარასებრნი - Boraginaceae

Symphytum caucasicum M.Bieb.

100-120 სმ. სიმაღლის, მრავალწლოვანი მცენარეა. მთელი მცენარე შებუსვლილია ჯაგრისებრი, ხაოიანი მონაცრისფრო ბეწვით. ფოთლები წვერისკენ წაწვეტილია. ყვავილედის ხვეულები ფაშარია, საკმაოდ გრძელი. გვირგვინი ლურჯი ფერისაა, ჯამზე 2-3 ჯერ გრძელი. კაკლუჭა მუქი ყავისფერია, ბადისებრ ნაოჭიან-ბორცვებიანი.

ყვავილობის დრო IV-VI თვე. ნაყოფობის დრო VI-VII თვე.

იზრდება ტყისპირებსა და გზებთან, ასევე რუდერალურ ადგილებში, როგორც სარეველა. მთის შუა და ზედა სარტყელში. გამოყენება: საკვები, სამკურნალო (მათ შორის ჩაით), სასილოსე.

თუხური დასახელება: შალდაყნ

სასაძოვრო და სათიბი მცენარე. აქვს ძაბრის ფორმის ღურჯი, ღამაში ყვავილი. ზაქმეები შედგაყის ყვავილებს „მიმინო“ ეძახიან, მათ სათითაოდ ვუბრეში ყრიან და ამით ერთობიან. ყვავილი არ იძირება და ადგილზე ქრიალებს, ზაქმეები ჯი ქაშს უჯრავენ, თან ამზობენ: „დათამაშდი მიმინო, ქაშს დაეიარავ, მიმინო“.

ხაჯსური მკდიცისა: შედგაყის მოხარშუე ძირს გასიკებუე ადგილზე იღებენ, ის სიმსივნეს აცხრობს [მაკადათია, 1933, 115].

ლაშქარა
Symphytum caucasicum



ლეკის ხე

ოჯ. საპინდუსისებრნი - Sapindaceae

Acer platanoides L.

20-35 მ-დე სიმაღლის ხეა, მომურო-მონაცრისფრო ქერქით. ფოთლები 5-7 ნაკვეთიანია 8-20 სმ სიგრძის. ნაყოფის ფრთები დიდი ზომისაა 3.5-6 სმ.-დე, ბლაგვი კუთხითაა გაშლილი, თითქმის ჰორიზონტალურად.

ყვავილობის დრო V თვე. ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება მთის ქვედადან-ზედა სარტყლამდე, ფოთლოვან, შერეულ და წიწვოვან ტყეებში. ერთეულ ან პატარა ჯგუფებად. გამოყენება: დეკორატიული, სამასალე, სამკურნალო, სამღებრო.

თუხური დასახელება: ლეკის ხე

სამკურნეო დაწმენიერება: ძირითადად შქმად გამოიყენება.

ლ
Acer platanoides L.



ლენსოფა შავი

ოჯ. დალფურძენასებრნი - Solanaceae

Hyoscyamus niger L.


30-80 სმ. სიმაღლის, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი, ორწლოვანი მცენარეა. ფოთლები მთლიანი ან ფრთისებრ ამოკვეთილია. ჯამი ყვავილობისას ბალახოვანია, ნაყოფობისას დიდდება და ქოთნის ფორმას იღებს. გვირგვინი მღვრიე ყვითელი ფერისაა, ბადისებრი იისფერი ძარღვებით. თესლი მრავალია, ყვითელი, ფიჭისებრი ზედაპირით.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VII თვე.

იზრდება რუდერალურ ადგილებზე, გზისპირებზე, ბაღებსა და ბოსტნებში. ზღვის დონიდან, მთის ზედა სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, თავგებისა და მღრნელების დასაფრთხობი. გაფრთხილება: მცენარის ყველა ნაწილი ძლიერ შხამიანია.

თუშური დასახელება: საპინა'ი

საქსური მკვდისა: „ზანსს სამცად სპრობჳს ჯიდილ ჟიიჯილ ან დასიბუჯის წინააღმდეგ“. ეს მცენარე ძლიერ სახიფათოა. მას სადი-ჯარა'საჲ უწოდებენ [ბოჭორიძე, 1993, 437-438]. ამ მცენარის მი-წისზედა ნაწილს როგორც საინგანჯაციოდ, ასევე ვისეკოლოგიური პრობ-ლექების დროს იყენებდნენ.



მათუთა შეფოთლილი

ნაცარქათამასებრნი - Chenopodiaceae

Chenopodium foliosum Asch.

70 სმ.-დე სიმაღლის დატოტვილი, ერთწლოვანი მცენარეა. ფოთოლი ორივე მხარეზე მწვანეა. ფესვთანური და ქვედა ღეროსეული ფოთლები გრძელყუნწიანია, მოხაზულობით კვერცხისებრ-სამკუთხა, შუბისებრი ძირით. ყვავილედნი გრძელია, თავთავისებრი, წვერამდე შეფოთლილი; ყვავილის გორგლურები მკვრივია, სფეროსებრი, კენწრული ფოთლების ილღიებში განლაგებული. ყვავილსაფარი მეტწილად 3-დაა გაყოფილი, ნაყოფობისას წითლდება, კენკრისებრია, მისი ნაკვეთები 1/2 -დე შემრდილია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება ქვიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. დაბლობიდან, მთის ზედა სარტყლამდე. გამოყენება: საკვები, სამკურნალო.

თუხური დასახელება: ძაღლთუოლა'ი

საქსური სამზარეულო: ძაღლთუოლა'ის ახაჯაზორდა ამონაყარისგან გემრიელი მხაღი მზადდება.

Chenopodium foliosum Asch.



მამულა ჩვეულებრივი

ოჯ. რთულყვავილოვანი - Compositae

Artemisia vulgaris L.

50-150 სმ. სიმაღლის სწორღეროიანი, მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები მჯდომარეა, ღრმადაა ფრთისებრ განკვეთილი ან დაყოფილია ფართო ან ვიწრო ლანცეტა, ჩვეულებრივ ჩაჭრილ ნაკვეთებად. ქვედა მხარეზე სქლადაა ქეჩისებრ შებუსვლი. კალათები მრავალრიცხოვანია, ზარისებრი, თითქმის მჯდომარე, შეკრებილია გრძელ, მჭიდრო მტევნებად გვერდითა ტოტაკებზე და საგველასებრ ყვავილედს ქმნის. ყველა ყვავილი სანაყოფეა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-X თვე.

იზრდება ბუჩქნარებში, ტყისპირებზე, ხშირად როგორც სარეველა, - ზღვის დონიდან, მთის ზედა სარტყლამდე. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, სანელებელი და არომატიზატორი, მწერების დასაფრთხობი.

თუხური დასახელება: ჯორთკუდა'ი,
ფურთკუდა'ი

ხაღსური სამზარეულო: სამხლე მცენარეა.



Artemisia vulgaris L.



მარგალიტა მთვარისებრი

ოჯ. გველისენასებრნი - Ophioglossaceae

Botrychium lunaria (L.) Sw.

3-30 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესურა მოკლეა, მომსხვილო, დაუტოტავი ფესვებით. ფოთლის სტერილური ნაწილი ხორცოვანია, მოგრძო, ერთმაგ ფრთისებრი, 3-7 წყვილი მარაოსებრ-თირკმლისებრი. ფოთლის სასპორე ნაწილი ვიწროა, სტერილურზე მაღალია, გრძელყუნწიანი და უნაყოფო ნაწილის ვაგინიდან ამოდის, საგველასებრ დატოტვილი.

სპორანგიუმის განვითარება/მომწიფება VII-IX.

იზრდება ტყის ზედადან, ალპური სარტყლის ჩათვლით, ტენიან ველობებზე, ბუჩქნარებში. გამოყენება: სამკურნალო.

თუხური დასახელება: მარგალიტ

ხაღსური მელციანა: მარგალიტს თუშეთში ჭრილობის „შემოძვან“ საუკეთესო საშუალებად თვდიან. როგორც ჩანს, ეს მცენარე ანციკპლუიურია. მას წყლუდი სწრაფად და იოლად შემოჰყავს ამიჯომ მკორესანიად მას „სყრუდის ბადახსაჯ“ უწოდებენ. გამხმარს ფქვავენ და ისე იყენებენ, ამ ფხვნილს აყრიან პირდაპირ ჭრილობაზე. ეს მცენარე სოსანისფერია, არა ჰგავს ფერადლოვებით მარგალიტს. თუშეთში არსებობს ასეთი გადმოცემა: ძველად მოფორისას სწროებს სოცავდნენ და მათი ყუჭიდან ზღვაში გადაყვანული მარგალიტები ამოჰქონდათ და ჭრილობებს ამით მკურნალობდნენ. თურმე წყლუდზე დაფქუდ, დაფხვნიდ მარგალიტს აყრიდნენ [ნ. აზიური, 1985, II, 32]. შეიძლება ამ მცენარის სხელწოდება ძველი გადმოცემის გამოძახილი იყოს.

Botrychium lunaria



მარწყვა ბალახი კრანსის

ოჯ. ვარდისებრნი - Rosaceae

Potentilla crantzii (Crantz) Beck ex Fritsch

20 სმ.-დე სიმაღლის, მრავალწლოვანი ძლიერფესურიანი მცენარეა. საყვავილე ღეროები წვრილია, განაპირა წამოწეული, შუათანა სწორი. ფესვთანური და ქვედა ფოთლები მოკლემწეწიანი, 5 ნაკვთიანია. შუათანა - 3 ნაკვთიანი, ზედა, - მარტივი და მჯდომარე. ყვავილედ იფარება და ხშირად მრავალყვავილიანი. ჯამქვრშას ფოთლები მოგრძო ელიფსური, ბლაგვი; ჯამის ფოთლები კვერცხისებრი და წვეტიანია, ჯამქვეშაზე გრძელი. გვირგვინის ფურცლები ფართო უკუგულისებრია, ჯამის ფოთლებზე გრძელი.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება ქვიან ადგილებსა და ტყისპირებზე, სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში. დეკორატიულია.

Potentilla crantzii



მარწყვი

ოჯ. ვარდისებრი - Rosaceae

Fragaria vesca L.

5-20 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო სწორია ან წამოწეული, ოდნავ აღემატება ფესვთანურ ფოთლებს. ფოთლები სამფოთლო-ლაკიანია, ფოთოლაკები - მოკლეყუნწიანი, კვერცხისებრი ან რომბული ფორმის. გვირგვინის ფურცლები თეთრია, კვერცხისებრი ან მომრგვალებული. მწიფე ნაყოფი კვერცხისებრი, ბზრიალასებრი, ან თითქმის მომრგვალოა, კაშკაშა წითელი ფერის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო V-VI თვე.

იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყეებსა და ტყისპირებზე, მთის ზდა სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, კოსმეტიკური, კბილების გასათეთრებლად.

თუშური დასახელება: მარწყვჭ

ხაღსური მედიცინა: მარწყვის ღეროს და ფოთლების ნაყენს ჯუჭამდილობის და ჯუჭ-ნაწიკის ანთების დროს, მუცლის ტკივილისას იყენებენ.

ხაღსური სამზარეულო: ყვავილობის დროს მარწყვს სხაიოდ იყენებენ, იღებენ მარწყვის მიწისზედა ნაწილს. მარწყვი ცყის და ვედის ვეპრიედი იქნარა; იგი ხარობს ჭაღებში, ცყეში, „ცყის ვედიჭებში“ - „მეშა-ნაჭარე“ ადგიეებში - სამარწყვეებში. ის ძაღიან სურსელოვანი ხიღი და მარწყვიან ვეღზე მისი სუნი მკვეთრად იგროძსობა. ჭამენ ხიღად და ჯროფენ სამურაბეღაჯ.

Fragaria vesca L.



მატიცელა ალპური

ოჯ. მათიტელასებრნი - Polygonaceae

Persicaria alpina (All.) H.Gross

110 სმ.-დე სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფესურა მხოხავია, ღეროები დატოტვილი. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, გრძლად წაწვეტილი, მახვილწვერიანი. კიდეებზე ოდნავ დატალღული. ყვავილეთი საგველასებრია, მრავალყვავილიანი. ყვავილები მომწვანო-თეთრია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VII თვე.

იზრდება ტენიან ფერდობებზე, წყლისპირებზე, ტყისპირებსა და ბუჩქნარებს შორის - სუბალპურ სარტყელში. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, დეკორატიული.

თუხურო დანახელება: წართხაღი

ღებვა: შესაღებად გამოიყენებ როგონჯ ახდამოგროფიდი, ისე გამომარი სხითხაჯ. შესაღებად ზაფხულშიეე აგროგებენ, როჯა ის მწკანეა; აგროგებენ მამინაჯ, როჯა ბუნებრივად თვიითონ განმება. ძველსა და გამმმარს გამოიყენებს სინ სყაღში აღბობენ, მწკანეს, ახდამოგროფიდს ჯი მამინეე იყენებენ. ღებვას მწკანედ, ძაღას დამაჯებით ეღფროს იჯვდის. სმეღში (ძვეღში) შეღებდის მწკანე თერი ყავისფროისიყენ ისროგბა.

ხაღსური სამზარეულე: წართხდის ახაღგაზრდა ყღროჯებს და ფოთღებს „სანგბაში“ უმად ჭამენ სხვა მჯენარეებთან ერთად.

Persicaria alpina H.Gross.



მატიტელა დედალი

ოჯ. მათიტელასებრნი-Polygonaceae

Polygonum cognatum Meisn.

8-60 სმ. სიგრძის გაწოლილი, მრავალწლოვანი მცენარეა. გახევებული ფესურა აქვს. ფოთლები ოვალურიდან, მოგრძო ლანცეტაა, მოკლეწვეტიანი. ლოლუები მთლიანია, თეთრი, სიფრიფანა. ყვავილები ჯგუფებადაა ფოთლის იღლიებში. წითელი ან ვარდისფერია. ნაყოფი არაწესიერ სამწახნაგა, შავი, პრიალა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო IV-VIII თვე.

იზრდება მშრალ, ქვიან ადგილებზე, გზისპირებზე, ნათესებში. ალპურ სარტყელში. გამოყენება: სამედიცინო, საკვები (მათ შორის ჩაით).

თუხური დასახელება: ტიმტიკ



Polygonum cognatum Meisn.



მატიძალა ჩვეულბრივი; მატიძალა ჩიძის

ოჯ. მათიტელასებრნი - Polygonaceae

Polygonum aviculare L.

10-14 სმ სიმაღლის წამოწეული ან გართხმული ერთწლოვანი მცენარეა. ფოთლები სხვადასხვა ზომისაა, ოვალურიდან ხაზურამდე. ლოლუები ორადაა ღრმად განკვეთილი. ყვავილები პატარა ზომისაა და ფოთლების ილღიებში 2-5 ერთადაა განლაგებული. ფერით თეთრი ან ვარდისფერი. ნაყოფი სამწახნაგოვანია სიგრძით 2 მმ-მდე.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-X თვე.

იზრდება გზისპირებზე, ნათესებში და რუდერალურ ადგილებზე სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამედიცინო, საკვები (მათ შორის ჩაით), ფრინველის საკვები, საღებავი.

Polygonum aviculare L.



მაჩიტა ქვისმოყვარული

ოჯ. მაჩიტასებრნი - Campanulaceae

Campanula petrophila Rupr.

4-25 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი, ფაშარკორდიანი მცენარეა. საყვავილე ყლორტები მრავალია, წვრილი, წამოწეული, 1 ან 2-5 ყვავილიანი და უნაყოფო ყლორტებით. ძირის ფოთლები უცბადაა შევიწროებული ყუნწად, კვერცხისებრი ან მომრგვალო-უკუკვერცხისებრი ფორმის, 3-15 მმ. სიგრძის, 5-12 მმ. სიგანის, წვერზე 3-5 კბილით. ჯამის ნაკვებები სამკუთხა-ლანცეტისებრია, მობლაგვო, 3-4 -ჯერ მოკლეა გვირგვინზე. გვირგვინი ზარისებრი ან მილისებრ-ზარისებრია, ღია ცისფერი. კოლოფი ნახევრადმრგვალია, ძირს დახრილი. თესლი მოგრძო, ბრტყელი, ვიწროფრთიანია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში, კლდეთა ნაპრალებსა და წვრილლორდიან ნაშალებზე, კლდის ძირებზე. დეკორატიულია.

Campanula petrophila



მდგნალი

ოჯ. ტირიფისებრნი - Salicaceae

Salix caprea L.

5-10 მ. სიმაღლის, სწრაფადმზარდი ხე ან ბუჩქია. ტოტები მსხვილი და გაშლილია. ახალგაზრდა ყლორტები შებუსვლია. ქერქი ნაცრისფერ-მწვანეა. ფოთლები კვერცხისებრი ან ლანცეტა. მჭადა ყვავილედეები მრავალია, ხშირი, დიდი და მისი ღერძი შებუსვლია. ნაყოფი კოლოფა შებუსვლი ფეხით. თესლი 16-18 კოლოფში.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო IV-V თვე.

იზრდება ტყეებსა და ტყისპირებზე, სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, დეკორატიული, მერქნის რესურსი, თაფლოვანი, ნაკეთობისათვის, ტყავის შესაღებად, ნიადაგსამაგრი (ანტიეროზიული).

თუხური დასახელება: ფოხვნი

საქსური მკაცისა: ფოხვის ფოთლებისგან დამზადებულ ნაყენს თირ-ქმელების დაჯადების დროს იყენებენ.

სამკურნალო დანიშნულება: ფოხვის ხისგან ამზადებენ ჩაღის გასასწორებელ და აჯლის ასაბრუნებელ ფისაღს. ფოხვის სეკონს ზამთრის ბოლოს და გაზაფხულზე საქონელს აჭმევენ და ის ამ დროს ჰიპოტენიის საუკეთესო საკვებად ითვლება.

Salix caprea L.



მიხაკი დაღესტნური

ოჯ. მიხაკისებრნი -Caryophyllaceae

Dianthus daghestanicus Kharadze

17-50 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ძირში გახევებულია, მრავალრიცხოვანი ღეროები ზედა ნაწილში ოდნავ დატოტვილია. ფოთლები ხაზურია, მახვილი შიშველი, კიდეხაოიანი, - ძირში შეზრდილი ვაგინად. ყვავილები მარტოული, ან 2-3 ერთად, ტოტების ბოლოებზე.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება ნაშალებზე, ფიქლოვან კლდეებზე, მდინარის ტერასებზე. მთის შუა და სუბალპურ სარტყლებში. გამოყენება: დეკორატიული, ნიადაგსაფარი.

თუშური დასახელება: მიხაკი, თუშურა' მიხაკი



Dianthus daghestanicus Kharadze



მოსვი შავი; მოსვი მირთისფოთოლა

ოჯ. მანანასებრნი - Ericaceae

Vaccinium myrtillus L.

40 სმ.-დე სიმაღლის ბუჩქია. ტოტები შიშველია, მახვილწიბოებიანი. ფოთლები კვერცხისებრი ან ელიფსურია, შიშველი, წვრილ კიდეებრ-კბილა, მოკლე ყუნწებით. ყვავილები მარტოულია, გვირგვინი მომწვანო ვარდისფერია, სფეროსებრი; მოკლე გადაღუნული კბილებით. ნაყოფი შავი ფერისაა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-IX თვე.

იზრდება მდელოებზე, არყნარ ტყეებში, დეკიანში, კეწერიანში - სუბალ-პურსა და ალპურ სარტყელში. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, საღე-ბავი.

თუხური დასახელება: ჟოღი

საქსური სამზარეულო: თუშეთში მოცვს ჩაღმა-გომქნარში „ჟოღს“ უწოდებენ, ჰირიქითის სეობაში - „მეღმაჯია“. სოკათაში - „ღაგაზ“ თუშეთში იგი ბეჭია. მნიფლება იქცის ბოლოს და იქვან გვიან შეძოდ-გომაზე, როცა ნაადრუვი ყინვები დაზნობს. აკვისცლოში თუში ბაჭმევის რთი საყვარედი საქმე „ჟოღობ სიარუდი“. აგროკებენ სამურაბედანც და სანამთოოდ ახმობენ იადეკაც. ჟოღი ჩაისთვისაც საუკეთესოდ ითუ-ღება. ჟოღის ჩაის ზამთარშიც ამზადებენ. ამისთვის ჩრეთენ ნაყოფიანი ცოცების მინსზედა ნანდს, ჟონებად შეჩრუდს ჩრდიდში ახმობენ. ნა-ყოფი გამხმარიც ჟი არ სცვიან „ჟოღის ფხეზს“ - ჟოღის ცოცებს. მისგან დაამზადებუდი ჩაი ღამაში ფერისან და ამასთან ერთად გეძრიდის.

საქსური მედიცინა: ჟოღის ღეროებისა და ფოთლებისგან დაყენებუდ ჩაის (ნაყნს) მუცლის ცეივიდის დროსაც სკამენ. მკურნალობენ ყაბზობას.



Vaccinium myrtillus L.



მოსვი წითელი

ოჯ. მანანასებრნი- Ericaceae Juss.

Vaccinium vitis-idaea L.

40-სმ.-დე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია, გართხმული ან წამოწეული ტოტებით. ფოთლები ტყავისებრია, ელიფსური ან უკუკვერცხისებური, გადაგრეხილი კიდეებით. ყვავილები მოკლემწვანია, შეკრებილია არამრავალყვავილიან (2-10), მოკლე, გადახრილ მტევნებში; გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი, ზარისებრი ფორმის, ღრმად 1/3-მდეა განკვეთილი კვერცხისებრი ფორმის ნაკვთებად. ნაყოფი წითელი ფერისაა.


ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-IX თვე.

იზრდება მდელოებზე, შქერიანებსა და დეკიანებში; კეწერიანებში; კლდეებზე - სუბალპურ და ალპურ სარტყელში. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, საღებავი, ნიადაგსაფარი.

თუხური დასახელება: სტომი

საქსური საშუალოელო: მარიამობის დღეს, რომელიც თუშეთში მიწვადებულია დღეს არის მიწსუდი, აქსობი რიფუალო „სლომიან ჯგრობს“. სლომის მოსაწანად საგანგებოდ მიდიან ცყეში. აქსობი ჯამის ფორმის ჰაწარა ჯგრობს, მასში ჩაყრიან სლომს და „ახადი სუდის ჰაწროსები“, ვისაც ოჯახში იმ სუდს გარდაცვდი ბაქში ჰყავს, ამ ჯგრობს, გარდაცვდიტა მოსახსნიებდ რიფუალო სუფრაზე ბაქშებს ურიგებენ.

Vaccinium vitis-idaea L.



მოსხარი მთის (ხუნნი, კლდის დუსი)

ოჯ. მსუქანასებრნი- Crassulaceae DC.

Ribes alpinum L.; *Ribes biebersteinii* Berland. ex DC.

1-3 მ.-მდე სიმაღლის ბუჩქია; ფოთლები 2-5 სმ სიგანისაა, მოხაზულე-ბით მომრგვალო ან ფართოკვერცხისებრი, ჩვეულებრივ სამნაკვთიანი, იშვიათად არანათლად გამოსახული 5 ნაკვთიანად, ძირში ოდნავ გული-სებრი, გადაკვეთილი ან მომრგვალო სოლისებრი.

ყვავილები ერთსქესიანია; გვირგვინის ფურცლები მოყვითალო მწვანეა; სიგანე სიგრძეს აღემატება. ნაყოფი კაშკაშა წითელია, შიშველი.

ყვავილობის დრო V-VI თვე. ნაყოფობის დრო V-IX თვე.

იზრდება ტყეებში, მთის შუადან სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამო-ყენება: სამკურნალო, საკვები, საღებავი.

თუშური დასახელება: ალუდა'ი, ხუნწი

ხაღსური სამზარეულო: ალუდა'ი ბუჩქოვანი მცენარეა, რომელს ნაყოფს ხიჯად იყენებენ [მაჩაჯათია, 1933, 111]. იგი ხუნწისმკვარია და ალუ-დის (ალუდის) ექმო აქვს [ბოჭორიძე, 1933, 427].

Ribes alpinum L.



მრავალძარღვა ბაშავებადი

ოჯ. მრავალძარღვასებრთა - Plantaginaceae

Plantago atrata Hoppe

10-40 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა, მსხვილი ღერძული ფესურით და სწორი ან წამოწეული საყვავილე ღეროთი. ფოთლები ფესვთანურ როზეტშია შეკრებილი, თითქმის გართხმულია ფართო, ხაზურ ან მოგრძო ლანცეტა ფორმის. მცენარე მოთეთრო ბეწვით არის ხოლმე მოფენილი. თავთავები სფეროსებრია, მომრგვალო კვერცხისებრი ან მოკლე ცილინდრული. კოლოფი ორთესლიანია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-IX თვე.

იზრდება მდელოებზე, კლდეებსა და ღორღიან ფერდობებზე. ტყის სარტყლიდან - ალპურის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები, საღებავი, ბოჭკოსათვის.

Plantago atrata Hoppe



მრავალქარღვა დიდი

ოჯ. მრავალქარღვასებრთა - Plantaginaceae

Plantago major L.

10-50 სმ. სიმაღლის, მოკლევსურიანი, მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები დიდი ზომის მომრგვალო ან ფართო კვერცხისებრია, 5-9 ქარღვიანი, შეკრებილია ფესვთანურ როზეტში. ფოთლის ყუნწი რამდენადმე გაფართოებული და ვიწროფრთიანია. საყვავილე ღერო სწორმდგომი ან წამოწეულია, თავთავები ვიწროა, ცილინდრული, წვერისკენ შევიწროებული. კოლოფი კვერცხისებრ-კონუსურია ან მომრგვალო, 6-30 თესლით.

ყვავილობის დრო/ნაცოფობის დრო VI-IX თვე.

იზრდება დასარეგლიანებულ მდელოებზე, ბუჩქნარებსა და ტყისპირებზე, რუდერალურ ადგილებზე. დაბლობიდან, სუბალპური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამკურნალო, საკვები.

თუშური დასახელება: ცხრაქარღვა'ი

საქსური მკვიცხისა: ახაქმოჯრუჯი, დაბეჯი ფოთლებს სყუჯუჯი იდებენ. ეს მცენარე სყუჯუჯიდან ჩირქის გამოსარსყავ სჰშუჯუჯად ითჯუჯად. მის საყესს ჰი „ჯჯიქ-ნაჯუჯის აჯადობის“ დროს სჯამენ.

Plantago major L.



მუზარადა აღმოსავლური

ოჯ. ტუჩოსნები - Lamiaceae

Scutellaria orientalis L.

7-25 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი, გართხმული ან წამოწეული მცენარეა. ფოთლები მომრგვალო სამკუთხა ან კვერცხისებრია, ძირთან წაკვეთილი, კიდებზე ღრმად მრგვალებილა. ყვავილედი 2-6 სმ. სიგრძისაა. ხშირად მჭიდროა. გვირგვინი 2.5-3 სმ. სიგრძისაა, ყვითელი. კაკლუჭები მჭიდრო მიტკეცილი ბეწვითაა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო V-VII თვე.

იზრდება ქვიან ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყლებში. გამოყენება: სამედიცინო, დეკორატიული, ნიადაგსაფარი, ცხვრის საკვებად.

Scutellaria orientalis L.



მურყანი

ოჯ. არყისებრნი - Betulaceae

Alnus glutinosa subsp. *barbata* (C.A.Mey.) Yalt.

18 მ-დე სიმაღლის ხეა. სანაყოფე ჭადები მეტ-ნაკლებად გრძელყუნწიანია. ფოთლები ქვედა მხარეზე მეტ-ნაკლებად ბეწვიანია, ძარღვების კუთხეებში კი წითური ქეჩისებრი ბეწვითაა.

ყვავილობის დრო III-IV თვე. ნაყოფობის დრო VIII-IX თვე.

იზრდება მდინარეების სანაპიროების დაჭაობებულ და ლამიან გავაკებებზე, მთის შუა სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამედიცინო, საღებავი, მერქნის რესურსი, პიონერი სახეობაა, ქარსაცავი.

თუხური დასახელება: მურყან

ღებვა: შესაძლებად მურყნის ქრქოს იყენებენ. წვრილად დაჭრილ ქრქოს დაჩრქვავენ და ერთი ან ორი დღით წყალში დააბზობენ. შემდეგ შესაძლებ ძაფთან ერთად ორი საათი ხარშავენ დაბად, თანაბარ ცეცხლზე. მურყნის ქრქოში შეღებულ ძაფს სწავლისფერის ცოხი ეძღვა, ხაზური განმარტებით – „ღვიძისფერი“. შეღებვის შემდეგ ძაფს წაწარს მოაყრიან და ორქოძზე განაცვივებენ.

სამკურნეო დანიშნულება: სახლის შენების დროს მურყნის ხეს ბანის „ყავრად“, (კავრებად) იყენებენ.



Alnus glutinosa subsp. *barbata*



მლიერი

ოჯ. პარმელიასებრნი - Parmeliaceae

Usnea sp.

ბუჩქისებრი (მოხუცისწვერა ლიქენი) ლიქენი. ბინადრობს ზომიერ ტყე-ებში, ხეების ტოტებზე დაკიდებული, ხის ხავსსაც ეძახიან. გამოყენება: სამედიცინო, საღებავი.

თუშური დასახლება: ფიჭვის ხავსნ

ღებვა: ფიჭვის ხავსს იყენებენ სღებავად. მოყვითალო ღიმონისფერს იღებენ.



ნარი დასული

ოჯ. რთულყვავილოვანი - Compositae

Cirsium pugnax Sommier & Levier

25-50 სმ. სიმაღლის ორწლოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, ხშირ-ფოთლიანი; ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ან ღეროზე ჩამოზრდილი. 15-30 სმ. სიგრძის, 6-8 სმ. სიგანის, ღრმად ფრთისებრ დაყოფილია ეკლიან, 2-3-ად წაწვეტებულ ნაკვეთებად. კალათა 1-4, ღეროს წვერზე მარტოულად ან 2-3 ერთად. ყვავილები მოწითალოა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება მდელოებზე, გზისპირებზე, როგორც სარეველა. საკვებად გამოიყენება მომზადებული ფესვი და ახალგაზრდა ყლორტები. გამოყენება: სამედიცინო, საკვები, ქაღალდის წარმოება.

თუხური დასახელება: ვირის ნარძ

ვირს უყვარს. ჭამენ ცხენებიც. ძაღზე ჩხვჯეჯიან. არსებობს გამოთქმა: „არ ვინდად ნა'ც ნარზე დადევი“ - თუ ვინაირუდ რჩევას არ დაიჯრებ, რა'ც ვინდა ის ქნისო.



ნარი შეფუთული

ოჯ. რთულყვავილოვანი - Compositae

Cirsium obvallatum (M.Bieb.) M.Bieb.

1.5 მ.-დე სიმაღლის მრავალწლოვანი, სწორმდგომი, დატოტვილი მცენარეა. ქვედა ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტა ფორმისაა ფრთისებ ფართოდ ამოკვეთილი. ყველა ფოთოლი მჯდომარეა, ნახევრად ღერო-მხვევი. კალათები მარტოული ან 2-3 ერთად, გარშემოხვეულია ხაზურ-ლანცეტა, წვრილად ფრთისებრ დანაკვთული, კიდეზე გრძელეკლიანი ზედა ფოთლებით. ყვავილები მოთეთრო-მკრთალ ვარდისფერია.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება მდელოებსა და ბუჩქნარებში, სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში. გამოყენება: დაკორატიული, საკვები.

თუშური დასახელება: გიზინტარა'ი, ნარ'ი

ხაღსური სამზარეულო: სამხე მცენარეა. ნარის ახანჯაზრდა ყლორცებისა და ფოთლებისგან განზფხუჯზე მხაღს აყოფენ. მისგან მხაღს ისევე ამზადებენ, როგორც სხვა მცენარეებისგან. ნარი ორნაირია - ერთი იჭმევა და მეორე - არა.



ნაღველა

ოჯ. ნაღველასებრნი- Gentianaceae

Gentiana verna subsp. *pontica* (Soltok.) Hayek

4-10 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა, ღერო სწორია. ფოთლები კვერცხისებრიდან კვერცხისებრ-ლანცეტა ფორმის. ყვავილები მარტოულია, ღეროს კენწეროებზე განწყობილი. გვირგვინი კაშკაშა ლაქვარდისფერ ლურჯია. გვირგვინის გადანაღვნი მთავარი ნაკვთები კვერცხისებრია, შუალედური ნაკვთები ორკბილიანი პატარა ზომის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება - დაბალბალახოვან მდელოებსა და ალპურ ხალებზე, სუბალპურიდან სუბნივალური სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამედიცინო, დეკორატიული.

თუხური დასახელება: ნაღველა'ი

საქსური მკვდისა: ყრუფს ყვავილეს ნახევარღეროებანად. მისგან დამზადებულ ჩაის იყენებენ ღვიძლ-ნაღველის სამკურნალოდ.

Gentiana verna subsp.



ნაცარქათამა თეთრი

ოჯ. ჯიჯლასებრნი- Amaranthaceae

Chenopodium album L.

100 სმ.-დე სიმაღლის, სწორმდგომი, დატოტვილი, ფოთლები შიშველი ან ფქვილისებრი ნაფიფქით დაფარული. ერთწლოვანი მცენარეა. ფოთოლი რომბისებრ-კვერცხისებრი ფორმისაა, არათანაბრად ამოკვეთილ-დაკბილული კიდით. ყვავილების გორგლურები შეკრებილია თავთავისებრ ან ფარჩხატ საგველასებრ ყვავილედში. თესლი პრილაა, შავი ფერის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-X თვე.

იზრდება დაბლობიდან, მთის შუა სარტყლის ჩათვლით, როგორც სარეველა ნათესებში, ბოსტნებსა და ბაღებში, მდინარის პირებსა და რუდერალურ ადგილებზე. გამოყენება: სამედიცინო, საღებავი, საკვები, პარფიუმერული.

თუხური დასახელება: თათაბოდ

საქსური საშზაროელ: სამსჯე მქენარჯ. თუშეთში იყენებენ მხლოჯანი ჰურების შიეთაქსდაჯ.

Chenopodium album L.



ნემსინვერა რუპრეხტის

ოჯ. ნემსიწვერასებრნი-Geraniaceae

Geranium ruprechtii (Woronow) Grossh.


30-50 სმ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. მოკლე მარტივი. ზედა ნაწილში ჯირკვლოვანი ბეწვითაა შემოსილი. ფესვთანური და ქვედა ღეროსეული ფოთლები დაგრძელებულ, ზედა კი დამოკლებულ ყუნწებზე სხედან. ფოთლის ფირფიტა 8-12 სმ. სიგანისაა, ღრმად დაყოფილი წაგრძელებულ რომბულ, წაწვეტილ, ფრთისებრ ჩატრილ 5-7 სეგმენტად, - მოგრძო, კვერცხისებრი ფორმის, მომახვილო ნაკვთულებით. ყვავილები საგველასებრ არამრავალყვავილიან ყვავილედეშია შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები მუქი იისფერია, ფართო უკუკვერცხისებრი, წვერზე მომრგვალებული, ძირში მოკლე ფრჩხილში შევიწროებული. თესლი 3 მმ.-დე სიგრძისაა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-IX თვე.

იზრდება მდელოებზე, სუბალპურ სარტყელში. გამოყენება: დეკორატიული.



Geranium ruprechtii Grossh.



ორთვანდი, ძირხვენა

ოჯ. როთულყვაგილოვანნი - Compositae

Arctium lappa L.

100-180 სმ. სიმაღლის ორწლოვანი, დატოტვილი მცენარეა. ფოთლები ფართოა, ყუნწიანი, ქვედა მხრიდან ქეჩისებრ შებუსვლილი. კალათები 2.503 სმ. დიამეტრის. საბურველის ფოთოლაკები მწვანეა, სადგისისებრი, წვერზე კაუჭისებრი წვედით. გვირგვინი მეწამული ფერისაა. თესლურა მოგრძოა, ზედა ნაწილში დანაოტებული, აბლაბუდასებრი ბეწვით მოფენილი.

ყვაგილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება ტყის პირებში, ბუჩქნარებსა და რუდერალურ ადგილებში, მთის შუა სართყლის ჩათვლით. გამოყენება: სამედიცინო, საკვები (ნორჩი ყლორტები), თმის ამომყვანი.

თუხური დასახელება: ძირხვენა'რ

საღბური საშზაროული: ძირხვენა სამხელე მცენარეა, განზახუჯზე მისგან მხაღს აყოთბუნ. რომ დაბერდებ და ღროს ამოუშებს, ამ ღროებს ბაჟმეჭი ჯობის ცხენებად იყენებუნ. მისი ძირი ცხიღია და მას ჭამუნ.



პიტნა გრძელფოთოლა

ოჯ. ტუჩოსნები - Lamiaceae

Mentha longifolia (L.) L.

1.5 მ.-დე სიმაღლის მრავალწლოვანი, სწორმდგომი, შებუსვილი მცენარეა. ფესურა ძლიერია, გახევებული, ივითარებს მიწისქვეშა ამონაყრებს. ფოთლები მკდომარეა, მოგრძო კვერცხისებრიდან ლანცეტამდე. კიდეზე ხერხკბილა. ქვედა მხარეზე ქეჩისებრ შებუსვილი. ყვავილეთი ცილინდრული, თავთავისებრი ან საგველაა. გვირგვინი ლილისფერიდან, -ხორცისფერ წითლამდე შეფერვისაა. კაკლუჭები კვერცხისებრია, ზედაპირი წერტილებითაა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VIII-IX თვე.

იზრდება ტენიან მდელოებზე; ტყისპირებზე; ბუჩქნარებსა და მდინარისპირებზე. ტყის სარტყელში. გამოყენება: სამედიცინო, საკვები, მღრღნელების დამფრთხოვად.

თუხური დასახელება: პიტნა'ნ

საქსური საშინაოეული: ჩაის სუროგატებს შორის ყველაზე პოპულარული მცენარეა, ფართო გამოყენების. სახეგანადაა პიტნის ყლორებისგან ჩაქს - მხელ წინანს ანზადებენ. განსაკუთრებულად გემრიელია „პიტნის ზიან (რძიანს) ჩაქს“. საშინაოეულად ზღომად იმარაგებენ. ის სორცინს (ყაღინს) ჩაქსშიც გემრიელია. სახელი აქციურად გამოიყენება გამოთქმებში: „გიცნობ პიტნის ჩაქს, რა'იც სეობაზე მოსრუდ საროი“, - ზითომ, შენ მე ვერ მომძყყებ. გიცნობ, რაჯა სარო. ამის ჯრინანსია: „გიცნობ პიტნის, რა სეობაზეაჯ სარ მოსრუდი“, - ეცყვიან ჯირქმაჯა ადამიანს. არის ჯიდუჯ გამოთქმა: „ჯინსაჯ პიტნა' ეჯარებოდად' ცხ-ჯირში სცენინსაჯ“ [ანზიური, 1980].



ჟოლო იდასი

ოჯ. ვარდისებრნი - Rosaceae

Rubus idaeus L.

1.5 მ.-დე სიმაღლის ბუჩქია. ერთწლოვანი ყლორტები ცილინდრულია, სწორმდგომი, წვერდახრილი, მოფენილია წვრილი მოწითალო-ყავისფერი ეკლებით; ფოთლები 3-5 ფოთოლაკიანია, ქვედა მხარეზე ქეჩისებრ შებუსვლი. ყვავილები შეკრებილია ილიურ, მცირეყვავილიან მტევნებად და კენწრულ ფარისებრ-საგველა ყვავილედებად. გვირგვინი თეთრია. ნაყოფისფერულია, წითელი, იშვიათად მოთეთრო-ყვითელი ფერის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო V-VII თვე.

იზრდება ტყეებსა და ტყისპირებზე; ტყის ველობებზე; მდინარეთა ნაპირებზე; ბუნქნარებში. ტყისა და სუბალპურ სარტყელში. გამოყენება: სამედიცინო, საკვები, ქალაქის მისაღებად, საღებავად, კოსმეტიკურად.

თუხური დასახელება: ჯვაფა'ი

საქსური მკვიდრები: ჯვაფა'ის ჩაის სიხიანსა და გაცეიბულს ასევე. არის ძეირი ოჯეძენი და აკადყოფი ადვიდად გამოჭყდის მდგომარობიდან.

საქსური სამშაროელი: ჯვაფა'ისგან მურაბას და ხიჯფაფას სარმარს. საუკეთესო ხიჯა, თანაჯ ბეჯი მოიპოვება, ისევე, როგორც აოჯი (მოცვი). ძვედად ჯვაფა'ისგან ღუდსაჯ სდიდსენ, მხოლოდ საოჯახო მომარობისთვის. მასაჯ ისევე სარმარსენ და ისევე აყენებდსენ, როგორც ქროს აჯუდს: გაცეიბის შეძლე განსურედ „ზისჯენს“ სვიანს ნახარმს – „ასაყოას“, ანუ საფურას უკეთებდსენ. 2-3 დღეში აჯუდი მზად იყო. ეს ღუდი ჩარგია 5-ნ დღის განმარჯობაში, მერე გემოს იჯჯის, მარჯდება.

ჯვაფა'ზე გამოყენების იჯიანს თუშეთში:

„ხეს ჯიჯა'ი ჩამოხიდაჯ მეს აქ სარჯად, ჩამოჯზიდაჯ“.

არის ჩიდუჯ:

„ასი რუჯი აჯინარი,
ასი ბუდე აჯმარე,
ქაქსა დიდი აჯხინარი,
ჩანდათაში ჩაჯყინარი“.

(„ეს არის ჯვაფა'ი, ხო რუჯ-რუჯ იჯის“, 7-ი დაროებარე იჯისი) [აზიკური, 1975].



საყურა აღმოსავლური

ოჯ. კელაპტრასებრნი - Orobanchaceae

Rhynchosorys orientalis Benth.

30-60 სმ. სიმაღლის ერთწლოვანი მცენარეა. ღერო მარტივი ან დატოტვილია; ფოთლები მოპირისპირეა, სამკუთხა-კვერცხისებრი, თითქმის მკდომარე, ოდნავ გულისებრი ძირით, კიდემრგვალებილა. თანაფოთლები ფოთლის მსგავსია; ყვავილები მარტოულია, მოთავსებულია ფოთლის ილღიებში. გვირგვინი ყვითელია, მოკლე მილით და 2 ტუნა გადანაღუნით; ზედა ტუჩი ფართო მუზარადითაა და გრძელი, თითქმის ნახევარსფეროსებრი, მოხრილი ხორტუმით, რომელიც ბოლოვდება თეთრი, ფართო ფირფიტით. კოლოფი მომრგვალოა, შებუსცილი. თესლი მოგრძოა, თეთრღარებიანი.


ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VI-VIII თვე.

იზრდება ტყეებში; ბუჩქებს შორის; ტენიან მდელოებსა და რუდერალურ ადგილებზე, - მთის შუადან, სუბალპური სარტყლის ჩათვლით. დეკორატიულია.

თუშური დასახელება: საყურა'ი

ამ მცენარის ყვავილებით ზაჭმევი თამაშობენ - ყუნწებით ყურზე იკეთებენ, ვითომ საყურეაო.

Rhynchosorys orientalis Benth.



საზაღო თრანსკავკასიური

ოჯ. ქოლგოსანნი - Apiaceae

Seseli transcasicum Pimenov & Sdobnina

0.6-1.5 მ. სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო ძლიერ დაკუთხულ-ღარებიანია, დატოტვილი. ფესვთაური ფოთლები გრძელყუნწიანია, მოხაზულობით მოგრძო-კვერცხისებრი, ერთმაგ ან ორმაგფრთისებრი, სეგმენტები ჩვეულებრივ ღრმადაა განკვეთილი; ღეროსეული ფოთლები თანდათანობით დაპატარავებული, მოკლეყუნწიანია. ქოლგა მრავალია, მსხვილსხივიანი. გვირგვინის ფურცლები თეთრია, კოკრობისას მოწითალო-იისფერი. ნაყოფი კვერცხისებრია 2.5-3 მმ. სიგრძის.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო VII-VIII თვე.

იზრდება მთის შუადან სუბალპური სარტყლების ჩათვლით - ტყისპირებზე, ბუჩქნარებსა და ბალახოვან ფერდობებზე. გამოყენება: სამედიცინო, საკვები, თაფლოვანი.

Seseli transcasicum



სპინდრი

ოჯ. შროშანისებრნი - Convallariaceae

Polygonatum glaberrimum K.Koch

15-65 სმ. სიმაღლის ფესურიანი, მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები ფართო-ოვალურია, ბოლოში თანდათანობით წვეტად გადასული ან ბლაგვი სამკუთხა, ქვემოდან ლეგა, შიშველი, მოკლე ყუნწიანი. ყვავილი თითო ან ორ-ორი, მოკლყუნწიანი; 25 მმ.-დე სიგრძის, ნასკვის ზემოთ ძალიან შევიწროებული. ნაყოფი მუქი ლურჯია, ცვილით დაფარული.


ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო V-VI თვე.

იზრდება მთის ქვედადან - ზედა სარტყლის ჩათვლით, ტყეებსა და ბუჩქნარებში. გამოყენება: სამედიცინო, საკვები, კოსმეტიკური, ნიადაგსაფარი.

თუშური დასახელება: დათვიჟოლა'რ

საღბური სამზარეულო: სამსლე მცენარეა.

Polygonatum glaberrimum K.Koch



უზანი

ოჯ. ადოქსასებრნი - Adoxaceae

Viburnum lantana L.

3 მ.-მდე სიმაღლის ხშირვარჯიანი ხე ან ბუჩქი; ფოთლები მთლიანია, კვერცხისებრი ან ოვალური ფორმის; გვირგვინი თეთრია; ნაყოფი - კვერცხისებრია თავიდან მწვანეა შემდეგში მარჯნისებრ-წითელი ფერისაა და ბოლოს შავი ხდება, პრიალაა.

ყვავილობის დრო/ნაყოფობის დრო IV-X თვე.

იზრდება - ტყის პირებსა და ბუჩქნარებში, მთის შუა სარტყლის ჩათვლით. გამოყენება: სამედიცინო, საკვები, საღებავი, დეკორატიული.

თუხარი დანახელება: თურსა'ი

ეს მცენარე ცოცხა და ძანძან უფროსიხელებს, როგორც სარაჯურ ხეს.

ხაჯსური სამშაროულო: თურსას ნაყოფს წითელსკე დაჩროფს, გამძიანს და ასე შიინახავს. როცა დამწითლებს - გამშავლებს, ჩაჯებებს და გემრიელი საჭმელია.

საყოფაცხოვრებო დანიშნულება: თურსას ხაჯსური რსმქით სარაჯური, ძაგოური ძანძის ხედი ითვლება, ის ავ თვანდ იცადებს, ოღონდ თურსას ეს ძანძ მამინ აქვს თუ „უნძინახა“. ხარბობის დღეს, ძველი სციდით ძანძის ოცდახუთ რიქსეში, ოჯახის უფროსი დიდით ადრე, რომ გაიღვიძებს, ადგება, ოჯახში ხმას არავის გასცემს, უბრადა წავს ცყეში, უბრადა მოჭრის წინასწარ შეგუელებული თურსას ხის რამდენიმე წვრილ ცოცხს, უბრადავე მოიციანს სხეში. ეს „უნძინახა თურსა“. ამ „უნძინახა თურსა'ის“ თითო ჰაჯარას ცოცხს განაჭობენ სანსოვრებედი სხეცისა და ბოცელ კარებების თაჯზე - ავ კვანდს იჭირსო. დანარჩენი ცოცხებისაგანს განაყოფებს „თურსას მძივებს“ - ორ-ორ სანსიმეფროიანს ნაჭრებს გუელს განავლებინებს და შიგ წითელ ბანანს განაჯარებს. ამ მძივებს შეაბამებს ყვედაფურს, რამაჯ შეიძლება ავი თვანდის ზემოქმედება განიყვანოს: რძის სანჯვედ კანსებს, რძის შესადღვებს ჩსოცხს; კულებზე შეაბამებს მქნვედ და მუშა ჰირიყყეს, სბობს; ქანძმვიებებსა და გოჯობს თმებში ჩანანსავს... ყვებიანს სვადანსავს ამბებს თურსას ძაგოური ძანძის შესახებ. ერთი ძაგაჯითად ასეთია: გზაზე ორი ცხელისანი მიდის. გადმა მთის ფერდობზე უღვედი ხარით კაჯცი ყანას ხნავს. ერთი კუბებსა მქორეს: ვერა, რომ აი ის ხარები კვანდში განაჯაროო. აბა სვანდო, კეყვის მქორე. კაჯცი დაჟინებუდ მხერას მიაჰყოობს ხარ-გუთანს, ერთი ხარი უმან ჩაიკეჯებს კვანდში, მქორე ფეხზე რჩება. მავ დანდოცვიდს თურსას ცანბიკები ექნება, თორედ ჩემ თვანდს ევ ვერ გაუძებდაო, იყვიის ის "ავთვანდის" მქონე კაჯცი. ადმოჩნდა რომ ხარს მართჯაჯ თურსას ხის ცანბიკები უყრია.



ფაშფარა ბადისებრი

ოჯ. რთულყვავილოვანი - Compositae

Tragopogon reticulatus Boiss. & A.Huet.

